პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა 1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

კვირა, 22 ნოემბერი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 269 (1424)

დღევანდელი ნომერი შეიცავს 8 გვერდს

დღიური

- გარდაიცვალა ცნობილი პოლონელი მწერალი სტეფან ჟერომსკი.
- პოლონეთი კვლავ უპრემიეროთაა.
- მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია.
- ბაქოში ჩამოვიდა დანიის დელეგაცია.
- გაიხსნა სვერდლოვსკის ბაზრობა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
ერთი თვით გაზეთი ეღირება:
მუშა-მოსამსახურეების, გლეხების, წითელ-არმიელების და მასწავლებლებისათვის 90 კაპ.
თბილისში და პროვინციაში
ყველა დანარჩენებისათვის 1 მ. 20 კ.
თბილისში და პროვინციაში
ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდებათ
უფასოთ შემდეგი დამატებები:
„მეცნიერება და ტეხნიკა“
თვეში ორი ნომერი
და „ჩირაღდანი“-ს მაგიერ
ჟურნალი „დროშა“
იუმორისტული განყოფილებით
თვეში ორი ნომერი

პოლონეთი მთავრობას ეძებს

არა გვგონია მთავრობის კრიზისს სადმე მიეღოს ისეთი ქრონიული ხასიათი, როგორც ამას ვხედავთ ამ ჟამად პოლონეთში. პოლონეთის რესპუბლიკამ თავისი არსებობის შვიდი წლის განმავლობაში 12 მთავრობა გამოიცვალა. ეს მაინც და მაინც არ ლაპარაკობს ამ ქვეყნის მდგომარეობის სიმტკიცეზე. მაგრამ დღეს პოლონეთი იმდენად მოექცა ჩიხში, რომ ბურჟუაზია სრულ [illegible] შედუწენას.

13 ნოემბერს გადადგა გრაბსკის კაბინეტი. პრეზიდენტმა ახალი მთავრობის შედგენა მიანდო სკშინსკის (ეხლანდელ გარეშე საქმეთა მინისტრს). სკშინსკიმ ვერ შესძლო დავალების შესრულება. მაშინ ამ უმადური საქმის განხორციელება დაეკისრა სეიმის თავმჯდომარეს, რატაის. ვერც მან გააწყო რაიმე. ჯერი ისევ სკშინსკიზე მიდგა, რომელსაც უნდა შეედგინა ე. წ. „პარლამენტის გარეშე მთავრობა“ მაინც, მაგრამ ხელმეორედაც ვერაფერს გახდა. პრეზიდენტი ვოიცეხოვსკი განაგრძობს საპრემიერო კაცის ძებნას. იგი შეჩერდა გრაბსკის მთავრობის მინისტრ რაშკევიჩზე, რომელსაც დაეკისრა „ჩინოვნიკური“ („პარლამენტის გარეშე მდგომი“) კაბინეტის შედგენა. მისი ცდაც უიმედო აღმოჩნდა. ბოლოს ისევ სკშინსკი გამოჩნდა სცენაზე.

ამგვარად, ერთ კვირაზე მეტია, რაც პოლონეთში ეძებენ მთავრობას, მაგრამ ჯერჯერობით აქედან არაფერი გამოდის. ყველაფერი ეს მოწმობს, თუ რა ღრმა კრიზისს განიცდის მემამულეების და მსხვილი ბურჟუაზიის პოლონეთი.

გრაბსკიმ ვერ მოახერხა ქვეყნის ეკონომიკის და ფინანსების ოდნავ მაინც განმტკიცება. „ზლოტის“ (ფულის ერთეული უდრის 37 კ.) ფასი გაუგონრად დაეცა. ფაბრიკა-ქარხნები იხურება და მრეწველობა მცირდება, რადგან ბაზარს და კრედიტებს მოკლებულია. უმუშევართა რიცხვი შეუდარებლად გაიზარდა,—აღწევს 200,000 კაცამდე, ე. ი. სამრეწველო მუშების ერთ მესამედს. ცხოვრება თანდათან ძვირდება და ასევე კლებულობს მუშების რეალური ხელფასი. ბურჟუაზია ცდილობს შეკვეცილ სოციალურ კანონმდებლობის მოსპობასაც, სამუშაო დროის ადიდებას, ხელფასის შემოკლებას, დაზღვევის ნორმის შემცირებას და სხ. ეს ზრდის მუშათა კლასის უკმაყოფილებას, ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას. ბურჟუაზია სასტიკ რეპრესიებს მიმართავს მუშების წინააღმდეგ. პოლონეთი თეთრი ტერორის ერთ-ერთი „კლასიკური“ ქვეყანაა.

ასევე უკმაყოფილოა ღარიბი გლეხობა, რომელსაც არაფერი მისცა გრაბსკის მიერ ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ. მან მხოლოდ კულაკობა გააძლიერა. მაგრამ ასეთმა შეკვეცილმა რეფორმამაც მემამულეები გადაკიდა გრაბსკის.

ყველამ ვიცით, რომ ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც მეტად დიდ პროცენტს შეადგენენ პოლონეთში, სასტიკ დევნას განიცდიან

ამგვარად, ასაფეთქებელი მასალა პოლონეთში ბლომადაა დაგროვილი.

ამ ქვეყნის ვერც საერთაშორისო მდგომარეობაა სახარბიელო. პოლონეთსა და გერმანიას შორის ინტერესთა შეურიგებელ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. პოლონეთი მერყეობას იჩენს საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების საკითხში. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ პოლონეთის მრეწველობა უმთავრესად მუშაობდა გერმანიისა და რუსეთის ბაზრისათვის. ამ ბაზრის დახურვა მას სრულ კატასტროფას უქადის. ამ კატასტროფას იგი კიდეც მიადგა უშუალოდ. პოლონეთის საგარეო ვაჭრობა შემცირდა. იმპორტი ბევრად აღემატება ექსპორტს, რაც იწვევს ხაზინის დაცლას ვალიუტისაგან და ფულის კურსის დაცემას.

დახმარება არსაიდან სჩანს. საფრანგეთი, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფება პოლონეთი, თვითონ მწვავე ფინანსიურ კრიზისს განიცდის და ვერ დაეხმარება მას. ამერიკა სესხს არ აძლევს, თუ მისცემს, მხოლოდ პოლონეთის მთელი სახალხო სიმდიდრის ხელში ჩაგდების საფასურით. მით უმეტეს ინგლისი არ იჩენს გულუხვობას. პოლონეთის გაძლიერება იმავე დროს იქნებოდა საფრანგეთის მოღონიერებაც, რაც არ შეადგენს ინგლისის მიზანს.

ამავე დროს ინგლისიც და საფრანგეთიც მოითხოვენ, რომ პოლონეთმა დიდძალი ჯარი იყოლიოს, რომ გამოიყენონ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინგლისი, როგორც ვიცით, ცდილობს შექმნას ანტისაბჭოთა ერთიანი ფრონტი და ამ მიზნით კერძოდ გააძლიეროს პოლონეთში ანტისაბჭოთა ელემენტები. ამით აიხსნება, რომ ეხლანდელი მთავრობის კრიზისის დროს კვლავ წამოყო თავი ცნობილმა პილსუდსკიმ, საბჭოთა რესპუბლიკების შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ. მის ზურგს უკან ინგლისი მოქმედებს. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაში მარცხდება პილსუდსკი, მისი მომხრე სამხედრო რაზმები განიარაღებული არიან.

დღეს არ შეიძლება იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება ახლო მომავალში პოლონეთის კრიზისი. სკშინსკიმ ბოლოს შეიძლება მოახერხოს მთავრობის შედგენა, მაგრამ იგი ვერ იქნება მტკიცე და ხანგრძლივი. სეიმის ეხლანდელი შემადგენლობა საფუძველს არ იძლევა მტკიცე საპარლამენტო უმრავლესობის შედგენისათვის.

მილიტარიზმის ტვირთის შემსუბუქება, მეზობლებთან კერძოთ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური რეფორმების განხორციელება,—აი რა გზით მოხერხდება დღევანდელი პოლონეთის მდგომარეობის გამოკეთება, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი ბურჟუაზიულ წყობილების პირობებში. სხვა გამოსავალი მისთვის არ არსებობს.

საბჭოების გადარჩევა და ახალი საარჩევნო ინსტრუქცია

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია საბჭოების გადარჩევის ახალი ინსტრუქცია, რომელიც შეიმუშავა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და დაამტკიცა საქართველოს ცაკმა. საჭიროა აღინიშნოს ინსტრუქციის ზოგიერთი მომენტები, რომლებიც ნათელყოფენ პარტიის და ხელისუფლების მორიგ ამოცანებს მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში.

ინსტრუქციის პირველ თავში კონსტიტუციის მიხედვით განმარტებულია მოქალაქეთა საარჩევნო უფლება და აგრეთვე ამ უფლებამოკლებულ პირთა სხვადასხვა კატეგორიები. ახალი ამ თავში არის მუხლი მე-5, სადაც აღნიშნული არიან ის პირნი, რომლებიც სარგებლობენ საარჩევნო უფლებებით. წარსული წლების არჩევნებში ზოგიერთ მოქალაქეთ ხშირად ერთმეოდა ხმის უფლება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის სარგებლობდა დაქირავებულ შრომით სასოფლო მეურნეობაში; გარდა ამისა ხმის უფლება ერთმეოდა აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც იყვნენ სოფლის წვრილ საწარმოო მეპატრონენი ან მოიჯარადრენი; ასეთივე მიდგომას ბევრგან ჰქონდა ადგილი შინამრეწველის და ხელოსნის მიმართ, რომელთაც ჰყავდათ ერთი მუდმივი მუშა, ან ორი შეგირდი.

ახალი ინსტრუქციის მე-5 მუხლი აშკარად განმარტავს იმ პირთა კატეგორიას, რომელთაც არ ერთმევათ საარჩევნო ხმის უფლება; ასეთებად ჩაითვლებიან შემდეგი პირნი:

ა) ვინც სასოფლო მეურნეობას ეწევა და დაქირავებულ შრომას გამოიყენებს იმ წესების თანახმად, რომელიც შემოღებულია საგლეხო მეურნეობაში დამამარე დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ;

ბ) წისქვილისა, საძეხლოს, სახერხავი ქარხნისა და სხვა ამგვარი საწარმოს მეპატრონეს და ხელოსანს, რომელთაც ჰყავთ არა-უმეტეს ერთი მუდმივი მოზრდილი მუშისა ან ორი შეგირდისა, უკეთუ მეპატრონე თვით იღებს მონაწილეობას მუშაობაში“.

ამ მუხლის განყოფილება ა)-თი იგულისხმება ერთის მხრივ ისეთი საშუალო გლეხი, რომელიც მოხერხებულად აწყობს თავის მეურნეობას და სარგებლობს დაქირავებულ მუშა ხელით არსებული წესის მიხედვით, მხოლოდ თვითონაც უშუალოდ ეწევა მუშაობას, და მეორე მხრივ ისეთი გლეხი, რომელიც დაქირავებულ მუშა ხელით თავის მეურნეობაში სარგებლობს წლის განსაკუთრებულ დროს. (მაგალითად, მოსავლის მოკრეფა და სხვ). აღნიშნულ კატეგორიის გლეხობა სავსებით სარგებლობს საარჩევნო უფლებებით.

მე-5 მუხლ. ის განყ. ბ) გულისხმობს ყველა წვრილი სასოფლო საწარმოს მეპატრონეს და ხელოსან-შინამრეწველთ, რომლებსაც ხშირად ერთმეოდათ ხმის უფლება. ახალ ინსტრუქციას შეაქვს სავსებით გარკვეული და ნათელი აზრი ამ კატეგორიის პირთა შესახებ, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათთვის საარჩევნო ხმის უფლების წართმევა.

შემდეგ არ ერთმევა საარჩევნო ხმის უფლება აგრეთვე—**„დ) იმ პირს, რომელიც იღებს 1-ლი ხარისხის პატენტს, უკეთუ მას არ შეეფარდება რომელიმე პუნქტის მოქმედება მე 3 მუხლის თანახმად“.** აქ მხედველობაშია მიღებული ისეთი პირნი, რომლებიც ეწევიან განსაკუთრებულ, ფინორგანოების ინსტრუქციაში განსაზღვრულ საგნებით ვაჭრობას. **არ ერთმევათ ხმის უფლება აგრეთვე ნაწ. „ე) იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომლებიც საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ „გ“ და „დ“-ის პ. პ. ძალით, უკეთუ ისინი ნივთიერად დამოკიდებულ არ არიან იმაზე, ვინც თავისი პროფესიის გამო მოკლებულია საარჩევნო უფლებას;** მაშასადამე იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომლებიც მოკლებულ არიან საარჩევნო ხმის უფლებას ამ ინსტრუქციის ძალით, ეძლევათ ასეთი, თუ რომ ისინი დამოუკიდებლად სცხოვრობენ და არა აქვთ მატერიალური კავშირი ოჯახის სხვა წევრებთან, რომლებიც არიან მოკლებული ხმის უფლებას თავისი პროფესიის მიხედვით.

მე-5 მუხლის პარაგრაფ ვ)-ში მიღებულთა მხედველობაში არა რელიგიურ კულტის პირდაპირ შემსრულებელი და მსახური (სამღვდელოება და ბერ-მონაზვნები), არამედ ისეთი პირნი, რომლებიც დანიშნული არიან სხვადასხვა საეკლესიო საქმეების შესასრულებლად, მორწმუნეთა რელიგიურ საზოგადოების ან და საეკლესიო-სამრევლო საბჭოს მიერ. მაგალითად, საზოგადოების თავმჯდომარე, რეგენტი, მნათე, ორგანისტი და სხვ. ყველა ასეთ პირებს ეძლევა ხმის უფლება,—„უკეთუ ისინი საარჩევნო უფლებას მოკლებული არ არიან მე-3-ე მუხ. სხვა რომელიმე პუნქტის მიხედვით“.

საქართველოს ცაკი ირჩევს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელსაც ევალება ამ ინსტრუქციის ძალით წინასწარი საარჩევნო კამპანიის ჩატარება ყველა მაზრებში და აგრეთვე უშუალოდ ხელმძღვანელობა არჩევნებისადმი; მაზრის ფარგლებში არსდება სამაზრო საარჩევნო კომისია და სათემო (ან სასოფლო იქ, სადაც სოფლის საბჭო არსებობს) კომისიები. მაზრის საარჩევნო კომისიის მოვალეობას შეადგენს, როგორც სწორი ხელმძღვანელობის გაწევა სათემო საარჩევნო კომისიებისადმი, ისე შავი სიების წინასწარი შემუშავება მაზრის ფარგლებში, მთელი მაზრის საარჩევნო უბნებათ დაყოფა და ყოველივე ცენტრალური საარჩევნო კომისიის დავალება-განკარგულებათა თავის დროზე და სწორ-უცვლელად ცხოვრებაში გატარება.

ინსტრუქციის მე-3 ე თავი აღნიშნავს შავი სიების შედგენის წესსა და დროს. აქ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საარჩევნო უფლებას წართმეულ პირთა სიები „საარჩევნო კომისიებმა უნდა [illegible] თი ორგანოში (თუ ასეთი არსებობს) გამოჰკიდონ თვალსაჩინო ადგილას, გამოაცხადონ საზოგადო კრებებზე და სხვა, არჩევნებამდე 20 დღით ადრე მაინც“.

ასეთი ვადა საჭიროა იმისთვის, რომ მოქალაქეს მიეცეს საშუალება განასაჩივროს ზემდგომ კომისიაში ადგილობრივი საარჩევნო კომისიის დადგენილება ხმის უფლების წართმევის შესახებ. შემდეგ, მე-4-ე თავში გარკვეულად არის მოთხრობილი დაწვრილებითი წესი და ვადა როგორც გასაჩივრების, ისე საჩივრის განხილვისა.

მთავარი აზრი ინსტრუქციის ამ ნაწილისა გამოიხატება იმაში, რომ ყოველივე მოქალაქეს მიეცეს სრული საშუალება წართმეული საარჩევნო ხმის უფლების აღდგენისა, თუ რომ ადგილი ჰქონდა საარჩევნო კომისიის მოქმედებაში რაიმე შეცდომას, ანდა გაუგებრობას.

საარჩევნო კრებების შესახებ ინსტრუქციის მე-5-ე თავში დიდი ყურადღება ექცევა შემდეგს: **„საარჩევნო კრებები უნდა მოწვეულ იქნას საარჩევნო კომისიის მიერ, ხოლო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სახელობითი უწყებების დაგზავნით,** აგრეთვე შესაფერი განცხადების თვალსაჩინო ადგილას გამოკიდებით და სხვა გზით, ხუთი დღით ადრე მაინც კრების გახსნამდე“.

ამ მუხლის დედააზრი გამოიხატება იმაში, რომ ყველა ამომრჩევლებს მიეცეთ საშუალება მიიღონ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა, რის გამო საარჩევნო უბანი უნდა იქნეს დაახლოებული ამომრჩევლებთან.

მე-6-ე თავი საარჩევნო ინსტრუქციისა იძლევა განმარტებას არჩევნების გაუქმების, ხელახალი არჩევნების და დამატებითი არჩევნების მოხდენის წესის შესახებ, უკანასკნელი მე-7 ე მუხლი ეხება საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის ორგანიზაციას.

თუ საარჩევნო ინსტრუქციის ყველა მუხლები სწორად იქნება ადგილებზე გაგებული, შეიძლება თამამათ ითქვას, რომ წელს აღარ ექნება ადგილი ძველ შეცდომებს და მიღწეულ იქნება ხელისუფლების ძირითადი ამოცანების განხორციელება, მიმდინარე არჩევნებში.

დ. აფციაური.

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შესახებ*)

საკითხი ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს შესახებ, რომლის შექმნის აუცილებლობა საგრძნობი იყო ჯერ კიდევ 1922—23 წელს, როცა დაარსდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა, ამჟამად 1925 წელს, მისი პრაქტიკულად განხილვის დროს, იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მისი, როგორც ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან საკითხის, სწორად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ აქტიური და ყოველმხრივი განხილვის გზით.

მაგრამ იმ გამოკამათებას და იმ პასიურ წინააღმდეგობას, რომელსაც იჩენენ ამჟამად ზოგიერთი ამხანაგები, არაფერი საერთო არ აქვს იმასთან, რასაც ეწოდება ობიექტიურად სასარგებლო და აუცილებელი კრიტიკა. კიდევ მეტი, გულახდილად რომ ვსთქვათ,—მათში ვერ იპოვით ვერავითარ პრინციპიალურ მოსაზრებას. ამაზე შეუძლიათ გვიპასუხონ ჩვენ, რომ თვით საკითხის დაყენების პრინციპიალობის მხრივ საუკეთესო დებულებები იყო წამოყენებული სახალხო მეურნეობ-ს უმაღლეს საბჭოს შექმნის მიზანშეუწონლობის შესახებ. მაგრამ ის არგუმენტაცია, რომელსაც უნდა გაემაგრებია გამოთქმული ეჭვი მიზანშეწონილობის შესახებ, ნამდვილად სრულებითაც ვერ უძლებს იმ საფუძვლიან და საგულისხმო დებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ისე კერძოთ, ამიერ-კავკასიის ეკონომიკის განვითარების მსვლელობიდან. იძულებული ვართ გამოვიტანოთ ისეთი დასკვნა, რომ ამგვარი „კრიტიკა“ შედეგია იმ პერიოდის სათანადოთ შეუფასებლობის, რომელსაც ჩვენ უახლოვდებით, როცა სწარმოებს მრეწველობის აღორძინება, სამრეწველო აღმშენებლობის გაძლიერების გზით, რაც თავის მხრივ მოითხოვს აგრეთვე ერთგვარ ცვლილებების შეტანას მეურნეობის ცალკე დარგების სისტემაში და ორგანიზაციაში.

წარმოებათა გადახალისება და ახლების მოწყობას, რომელსაც ჩვენ ვიწყებთ საკავშირო მასშტაბით, კერძოთ, ამიერ-კავკასიაში, სადაც გაცილებით უფრო ნაკლებია მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, ანსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა აქვს. მე ვფიქრობ, რომ არავინ ეჭვს არ შეიტანს ამ დებულების სისწორეში. რა გზით უნდა განვახორციელოთ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, რა გზით მოვახერხოთ განსაზღვრულ და სავსებით მკვიდრ ეკონომიურ ეფექტებს მიღწევა საერთოდ განსაზღვრულია ფინანსიური საშუალებანი.

თუ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში გვექნება მრეწველობის ერთიანი [illegible] უმაღლეს საბჭოს სახით პროექტების 50 პროცენტი მაინც იქნება განხორციელებული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ე. ი. თუ არ გვექნა ასეთი ერთიანი ხელმძღვანელობა, ყველა ამ პროექტების ასი თუ არა, 90 პროცენტი მაინც, პროექტად დარჩება.

დღემდე რესპუბლიკის მრეწველობის ასეთი პერსპექტიული გეგმის შედგენის წესი არსებობდა, როდესაც არ ხერხდებოდა ხშირად საერთო შეთანხმების მიღწევა ცალკე რესპუბლიკების გეგმებისა ბაზრის ტევადობასთან, ნედლი მასალის მარაგთან და კვალიფიციური ძალების რაოდენობასა და მის მოთხოვნილებასთან; არ ხერხდებოდა აგრეთვე შესაფერი სარფიანი დაწესებულებების განვითარება ცენტრში; ამას შედეგად მოსდევდა შეუთანხმებლობა და შეჯიბრება, რაც სრულიად დაუშვებელია ჩვენი უმეტეს შემთხვევაში წვრილი სამრეწველო დაწესებულებათათვის.

დღევანდელ მომენტში, როდესაც შინაური ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სიძნელე, ჩვენი კავშირის თვით მრეწველობის მხრივ უფრო განვითარებულ რაიონებშიაც გვაიძულებენ მივმართოთ მასიურ მოთხოვნილების საგნების იმპორტს, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭირო არ არის ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის მრეწველობის დაძველებულ ფორმათა შეცვლა—სრულიად დაუშვებელი შეცდომაა.

ყველა სამრეწველო გეგმების ორგანიული შეკავშირება და შეთანხმება—ამგვარია ჩვენს წინაშე მდგომარე ამოცანა.

არ არის მართალი ის დებულება, რომ ჩვენმა სხვადასხვა რესპუბლიკების ორგანიულად შეკავშირებულმა უმაღლესმა სამეურნეო საბჭოებმა გააკეთეს ყოველივე რაც შეიძლებოდა იმისათვის, რომ უზრუნველი ყოფილიყო სახალხო მეურნეობის შემდეგი განვითარება.

არ არის სწორი ეს, ვინაიდან თუ მთელ ჩვენს ფედერაციის მრეწველობის ორგანიზაციას სხვა ფორმები ექნებოდა, შეიძლებოდა მიგვეღწია კაპიტალის მაქსიმალური ამოძრავებისათვის და ადგილი არ ექნებოდა როგორც ძირითადის, ისე საბრუნავი თანხების დაქუცმაცებას, რომელიც აუცილებლად ხდებოდა და ხდება ეხლაც.

პირიქით, აბსოლიუტურად სწორი და უდავოა ის დებულება, რომ მეურნეობის სათანადო დარგი ყველაზე უფრო მჭიდრო საწარმოო და ფინანსიურ გაერთიანების პრინციპის შემოღების შემდეგი საოლქო მასშტაბით იწყებს განვითარებას მაქსიმალური ინტენსივობით და მოკლე დროის განმავლობაში იძლევა მნიშვნელოვან შედეგებს. ციფრები, რომელიც ახასიათებს მებამბეობის განვითარებას (როგორც მოყვანისაც ისე დამუშავების მხრივ) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, სავსებით ადასტურებს ზემოთქმულს.

და ამიტომ საჭიროა ეხლავე უფრო მეტი ინტენსივობით შევუდგეთ ჩვენი მრეწველობის საორგანიზაციო ფორმების გაჯანსაღებას, რაც მნიშვნელოვნად გაგვიადვილებს დღევანდელი დღის ძირითად საკითხის გადაჭრას, რომელიც შეეხება საშუალებათა გამონახვას. ბუნებრივია, რომ როდესაც სრულიად საკავშირო მასშტაბით ტარდება საკრედიტო გეგმების ცენტრალიზაციის პოლიტიკა, ჩვენს ამიერ-კავკასიის მრეწველობას უფრო ადვილად შეუძლია გამონახოს საჭირო საშუალებანი იმ შემთხვევაში, როცა იგი გამოვა, როგორც ერთი მთელი და ყოველმხრივ დააკმაყოფილებს გეგმიან მშენებლობის მოთხოვნილებებს.

ყოველივე ზემონათქვამი შეეხებოდა „პრინციპიალურ ხასიათის“ დებულებებს ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოწყობის მიზანშეუწონლობის შესახებ; ეხლა შევჩერდეთ რამდენიმედ სხვაგვარ დებულებებზე: „რაღა უნდა გააკეთონ რესპუბლიკანურმა სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა, ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაარსების შემდეგ?

თუ ის ამხანაგები, რომელნიც ამ კითხვას აყენებენ, ფიქრობენ, რომ მუშაობა მრეწველობის დარგში განისაზღვრება მხოლოდ იმ საკითხებით, რომლების გადაჭრა შეადგენს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოვალეობას, ისინი დიდ შეცდომაში ვარდებიან. რა თქმა უნდა, თუ დავეთანხმებით იმას, რომ ჩვენი სახ. მეურნეობის საბჭოების მუშაობა იმ მოცულობით და შინაარსით, რომლითაც იგი სწარმოებს ამჟამად, შეიძლება ჩაითვალოს სავსებით დამაკმაყოფილებლად, საჭირო იქნება, დავეთანხმოთ იმასაც, რომ მართლაც რესპუბლიკების სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს გასაკეთებელი აღარაფერი დარჩენიათ.

მაგრამ ეს სრულიად არ არის სწორი. ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაარსება არ მოასწავებს და არც შეიძლება მოასწავებდეს რესპუბლიკების სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოების როლის და სასარგებლო მოქმედების შესუსტებას. პირველს გადაეცემა მხოლოდ მრეწველობის საჭიროებათა და შესაძლებლობათა გამორკვევა, ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელება და მრეწველობის მოწესრიგება ფედერატიულ მასშტაბით.

ბაზრის შესწავლის, წარმოების რაციონალიზაციის საკითხები თუ არაფერს ვიტყვით ოპერაციულ მოქმედების შემდგომ გაუმჯობესებაზე, ყველაფერი ეს არის ისეთი მუშაობა, რომელიც დაგვაახლოვებს ჩვენ, როგორც თვით მრეწველობის ისე მთელი მხარეს მეურნეობის ინტერესებთან და საჭიროებებთან და რომელიც კიდევ უფრო უნდა გააფართოონ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებმა. მნიშვნელობა წარმოებათა რიცხვის გადიდებას კი არ აქვს, არამედ მათ თვისებრივ ზრდას, როგორც უკვე არსებულ წარმოებათა რაციონალიზაციით, ისე ახალი უფრო ძლიერ, ე. წ. საბაზრო წარმოებების დაარსებით.

ყველაფერ ამის მიღწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ურთიერთშორის ნდობას და საქმიან ურთიერთ დამოკიდებულებას რესპუბლიკანურ და ამიერ-კავკასიის სამრეწველო ორგანოებს შორის.

ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი პარტიის და ამიერ-კავკასიის ხელისუფლების 5 წლის მუშაობა, მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა, როგორც უცხოეთის კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე ქვეყნის აღდგენის საქმეში, გვაძლევს სრულ საბაბს განვაცხადოთ, რომ არა ნაკლები წარმატებით ვიწყებთ ჩვენ ჩვენი მხარეს მრეწველობის აღდგენას. ლაპარაკი ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლების დავიწყებაზე, არასოდეს ხელს არ უნდა უშლიდეს ჩვენ მუშაობას, რომელიც მიმართულია ჩვენი რესპუბლიკების კეთილდღეობის განმტკიცებისაკენ.

გ.

---

*) კამათის წესით. რედ.

დასავლეთის მუშების დელეგაციები საბჭოთა კავშირში

ბაქოში ჩამოვიდა დანიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვში ჩავიდა ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდათა მუშათა დელეგაცია

ნორვეგიის მუშათა დელეგაციის მისალმება ამხ. კალინინისადმი

საბჭოთა საავტომობილო მრეწველობის დელეგაცია ევროპაში

დანიის დელეგაცია ბაქოში

ბაქო, 21 ნოემბერი. გუშინ ბაქოში ჩამოვიდა დანიის მუშათა დელეგაცია 18 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას თავმჯდომარეობს ადამსენი.

დელეგაციას სადგურზე შეხვდნენ აზერბეიჯანის პროფკავშირების წარმომადგენლები. უკანასკნელების სახელით აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ივანოვმა სთხოვა დელეგაციას შეისწავლოს საბჭოთა კავშირის მუშათა ნამდვილი მდგომარეობა და აღადგინონ სრული სიმართლე.

საპასუხო სიტყვაში დელეგაციის თავმჯდომარემ ადამსენმა სთქვა:

„ჩვენ ჩამოვედით აქ იმ მიზნით, რათა გავეცნოთ სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ და გავფანტოთ საზღვარგარეთ გავრცელებული ჭორები. ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ თქვენ გაიარეთ ძალიან ძნელი გზა, რომელსაც ჩვენ ჯერ არ დავდგომივართ, ჩვენ გპირდებით სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვსთქვათ სრული სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ“.

დღის 2 საათზე დელეგაცია გაემგზავრა სამრეწველოებში, სადაც მან დაათვალიერა ბიბი-ეიბატის რაიონი. დელეგატები ძალიან დაინტერესდნენ ნავთსადგურით, და გაეცნენ ნავთის ამოღებას და ექსპლოატაციას.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა აზნავთის მუშების სახლი ბაილოვოში. ამ სახლის მოწყობილება, დელეგატების სიტყვით, არაფრით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთელ მუშათა სახლებს.

საღამოს დელეგაციამ ინახულა დიდი თეატრი.

დღეს განზრახულია ნავთის რაიონების და მუშათა მოსახლეობის დათვალიერება.

ჩეხო-სლოვაკიის დელეგაცია

მოსკოვი, 21 ნოემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდა მუშათა დელეგაცია, რომელიც შესდგება 3 კომუნისტისა და 3 სოციალ-დემოკრატისაგან.

ნორვეგიის დელეგაციის მისალმება

ლენინგრადი, 21 ნოემბერი. ნორვეგიის მუშათა დელეგაციამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კალინინს:

„ნორვეგიის პროფკავშირთა დელეგაცია მხურვალეთ ულოცავს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წარმომადგენელს ორმოცდაათი წლის თავს.

ვადასტურებთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდას მთელი ქვეყნის მუშათა კლასის სასარგებლოდ.

დელეგაცია მანჩესტერიდან

მოსკოვი, 21 ნოემბ. მოსკოვში ჩამოვიდა მანჩესტერიდან ბითუმად შემსყიდავი საზოგადოების დელეგაცია თავმჯდომარის ჩარტერის მეთაურობით.

ჩარტერმა აცნობა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს, რომ დელეგაცია ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში მდგომარეობასთან ადგილობრივ გაცნობის მიზნით და საბჭოთა კავშირთან უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად. ინგლისის კოოპერაციის ინტერესებს ინგლისში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გატანის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირიდან, უმთავრესად ხორბლეულობის, ერბოსი და ბეწვეულობის. საბჭოთა კავშირში საზოგადოებას შეუძლია შემოიტანოს მანუფაქტურა, ყავა, ჩაი, ფეხსაცმელი და შაქარი.

ჩარტერის სიტყვით, ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო წრეებს ემჩნევა გარკვეული ტენდენცია იქითკენ, რომ განვითარდეს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულება. ამ ტენდენციას ამტკიცებს საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ თავიანთი საკრედიტო ვალდებულებათა პირნათლად ასრულება.

ჩვენი დელეგაცია

მოსკოვი, 21 ნოემბ. ამ დღეებში დასავლეთ ევროპაში მიემგზავრება საბჭოთა საავტომობილო მრეწველობის დელეგაცია ავტომობილების შესასყიდათ.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში

პრემიერის ძებნა გრძელდება

ლაპარაკების შემდეგ სკშინსკიმ მეორედ განაცხადა უარი პარლამენტის გარეშე მთავრობის მოწყობაზე. პრეზიდენტმა ვოიცეხოვსკიმ მიანდო მაშინ გრაბსკის მთავრობაში მყოფ ყოფილ მინისტრს რაშკევიჩს პარლამენტის გარეშე მთავრობის შედგენა.

ღამის 3 საათზე პიასტის პარტიის თხოვნით, სკშინსკი მეორედ მოვიდა პარლამენტში, სადაც გრძელდებოდა ფრაქციათა ლიდერების თათბირი სკშინსკის მონაწილეობით კოალიციონური მთავრობის შედგე[illegible] ანდო მას კოალიციონური მთავრობის შედგენა.

სკშინსკის იმედი აქვს დაამთავროს დღეს მთავრობის შედგენა. მაგრამ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ახალი მთავრობა მტკიცე არ იქნება.

სტეფან ჟერომსკის სიკვდილი.

ვარშავა, 20 ნოემბერი. გარდაიცვალა გამოჩენილი პოლონელი მწერალი სტეფან ჟერომსკი, ავტორი მრავალი რომანების.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

ლენინგრადი, 21 ნოემბერი. მოსკოვიდან ჩამოვიდა კაპაბლანკა. სადგურზე მას დახვდნენ საჭადრაკო სექციის დელეგატები, ყველა საჭადრაკო წრეების წარმომადგენლები და უმაღლესი სასწავლებლების მოწაფენი.

დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს კაპაბლანკამ აღნიშნა საბჭოთა მოჭადრაკეების მაღალი კვალიფიკაცია და ბრწყინვალე ტექნიკა მსოფლიო მასშტაბით.

ნაბიჯი წინ

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 21 ნოემბ. „პრავდა“ ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც აღნიშნავს:

„ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახ. კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება საგარეო ვაჭრობის და შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატების გაერთიანების შესახებ—არ იყო ჩვენთვის მოულოდნელი. ეს შედეგად მოჰყვა ჩვენი საქონლის ბრუნვას და მთელი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის განვითარებას. საგარეო ვაჭრობის პრობლემა ყოველ მხრივ იყო განხილული ცაკის უკანასკნელ პლენუმზე, სადაც გამოტანილი იყო სათანადო პოლიტიკური და საერთო ეკონომიური დასკვნები. ამ განხილვის შედეგები ჩამოყალიბებული იქნა შრომის და თავდაცვის საბჭოს უკანასკნელ დადგენილებების სახით.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სახით ჩვენ გვაქვს საკმაო საშუალება მსოფლიო ბაზარზე სრული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. საგარეო ბაზარზე გასვლის დროს ჩვენ ქვეყნის შიგნით არ უნდა დავსტოვოთ რაიმე ზღუდე იმ ორგანოებს შორის, რომლებიც აწესრიგებენ საგარეო და საშინაო საქონლის ბრუნვას—ეს იქნებოდა მთლიანი ერთეულის მხოლოდ ხელოვნური დაყოფა. ჩვენ თანდათან უფრო მძლავრად ვგრძნობთ, თუ როგორ გავლენას ახდენენ მსოფლიო ფასები ჩვენს შინაურ ფასებზე. აქ საჭიროა მაქსიმალური დაკავშირება, ამის განხორციელება კი შეუძლია გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს.

ჩვენი შინაურ ვაჭრობის გეგმიანობის ზრდა, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენ ვ ბრძოლოთ მეტად მწვავე საქონლის ნაკლებობასთან სამრეწველო საქონლის გეგმაშეწონილად შემოტანით, ამ საქონლის განაწილებით კოოპერაციის საშუალებით, ზედნადებ ფასების მოწესრიგებით და სხვა, აახლოვებს მას (შინაურ ვაჭრობას) მონოპოლიურ საგარეო ვაჭრობასთან და საშუალებას იძლევა გაერთიანებული იქნას ორივე სავაჭრო ორგანო ერთ საერთო მიმწესრიგებელ ორგანოში.

ის, რაც 1924 წელს აუცილებლად ითვლებოდა, მაგრამ არ ყოფილა მაშინ განხორციელებული, ეხლა გახდა უკვე რეალურ შესაძლებლობად. ამიტომ გაერთიანება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს“.

23 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში მოწვეულია

თბილისის აღმასკომის მორიგი

სხდომა, თემ-აღმასკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) თბილისის აღმასკომის 1925--26 წ. ბიუჯეტის განხილვა.
2) ინფორმაცია ადგილებიდან.

2-2 ნ. 268 პრეზიდიუმი.

აღმოსავლეთში

მდგომარეობა სირიაში

საფრანგეთის ჯარების სარდლობა ფიქრობდა, რომ დამასკის აღებით დამთავრდება ომი სირიაში, ყოველ შემთხვევაში, ფრანგებს იმედი ჰქონდათ, რომ იმქენათ სერიოზულად დაამარცხებდნენ აჯანყებულებს, რომ ამის შემდეგ ომი მიიღებდა დამსჯელი ექსპედიციის ხასიათს. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა აღმოჩნდა.

ომი გრძელდება. საფრანგეთის ჯარების მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება.

ფრანგების ცდა შეტევაზე გადასვლისა მარცხით დამთავრდა. მათ უხდება დახევა ძველ პოზიციებზე. ახლა დრუზების საზღვარზე საფრანგეთის 8 ათასიან არმიიდან მხოლოდ 4 ათასი კაცი დარჩა. დრუზები სცდილობენ საფრანგეთის ჯარის მოწყვეტას მათი მთავარი ბაზისაგან. თუ ეს შესძლეს დრუზებმა, საფრანგეთის ჯარი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება.

მართალია, სირიის მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდის, რადგან ფრანგებმა ყუმბარებით და ბომბებით გაანადგურეს თითქმის მთელი ნათესები. დიდი ნაკლებობაა აგრეთვე შაქრისა და მარილის, მაგრამ მეამბოხეებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ბრძოლა.

ახალი დაბრკოლებები წარმოიშვენ ფრანგებისათვის აგრეთვე სირიის ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც აჯანყებამ ფართე ხასიათი მიიღო. მღელვარება დაიწყო ქ. ხამში (ხომსა და ალეპპოს შორის). მოსახლეობას მხარი დაუჭირა მომთაბარე ბედუინთა ტომებმა. მათი დახმარებით მეამბოხეებმა დაიკავეს მთავრობის შენობები, რომლებსაც ცეცხლი წაუკიდეს. ადგილობრივი პოლიცია განაიარაღეს. 40 კაცისაგან შემდგარი ფრანგთა გარნიზონი ტყვეთ იქნა [illegible] დღემდი გრძელდება. რამდენიმე დღის შემდეგ აჯანყება მოედო ქ. ხომსაც. კავშირი რკინისგზით ამ ქალაქსა და ალეპპოს შორის გაწყვეტილია. ზოგიერთი სადგურები გადასწვეს აჯანყებულებმა. ამრიგათ კავშირი ჩრდილოეთ და სამხრეთ სირიის შორის შესწყდა.

ალეპპოს მიდამოებშიც დაიწყო მღელვარება. მეამბოხეები ხშირად ქალაქს უახლოვდებიან. აჯანყებულთა რიცხვი ათი ათასამდე აღწევს. ისინი კარგად არიან შეიარაღებული.

სირიის დანარჩენ ნაწილებშიც არ არის ყველაფერი რიგზე. ჯებელ-დრუზის ფრონტზე ფრანგების დამარცხებამ გავლენა იქონია დამასკზე. იქ გამოცხადებულია საალყო წესები. საავტომობილო მიმოსვლა ბეირუტსა და დამასკს შორის შეწყვეტილია. რაც შეეხება რკინისგზით მიმოსვლას, ის თითქმის შეწყვეტილია. მატარებლები იშვიათად დადიან სამხედრო რაზმების და ტანკების მფარველობით. სამხედრო სასამართლოები განუწყვეტლივ მუშაობენ. მცხოვრებლებს სრულიად უსაფუძვლოდ წამდაუწუმ აპატიმრებენ. ვაჭრობა თითქმის არ სწარმოებს. ქალაქებში და სოფლებში ყოველ წუთში მოელიან აჯანყებას.

აჯანყების გაფართოვებასთან ერთად, მოძრაობის ხელმძღვანელი ელატრაში დასთანხმდა არაბ ოფიცრების წინადადებაზე რეგულიარული არმიის შექმნის შესახებ. განზრახულია ცალკე ნაწილების შედგენა, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან სამხედრო განათლების მქონე ოფიცრები. დრუზების შტაბი გადატანილია ქვეყნის შიგნით.

რაც შეეხება საფრანგეთის არმიას, მის განახევრებულ რიგებში იბრძვის თეთრგვარდიელთა ერთი ბატალიონი დენიკინისა და ვრანგელის ყოფ. არმიის შემადგენლობიდან.

სირიის მეზობელ ქვეყნებში სიმპატიები დრუზებისადმი იზრდება. ქაი[illegible] მოსახენად. ფულადი შემოწირულებების შეკრება სწარმოებს ეგვიპტესა და პალესტინაში.

ბრძოლა საფრანგეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ სირიაში იზრდება და ფართოვდება და საეჭვოა, რომ ფრანგებმა შეინარჩუნონ იქ ბატონობა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სვერდლოვსკის ბაზრობა

სვერდლოვსკი, 20 ნოემბერი. 20 ნოემბერს მოხდა სვერდლოვსკის ბაზრობის გახსნა. ბაზრობაზე მონაწილეობას იღებს 130 სავაჭრო ორგანიზაცია.

ბაზრობაზე გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა.

სატყეო საქმისა და სელის მრეწველობისათვის

მოსკოვი, 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატთან არსებულმა საბიუჯეტო თათბირი დასთანხმდა რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების კომისარიატისათვის დამატებით 4.200.000 მან. გადადებაზე. ამ თანხიდან 1.200.000 მან. უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მოწყობას, 500,000 მან.—სატყეო საწყობების მოწყობას, სოფლის მცხოვრებთათვის ხე-ტყის მასალის მისაწოდებლად და 1 მილიონ 900.000 მან. სელის სამრეწველო ქარხნების ასაგებად.

თბომავლების აშენება

მოსკოვი, 21 ნოემბ. გზათა სახალხო კომისარიატის მიერ გათვისწინებულია თბომავლების შენების ფართო პროგრამა როგორც საბჭოთა კავშირის ქარხნებში, ისე საზღვარგარეთ. თბომავლების აშენება დაიწყება პირველ დეკემბერს.

გზათა სახალხო კომისარიატმა დანიშნა კონკურსი ისეთი საუკეთესო ტიპის თბომავლის გაკეთებისათვის, რომელიც საბჭოთა გზებზე გამოდგება.

ამხ. ვოროშილოვის დაჯილდოება

მოსკოვი, 21 ნოემბ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დააჯილდოოს ამხ. ვოროშილოვი წითელი დროშის მესამე ორდენით იმ დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის მას ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად ყოფნის დროს.

საქსოვი ფაბრიკები.

ლენინაკანი, 21 ნოემბ. მიღებულია საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებული საქსოვი ფაბრიკების პროექტი.

ამ პროექტის თანახმად მახლობელ 5 წლის განმავლობაში უნდა აშენებულ იქნას 5 საქსოვი ფაბრიკა: 4 ლენინაკანში და ერთიც კარაკლისში. ფაბრიკებში იმუშავებს 6.000 კაცი. ფაბრიკების აშენება და მოწყობა დაჯდება 11 ნახ. მილიონი მან.

15 წლის თავი.

მოსკოვი, 21 ნოემბერი. შესდგა საღამო ტოლსტოის სიკვდილიდან 15 წლის შესრულების აღსანიშნავათ. საღამო დამთავრდა მუსიკალური განყოფილებით; შესრულებულ იქნა მუსიკალური ნაწარმოებნი, რომლებიც ტოლსტოის უყვარდა.

ამინდი.

მოსკოვი, 20 ნოემბერი. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობების თანახმად, 20 ნოემბრიდან მოსალოდნელია თბილი ამინდი, დროგამოშვებით საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილში ძლიერი ქარები უბერავს.

საგარეო და შინა-ვაჭრობის კომისარიატების გაერთიანების გამო

ამხ. კრასინის აზრი

მოსკოვი, 21 ნოემბერი. კრასინის ბრძანებაში საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიმართ, რომელიც შეიცავს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობის მიმოხილვას დღიდან მისი დაარსებისა, სხვათა შორის ნათქვამია, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემამ არა თუ შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა, არამედ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობა აიყვანა უფრო მაღალ საფეხურზე იმასთან შედარებით, რაც იყო რევოლიუციამდე.

ამავე დროს ჩვენი შინაური ეკონომიკის სწრაფი აღდგენა უკანასკნელი წლის განმავლობაში, კარგი მოსავალი, გლეხობის მოთხოვნილების ულრესად გადიდება სამრეწველო და ნაწილობრივ აგრეთვე უცხოეთის საქონელზე, იმპორტის და მასთან დაკავშირებით ექსპორ[illegible]ბასთან დაკავშირებით,—ყველაფერი ეს ხშირად სვამდა ჩვენს წინაშე საკითხს საგარეო ვაჭრობის სახ. კომ. მუშაობის დაკავშირების შესახებ ისეთ სამეურნეო ორგანოებთან, სახ. კომისარიატი სმუშაობის, რომლებიც მასთან ახლო დგანან პრაქტიკულ მუშაობის პროცესში. მიმდინარე წლის საექსპორტო-საიმპორტო კამპანიამ გამოაშკარავა საგრძნობი დეფექტები საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მუშაობის შეთანხმების საქმეში. ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როცა ორივე სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ერთი და იმავე ამოცანის შესრულების დროს, როცა პარალელიზმი აძლიერებდა ორგანიზაციულ დაბრკოლებებს.

საკითხი ორივე სახალხო კომისარიატების შეერთების შესახებ შედარებით დიდიხანია წამოჭრილი იყო, მაგრამ არ იყო გადაჭრილი თვით [illegible]ტების შეერთება ობიექტიურად აუცილებელი და გადაუდებელი შექნა.

საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტი

მოსკოვი, 21 ნოემბ. საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს 17 ნოემბრის სხდომაზე განხილული იქნა საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები.

შეეხო რა საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტებს, ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა რეინგოლდმა აღნიშნა, რომ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები წელს მნიშვნელოვნად განმტკიცდენ და გაიზარდენ. ამ ბიუჯეტების საერთო ზრდა უდრის 52 პროცენტს შარშანდელი წლის ბიუჯეტებთან შედარებით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საკავშირო ბიუჯეტის საერთო ზრდა აღწევს მხოლოდ ერთ-მესამედს, ცხადი იქნება, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელს საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტებს აქვთ ტენდენცია გაუსწრონ საკავშირო ბიუჯეტს ზრდაში.

საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების ასეთი ზრდის წინააღმდეგ არ შეიძლება გალაშქრება, მაგრამ იბადება კითხვა, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ასეთი ზრდის ატანა. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი ამ საკითხის შესწავლის შემდეგ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავშირის საერთო საფინანსო მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები მხოლოდ 45 პროცენტით. წარსული წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ეს ზრდა იწვევდა დეფიციტს, რომელიც უნდა დაფარულიყო საერთო საკავშირო ბიუჯეტით. ბიუჯეტის ასეთი ზრდა წელს არანორმალურია, რადგან გვაქვს დირექტივი შევამციროთ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების დეფიციტი. დეფიციტის შემცირება ჩვენ მოვახერხეთ ისეთ დიდი უდეფიციტო ბიუჯეტების ხარჯზე, როგორიც საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა უკრაინის ბიუჯეტებია.

ბოლოს რეინგოლდი აღნიშნავს, რომ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების ზრდა მომავალში უნდა ემყარებოდეს, უწინარეს ყოვლისა საშემოსავლო ნაწილის ზრდას, რისთვისაც საჭიროა გადიდებული იქნას რესპუბლიკების არასაგადასახადო ხასიათის შემოსავალი.

საკავშირო სახ. კომისართა საბჭო შეუდგა საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის განხილვას და გამოიმუშავა დანარჩენი საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტების განხილვის წესი, ამ მიზნით დანიშნული იქნა სახ. კომისართა საბჭოს სპეციალური საგანგებო სხდომა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ფოთის ქალაქის დამზღვევი სალარო

ფოთი, 21 ნოემბერი. ფოთის ქალაქის დამზღვევი სალარო 15 ნოემბრისათვის აერთიანებდა 74 წარმოება—დაწესებულებას. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი უდრის 1827 კაცს. გარდა ამისა, დახმარება ეძლევა 82 ინვალიდს, 71 ქვრივს და ობოლს და 430 უმუშევარს.

დასასვენებელ სახლებში წარსულ სეზონში გაგზავნილი იყო: ბორჯომში—10 კაცი, წღვერში—35 კაცი, მცხეთაში—15. სურამში—50; კურორტებზე სამკურნალოთ გაგზავნილი იყო: ბორჯომში—4 კაცი, ცემში—2, არაზინდოში—18, აბასთუმანში — 9, წყალტუბოში — 60 კაცი.

საზამთრო კურორტზე სოხუმში, გაიგზავნა 3 კაცი; ამ დღეებში გაიგზავნება კიდევ 8 კაცი.

საექიმო დახმარება

ოზურგეთი, 27 ნოემბერი. ტყის სათემო გლეხკომმა რაიონში სამკურნალო პუნქტის უქონლობის გამო მოიწვია თავის ხარჯზე ექიმი, რომელიც ჩამოდის განსაზღვრულ დღეებში მცხოვრებლებისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

ოზურგეთის მაზრის პროდუქცია

საოპერაციო წლის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში გამოხდილი იყო 1.074.078,8 გრ. სპირტი; მთელი ეს სპირტი გასაღებულია. სულ შეკრებილია 12.000 ფუთი თამბაქო, აქედან გასაღებულია 5.780 ფუთი და 28 გირვ. ჩაის მოსავალი უდრის 25.933 კილო, გასაღებულია 21.620 კილო. აბრეშუმის პარკი—25.590 ფუთი; ყველა გასაღებულია.

სავალდებულო დაზღვევა.

ოზურგეთი, 21 ნოემბ. მაზრაში შემოღებულია საცხოვრებელი ბინების, საქონლის და ნათესების სავალდებულო დაზღვევა.

სამაზრო აღმასკომი შუამდგომლობს, რომ დაზღვევისაგან განთავისუფლებული იქნას მცხოვრებთა 30 პროც., ვინაიდან შენობები ყველა ხისაა, მცხოვრებლები კი ღარიბნი არიან.

მილიციონერების კურსები

ახალ-სენაკი, 21 ნოემბერი. გაიხსნა მილიციონერების ერთწლიანი კურსები, რომელიც დაარსდა სამაზრო აღმასკომის ინიციატივით, ჯერჯერობით კურსები მოწყობილია 20 კაცისათვის.

კურსები უნდა გაიაროს მილიციონერთა მთელმა შემადგენლობამ.

აბაშის ჰიდრო-სადგური

ახალ-სენაკი, 21 ნოემბერი. ახალსენაკის და ფოთის აღმასკომებს შორის დადებულია ხელშეკრულება აბაშის მომავალ ჰიდრო-სადგურის ელექტრონის ენერგიის გამოყენების შესახებ. ამის გამო წყალგარდნილის დასათვალიერებლად ჩამოვიდა ფოთის აღმასკომის თავმჯდომარე გოგია ინჟენერებთან ერთად.

აფხაზეთი

ტყის ხანძარი ჩაქრობილია.

სოხუმი, 21 ნოემბ. ტყის ხანძარი ჩაქრობილია ყველა ადგილებში.

სოხუმი, 21 ნოემბ. წარსული წლის განმავლობაში სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ დაამზადა 32 მილიონი ცალი პაპიროსი და 13464 კილოგრამი თამბაქო.

მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამაში გათვალისწინებულია წარმოების გაფართოება; დამზადებული იქნება 121 მილიონი ცალი პაპიროსი და 53.000 კილო თამბაქო.

ჩერვონეცი იპყრობს ევროპის ბაზარს

— ჩერვონეცი დაშვებულია ვენის ბირჟაზე.
— საფრანგეთში და პოლონეთში ფინანსიური კრიზისია.



ფრანკი და ზლოტი—გვიშველე, ვიღუპებით!
ჩერვონეცი—დრო არა მაქვს, ვენისკენ მივეჩქარები!

ა.-კ. სახელმწ. საგეგმო კომისიაში

სახელმწიფო დაზღვევა.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ამ.-კავ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს 1923—24 წლის ანგარიში.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ აღნიშნა, რომ სამმართველოს მოხსენებაში სათანადოთ გაშუქებული ვერ არის სახელმწიფო დაზღვევის პრაქტიკის და პოლიტიკის საკითხები, ამის გამო საკითხი დამატებით დასამუშავებლათ გადაეცა სექციას.

სექციამ სათანადოთ უნდა გააშუქოს შემდეგი საკითხები: დაზღვევის განაკვეთები დაზღვევის ცალკე სახეების შესახებ და მათი შემცირების შესაძლებლობა, ზედნადები ხარჯები, შტატის შესანახავი ხარჯები, შრომის ხელფასის მიცემის პირობები, დაზღვევა სეტყვისაგან და საქონლის დაზღვევა, განაკვეთების ყოველწლიურათ განხილვის წესის შესახებ, დაზღვევის სტატისტიკის საქმის და[illegible]ვათების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში წარადგინოს საგეგმო კომისიაში მოხსენება და საჭირო მასალები აღძრული საკითხების შესახებ.

სახელმწიფო ტყეებით სარგებლობა.

ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო სექციას ადგილობრივი მნიშვნელობის, ტყეების გამოყოფის გამო დაამუშავოს საკითხი სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის შესახებ.

ტყავის დამზადება ამიერკავკასიაში.

1925—26 წელში დასამზადებელ ტყავის რაოდენობა ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განსაზღვრა 85.000 მსხვილი ტყავით და 200—250 ათას წვრილი ტყავით.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ შეუძლებლათ სცნო მსხვილი ტყავის გატანა ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან, რადგან ეს ტყავი საჭიროა ამიერ-კავკასიის ტყავის მრეწველობისათვის. წვრილი ტყავის გატანა განსაზღვრულია 120 ათასი ცალით.

საგეგმო კომისიამ დაადგინა საჭირო კრედიტი განსაზღვრული იქნეს [illegible]ვოს შრომის და თავდაცვის საბჭოს, რომ ეს თანხა შეტანილი იქნეს ტყავის დამზადებისათვის მისაწოდებელ ფინანსების საერთო თანხაში.

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა ორი კვირის განმავლობაში შეიმუშავოს ტყავის საკონვენციო ფასები და განსახილველათ წარადგინოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

ჟურნალისტის წერილები

2. მსოფლიო ომის შედეგები, ახალი ომის საფრთხე და მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკა *)

ახალი მსოფლიო ომის საფრთხე

ქ. კაუცკის ეკუთვნის ერთი მეტად „ბრძნული" მოსაზრება თანამედროვე იმპერიალიზმის შესახებ. ომის პირველ ხანებში ის ამტკიცებდა და საჭიროდ მიაჩნდა პროლეტარიატის ბრძოლა არა კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ მისი პოლიტიკის წინააღმდეგ; კაუცკი ფიქრობდა, რომ პროლეტარიატის ძალდატანებით შესაძლებელი არის კაპიტალიზმი ჩაითრიოთ დემოკრატიული პოლიტიკის გატარებაში, მაშინ მოისპობა იმპერიალისტური წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის და დაიწყება პერიოდი სუპერ-იმპერიალიზმის, ან იმპერიალისტური ჰარმონიისა. თავის დროზედ კაუცკის ასეთი ცრუ დემოკრატიზმი და არა მარქსისტული მიდგომა საკითხისადმი მთელი თავისი სიტიტვლით გამოამზეურა ლენინმა. მაგრამ კაუცკიანური ოპორტუნიზმი მაინც სცოცხლობს ჯერ კიდევ ევროპის სოციალისტურ წრეებში. სიმართლე რომ ვსთქვა ასეთი გზები კაპიტალისტურ ევოლიუციისა რეფორმიზმის დასაყრდენ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს: რეფორმიზმი ხომ მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეა და კაპიტალიზმის მშვიდობიან განვითარებაზე აგებს თავის სამოღვაწეო პროგრამას, სოციალიზმის განხორციელების საქმეს. რეფორმიზმი სცდილობს დაამტკიცოს, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი უკვე შევიდა მშვიდობიანობის პერიოდში და ხანა იმპერიალისტური კონფლიქტებისა დიდი მანძილით არის გავლილი ჩვენი თაობის მიერ. რეფორმისტულ მოსაზრებაზე არის აგებული, ეგრედ წოდებული, სამეურნეო დემოკრატიის თეორია. ამავე დებულებებს ემსახურება იმპერიალისტური ჰარმონიის მოსაზრებანიც. ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთ თეორიას დღეს იცავენ, არა სოციალ-იმპერიალისტები კუნოვ-დავიდ შეიდემანის სახით, არამედ ყოფილი „ცენტრისტებიც" კაუცკისა და ჰილფერდინგის პირით.

უკანასკნელმა 1921—22 წლებში საკმაოდ ვრცელი წერილები მოათავსა გაზეთებში ახალი პერიოდის იმპერიალისტური ჰარმონიის დასამტკიცებლად. კომინტერნის მე-4-ე კონგრესზე ამხ. ტალჰაიმერმა ცხადჰყო ამ მტკიცების მთელი სიყალბე.

რამდენად მართალია კაუცკი-ჰილფერდინგის მოსაზრებანი.

ყველასათვის ნათელი არის, რომ ომმა მთელი თავისი სიძლიერით შეარყია ძველი წონასწორობა და კაცობრიობა ახალი კონფლიქტების წინაშე დააყენა. მთელი რიგი პოლიტიკურ, კოლონიალურ და ეკონომიურ კითხვებისა ომმა გამწვავებულ მდგომარეობაში დატოვა და კვლავ იარაღს ელის დასახმარებლად. მართალია ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია დამარცხდა და გერმანეთი, როგორც დიდი მეტოქე პოლიტიკური ძალა, დღევანდელ პირობებში მაინც, ამოშლილი არის მსოფლიოს ურთიერთობიდან, მაგრამ ინტერესთა წინააღმდეგობანი აღიმართა თვით მოკავშირე სახელმწიფოთა შორის და კვლავ იმპერიალისტური ქიშპობა სდგას ცენტრში. მსოფლიო კვლავ ახალი საერთაშორისო ომის საფრთხის წინაშე დაყენებული, უფრო საშინელი და უფრო განმანადგურებელი ომის, ვინემ ის იყო 1915--1918 წ.წ.

კომუნისტურმა აზროვნებამ შემდეგი უმთავრესი ფაქტორები აღნიშნა მომავალ ომის გამომწვევ მიზეზად *).

1) ომის ზეგავლენით ეკონომიური წონასწორობის დარღვევა, კაპიტალისტური სისტემის კრიზისი და გაცხოველებული ბრძოლა იმპერიალისტური სახელმწიფოებისა სხვადასხვა სამეურნეო რაიონების დასაპყრობად. სწორედ ამ ეკონომიური ბრძოლის შესახებ სწერდა ამერიკული სენატორი პეტიგრუ შემდეგს: „ამჟამად ყოველი წევრი ამ დიდ „ხუთეულიდან" დაინტერესებულია იმავე ეკონომიური ბრძოლებით, რომელნიც წინ უსწრებდენ 1914 წლის ომს. ინგლისელები და ამერიკელები აშკარად აწარმოებენ ბრძოლას ნავთისათვის; იაპონელები სცდილობენ გამოდევნონ დასავლეთის ბანკირები ჩინეთიდან; საფრანგეთი და იტალია სასტიკი მოქიშპენი არიან ხმელთა შუა ზღვაზე; ინგლისი და საფრანგეთი იბრძვიან ცენტრალურ ევროპის მადნებისათვის და ახლო აღმოსავლეთში". (იხ. პეტიგრუ. „Торжествующая демократия" გვ. 354, 1922 წ.) პეტიგრუს მიერ აღნიშნული „მინიმუმი" მხოლოდ ნაწილი არის იმ მისწრაფებათა, რომელნიც შეადგენს იმპერიალისტური სახელმწიფოთა სამეურნეო პროგრამას.

2) ომმა დაარღვია პოლიტიკური და სამხედრო წონასწორობა მთელს მსოფლიოში და აქედან წარმოსდგა ბრძოლა ახალი წონასწორობის შექმნისა და ახალი ჰეგემონიის დასამყარებლად, რასაც ახალი კონფლიქტებისაკენ მივყევართ. ამ ბრძოლის მთავარი ფაქტორები შეიძლება გამოიხატოს: ა) ინგლის საფრანგეთის კონფლიქტში, ბ) იაპონია-ამერიკის კონფლიქტში წყნარ ოკეანეს სფეროში თავიანთ ბატონობის დასამკვიდრებლად, გ) საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კონფლიქტში, დ) ბალკანეთზე, ადრიატიკის, ბალტიის სანაპიროებზე არსებულ სახელმწიფოთა კონფლიქტში, ე) გერმანეთისა და საფრანგეთის კონფლიქტში. 1922 წ. ლენინი სწერდა ომის შესახებ: „ომი შეიძლება დღე-დღეზედ წამოიჭრას ინგლისისა და საფრანგეთის ბრძოლის ნიადაგზე, რომელიმე დეტალის შესახებ ოსმალეთთან ხელშეკრულების გამო, ან და ამერიკასა და იაპონიის შორის უმნიშვნელო უთანხმოების გამო, რომელიმე წყნარ-ოკეანეს საკითხის შესახებ, ან და რომელიც გნებავთ სახელმწიფოთა შორის კოლონიალურ დავათა ან და საბაჟო პოლიტიკის და საერთოდ სავაჭრო პოლიტიკის დავის ნიადაგზე" (იხ. ქ. „Коммунистический Интернационал" 1924 წ. № 2) სრულიად უმნიშვნელო ფაქტორებს შეუძლიათ გამოიწვიონ ომი იმიტომ, რომ თანამედროვე პირობებში მოვლენები და ფაქტორები მაგარ ინტერესთა რგოლებით არის ერთმანეთზე გადაბმული.

3) კაპიტალიზმის განვითარებამ და ომმა გამოაღვიძა მიძინებული ნაციონალური გრძნობანი და ეროვნული მოძრაობაც დიდ ფაქტორებს წინაშე დაგვაყენა. კოლონიალურ და დაჩაგრულ ერთა ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის თანამედროვე ეპოქას დამახასიათებელ მომენტს შეადგენს. ჩინეთის, მაროკოს და სირიის ბრძოლა სწორეთ საუცხოვო ილიუსტრაცია არის ამ ფაქტისათვის. მაგრამ ნაციონალური მოძრაობის და ბრძოლის ფერხულში ებმის არა მარტო [illegible] აღმოსავლეთი, არამედ ევროპის ქვეყნებიც. ეს ფაქტორები თავისავე საშოში ატარებენ, ომის გამომწვევ მიზეზებს.

4) ომის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს მარინიზმისა (შეიარაღება ზღვაზე) და მილიტარიზმის გაცხოველება.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფონი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ შეიარაღების საქმეში. ბიუჯეტის მილიტარიზაცია დღეს-დღეობით უმწვერვალეს წერტილს აღწევს. ჯარის რიცხვის გადიდებასთან ერთად ხდება საომარი ელემენტების გაუმჯობესება, ტეხნიკური გადახალისება: შენდება ახალი სისტემის საომარი ჰაეროპლანები, დრედნოუტები და კრეისერები, მზადდება შორს მტყორცნელი ზარბაზნები, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ომის ქიმიურ წარმოების საქმეს; კაპიტალისტური სახელმწიფონი განსაკუთრებული ენერგიით ცდილობენ განავითარონ ქიმიური მრეწველობის საქმე თანამედროვე პირობებში, რომ ამით შექმნან მძლავრი ბაზა ქიმიური ომის საწარმოებლად მსოფლიო კონფლიქტის პერიოდში. საერთაშორისო ომმა მეტად „ძვირფასი" მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას: ომის წარმოების საქმეში მოწამლავი და გამანადგურებელი გაზების გამოყენება და ამით საფუძველი ჩაუდგა ომის ქიმიურ წარმოებას. პირველად 1915 წ. აპრილში გამოიყენეს გერმანელებმა მოწამლავი გაზები (იხ. „Фрейс" Химическая война—1924 г.). სამხედრო საქმის ერთ-ერთი სპეციალისტი სწერდა: „1914—18 წ. წ. ომმა დაიწყო სრულიად ახალი მეთოდი ბრძოლისა: სამხედრო-ქიმიური. მხოლოდ ამ ბრძოლის ფორმა ატარებს ნამდვილ სახეს სიახლისა და თავისებურობისას. მხოლოდ ავიაციამ და გაზების ბრძოლამ გაშალეს ახალი ჰორიზონტები სამხედრო საქმეში".

ომამდე სახელმწიფოთა საზღვრების დაცვის საკითხი დაკავშირებული იყო უმთავრესად ორ მთავარ სამხედრო ორგანიზაციის მოწყობასთან: ხმელეთის სამხედრო არმიასთან და საზღვაო-სამხედრო ორგანიზაციასთან. ომმა კი განსაკუთრებული სიძლიერით წამოუყენა საჰაერო ფლოტს საკითხიც, რომელმაც ძლიერ დიდი ცვლილება შეიტანა სახელმწიფოს თავდაცვის ორგანიზაციისა და საერთოდ ომის წარმოების საქმეში. საჰაერო ფლოტის განვითარება და მისი ჩაბმა ომის პროცესში თავის თავად მოითხოვს არა მარტო რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიალური და სტრატეგიული პუნქტის დაცვას, არამედ მთელი სახელმწიფოს ტერიტორიის თავდაცვითი მდგომარეობაში ყოლას.

საჰაერო ფლოტილია და ქიმიური ომი გადამწყვეტ როლს თამაშობენ ომის წარმოების საქმეში. აი როგორი ფერადებით გვიწერს ინგლისის პარლამენტის საჰაერო კომიტეტის თავმჯდომარე ამ ომის საქმეს: „ერთს მშვენიერ დღეს, 14 ათას უხმაუროდ მფრინავ ჰაეროპლანს, რომელნიც არ დაუცდიან სრულიად უსარგებლო ომის გამოცხადებას შეუძლიათ შემოესიონ ჩვენს ქალაქებს 200—800 კილომეტრის სიჩქარით საათში და ისეთ სიმაღლეზედ, რომლის დანახვა ძნელი არის. თვითეულ ასეთ ჰაეროპლანს შეუძლია გადმოაგდოს ბომბი, რომელიც შეიცავს 50 ფუთ ამაფეთქებელ მასალას. ერთი ასეთი ბომბი საკმარისია, რომ მოისპოს ლონდონის მთელი კვარტალები. სწორტყორცნა ამ ბომბის სროლისა ისე არის განვითარებული, რომ ჰაეროპლანიდან, რომელიც იმყოფება 6.000 ფუტის სიმაღლეზე, შეიძლება ჩამოაგდოთ ბომბი სამხედრო გემის მილში". (იხ. პავლოვიჩის წიგნი: „ქიმიური მრეწველობა და ქიმიური ომი", აგრეთვე მისივე მეხუთე ტომი—გვ. 325). საჰაერო ფლოტის განვითარებამ გადალახა მანძილი და მდებარეობის სირთულეები და ომის კონფლიქტებს წმინდა ინტერნაციონალური შინაარსი მისცა. ამიტომ არის, რომ ომის შემდეგ პერიოდში საჰაერო ფლოტსა და ქიმიური ომის საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმპერიალისტური სახელმწიფონი.

სამხედრო საქმეში ჯერ კიდევ თავის ძალაში რჩება, თუმცა არა ძველი შინაარსით, საზღვაო ავტორიტეტის ადმირალ მაგანის განცხადება: „ის, ვინც ბატონობს ზღვებზე, ბატონობს მთელს მსოფლიოზედ"-ო. თანამედროვე პოლიტიკის დასახასიათებლად საზღვაო შეიარაღების საქმეში დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ამერიკის სამხედრო მინისტრის ამხანაგის რუზველტის შემდეგი სიტყვები: „ყოველი განცხადება ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრისა ეყრდნობა ჩვენი საზღვაო ფლოტის ძალას. სამხედრო ფლოტი გარდაქმნის ამ განცხადებებს უბრალო, უნიადაგო მოსაზრებებიდან ისეთ განკარგულებად, რომელიც აძულებული ხდის ყველა სახელმწიფოებს სერიოზული ანგარიში გაუწიონ მას". აქ გამოთქმული არის მთელი შინაარსი საზღვაო პოლიტიკისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

თანამედროვე პირობები კაპიტალისტებსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლიათ არსებობა და განვითარება თუ ისინი თავიდან ბოლომდე არ არიან შეიარაღებული; აქედან ბიუჯეტის მილიტარიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მომენტია ომის შემდეგი პერიოდისა: უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ბიუჯეტისა დღეს-დღეობით სამხედრო შეიარაღებისა და ომისათვის მზადების საქმეს ხმარდება, ამის დასამტკიცებლად საკმარისია შემდეგი ცნობა: 1913—14 წლებში ამერიკა სამხედრო შეიარაღებისათვის ხარჯავდა 316.000.000 დოლარს; 1921 წ. ეს თანხა ავიდა 11.845.000.000 დოლარამდე, ე. ი. ომის გათავების და ზავის ჩამოგდების შემდეგ ამერიკის სამხედრო ხარჯები გაიზარდა 11 მილიარდ 529 მილიონი დოლარით, ანუ 37-ჯერ. ეს არ არის მარტო ამერიკის დამახასიათებელი მოვლენა: ასეთსავე ფაქტებს ვხედავთ ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოს ცხოვრებაში: იტალიის ყოფილი პრემიერი ფრ. ნიტტი სწერს: „რაც დამახასიათებელია თანამედროვე ევროპისათვის—ეს არის ის, რომ დაუყოვნებლივ ვაშინგტონის კონფერენციის (1921 წ.) შემდეგ ამ თავდაცვისა და განადგურების იარაღების წარმოება გაგრძელდა უფრო დიდი მასშტაბით, ვინემ კონფერენციის წინ წარმოებდა" (იხ. ნიტტი „Вырождение Европы") (ცოტა ქვევით იგივე ავტორი სწერს: „ევროპაში ამჟამად იარაღ ქვეშ სდგას უფრო მეტი ჯარისკაცი, ვინემ ომამდე იყო. დამარცხებულნი განიარაღებულნი არიან, მაგრამ გამარჯვებულნი იარაღდებიან სულ უფრო და უფრო. ასევე იქცევიან ახლად აღმოცენებული სახელმწიფონიც და ისინიც, რომელთა მცხოვრებლების რიცხვი გამრავლდა დამარცხებულთა ხარჯზე. რაც უფრო ფართოვდება ძალდატანების სისტემის გამოყენება პოლიტიკაში, მით უფრო დიდდება არმია. უსამართლობა, რომელიც მიაყენეს დამარცხებულთ, აყენებს გამარჯვებულთ უფრო და უფრო უხერხულ მდგომარეობაში" (იქვე).

რას გვეუბნება ეს ფაქტიური მასალები იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებისა და საერთოდ მათი პოლიტიკის შესახებ? ნუ თუ ეს ფაქტები იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ჰარმონიულ თანამშრომლობაზე ღაღადებენ და გვიხსნიან ახალი მშვიდობიანი ეპოქის დაწყებას მსოფლიოში? ნუ თუ ეს ფაქტები თავდაყირა არ ატრიალებენ ჰილფერდინგ-კაუცკის რეაქციონურ კონცეპციას იმპერიალისტური ჰარმონიისა და „სამეურნეო დემოკრატიის" შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცნობები ძირშივე სპობენ ყოველგვარ ასეთ დახასიათებას თანამედროვე ეპოქის შესახებ. ამას ღაღადებენ არა მარტო ფაქტები, არამედ მთელი რიგი ბურჟუაზიულ პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ნარკვევები ომის შემდეგი პერიოდის მდგომარეობის შესახებ. ამასვე ღაღადებს მეორე ინტერნაციონალის ვითომდა მემარცხენე ფრთა ო. ბაუერისა და ფ. დანის პირით. ეს უკანასკნელი რ. ს. დ. პარტიის ორგანოში („სოციალისტური უწყება") ივნისში სწერდა:

„რასაკვირველია, მთელი მსოფლიოს „წონასწორობა" აგებული არის ფუჭე საფუძველზე. მსოფლიო ომმა დაუტოვა ახალ ეპოქას მემკვიდრეობად უმწვავესი ეკონომიური, პოლიტიკური და ნაციონალური პრობლემათა მთელი წყება და მასთანავე შეეცადა, რომ ყოველის მხრით შეეფერხებინა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტა. ახალი ცხოვრებისათვის იღვიძებენ აღმოსავლეთის ერები და კოლონიები და ამით ცვლილება შეაქვთ მსოფლიოს ეხლანდელ ძალთა სისტემაში. მსოფლიო კაპიტალიზმის „სტაბილიზაცია" ტარდება მხოლოდ შეუწყვეტელი და მტანჯავი კრიზისების საშუალებით, რომელნიც სულ უფრო და უფრო მოაგონებენ მშრომელთა მასებს იმ გაუმჯობესებათა მერყევი ხასიათის შესახებ, რომელნიც მათ შეუძლიათ მოიპოვონ კაპიტალისტური წესწყობილების პირობებში. ცუდი სოციალისტი არის ის, რომელიც მხედველობიდან უშვებს ყოველივე მომხდარსა და იმ გრანდიოზულ შერყევებს, მომავალში რომ მოგველის კიდევ, ცუდია ის სოციალისტი, რომელიც თვალებს ხუჭავს კაპიტალისტური „სტაბილიზაციის" ერთობ შედარებითი და სათუო ხასიათის წინაშე და დღის წესრიგიდან მოხსნილად სთვლის სოციალისტური განთავისუფლების ამოცანას"... (ფ. Дан: „Пролетариат и Демократия в России" ჟურნალი „Социалистический Вестник" № 14/108. გვ. 3—4).

მაგრამ ჩვენ გვინდა ვკითხოთ დანს: რომელ ბანაკში ბრძანდებიან ის „სოციალისტები", რომელნიც მოხსნილად სთვლიან დღის წესრიგიდან სოციალისტური განთავისუფლების ამოცანას და კაპიტალიზმის ყოველ მხრივი სტაბილიზაციაზე ღაღადებენ. ნუ თუ დანმა არ იცის, რომ ეს „სოციალისტები" მეორე ინტერნაციონალის ყველაზე უფრო აქტიურ წევრებს შეადგენენ და ამასთანავე ზურგს უმაგრებენ ყველაზე უფრო გახრწნილ კაპიტალისტურ მთავრობებს. დანმა კარგად იცის, რომ მეორე ინტერნაციონალის

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 268.

*) დაწვრილებით ამ მიზეზების შესახებ იხ. М. Павлович Собр. соч. т. V გვ. 251 და სხ. 1925 წ.

პარტიული ცხოვრება

კიდევ შინა-პარტიული დემოკრატიის შესახებ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, პარტიულ ცხოვრებაში, მოთავსებული იყო კორესპონდენცია ლეჩხუმიდან სამაზრო პარტკონფერენციის შესახებ. კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კონფერენცია ჩატარებულ იქნა დემოკრატიზმის წესით, პარტიული მასა აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონფერენციის მუშაობაში და სამაზრო პარტიული ორგანოების არჩევნებში. და-ხლოვებით ასეთივე ცნობები მოდის სხვა მაზრებიდანაც.

რაც უნდა გადაჭარბებული იყოს ეს ცნობები—ერთი კი ცხადია, რომ ადგილებზე ჩვენმა პარტიულმა ორგანოებმა სწორათ გაიგეს პარტიის ხაზი შინა-პარტიული დემოკრატიის განხორციელების საქმეში და შესაფერ მუშაობასაც აწარმოებენ მის ცხოვრებაში გასატარებლათ. ამას კი უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, პარტიულ მასებში იზრდება აქტივობა. პარტიის წევრი აღარ კმაყოფილდება იმით, რომ მის მაგიერ სხვამ აკეთოს საქმე; მას უნდა ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით თვითონაც შეიტანოს წვლილი საერთო საქმეში.

ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა ამ მდგომარეობას თავის დროზე აუღეს ალღო და ცკ-ს უკანასკნელ პლენუმის დადგენილება კიდეც კატეგორიულათ მოითხოვდა ადგილობრივი ორგანოებიდან შინა-პარტიული დემოკრატიის გატარებას. ეს მით უმეტეს, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა პარტკონფერენციებსა და პარტყრილობაზე წარმოდგენილი ყოფილიყო მთელი პარტია, რომ მთელ პარტიულ მასას მიეღოს აქტიური მონაწილეობა დადგენილებებისა და რეზოლიუციების გამომუშავებასა და მათი ცხოვრებაში გასატარებლათ. ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს დადგენილების გამომუშავებაში, ის კიდევაც ცდილობს ამ დადგენილებას ხორცი შეასხას. ხოლო ეს კი შესაძლებელია იმდენათ, რამდენათაც ცხოვრებაში ტარდება შინა-პარტიული დემოკრატია.

ამ მხრით ჩვენ უსათუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით წინ. ადგილობრივი პარტიული ორგანოები პარტიის ცეკას ხაზს შინა-პარტიული დემოკრატიის შესახებ თანდათან ითვისებენ.

რასაკვირველია, აქა-იქ ჯერ კიდევ ექნება ადგილი გადახრას, მაგრამ ეს საშიში არაა, პარტია შესძლებს ამის გამოსწორებას.

ამის შემდეგ ჩვენთვის უფრო ადვილი გახდება დემოკრატიულობის დაცვა საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვ. სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოებში. რადგან ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა ეს ხაზი—ხაზი დემოკრატიზმის გატარების შესახებ პარტიის შიგნით, შედარებით სწორათ გაიგეს; ეს თავდებია იმისა, რომ ეს ამხანაგები სწორათ გაიგებენ ამავე ხაზის გატარების აუცილებლობასაც საბჭოთა არჩევნებში, პროფკავშირებში და სხ.

ამრიგად ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა—პარტიული და უპარტიო მასების ყველა ფენების ამოქმედება, თანდათან ტარდება ცხოვრებაში. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი პარტიის რიგებს, ეს კიდევ უფრო გააძლიერებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს.

ო. ე.

ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად

არასოდეს ჩვენი ქალები ისე ფართოდ არ ყოფილან ქვეყნის აღმშენებლობაში ჩაბმულნი, როგორც დღეს. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს, რომ საუკუნეთა განმავლობაში მამაკაცის ბატონობის ქვეშ აღზრდილი ქალი სავსებით გავანთავისუფლოდ, მაგრამ არც იმის თქმა შეუძლია ვისმეს, რომ ამ მხრივ ჩვენში თითქოს მუშაობა არც კი დაწყებულა.

წარსულ საბჭოთა არჩევნებში ყოველგან [illegible] საც ვირჩევდით. შარშან რამოდენიმე ადგილას საბჭოს თავმჯდომარეთ ქალიც კი ავირჩიეთ. წელს საბჭოს წევრებად არჩეულ ქალთა რიცხვი უეჭველად მეტი იქნება და ასე ყოველთვის, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოში ყველა არჩეული ქალი იმდენათ მომზადებული იყოს, რომ ის საზოგადოებრივ აღმშენებლობაში აქტიურად ჩაებას. ამისათვის აუცილებელია ქალთა შორის პოლიტიკური და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება. თუ ამ მხრივ რამოდენიმეთ დამაკმაყოფილებელ მუშაობას ვეწევით ქალაქად,—სოფლად ქალთა შორის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს. ცხადია, იქაც უმთავრეს მიზეზათ სოფლად კულტურულ და მომზადებულ პარტიულ ძალების სიმცირე წარმოადგენს. მაგრამ ამ დაბრკოლების დაძლევა შესაძლებელია. სოფლად ჩვენ გვყავს უპარტიო ინტელიგენცია, მასწავლებლობა, რომელიც დაგვეხმარება [illegible] ჩვენი ამხანაგები შესძლებენ მათ მიზანშეწონილად გამოყენებას.

აქ ხაზი უნდა გაუსვათ კიდევ ერთ გარემოებას.

როგორც აღვნიშნეთ, თუ ჩვენ არ შევეცადეთ და ქალთა მომზადება არ ავსწიეთ, ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა დიდ დაბრკოლებას წააწყდება, რადგან ჩვენი მომავალი თაობა დღესაც, ისე როგორც ყოველთვის, უმეტეს წილად დედების გავლენის ქვეშ იზრდება და თუ ჩვენი დედები შეგნების მხრივ ვერ გარდავქმენით,—შორს ვერ წავალთ.

სამწუხაროთ, ბევრნი ამ საკითხის მნიშვნელობას ჯერ კიდევ სავსებით ვერ განიცდიან, ბევრნი ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას უგულოთ ეკიდებიან. მრავლათ ყოფილა და არის ისეთი შემთხვევები, როცა პარტიული ამხანაგი თავის ცოლს კრებებზედაც კი არ უშვებს. ამხანაგების ასეთი საქციელი მიმართულია ქალთა საზოგადოების პოლიტიკური გათვითცნობიერების წინააღმდეგ და ამდენათ ის დაუშვებელიცაა.

ამხ. ტროცკი თავის ცნობილ „ყოფა-ცხოვრების საკითხებში“ ამაზე შემდეგს ამბობს:—„ზოგჯერ რომელიმე დამსახურებული კომუნისტი ქალის შესახებ ისეთ რამეს იტყვის, რომ პირდაპირ ოთახიდან უნდა გამოვარდე“-ო. თუ ასე მსჯელობენ მოწინავე ამხანაგები, ცხადია, უფრო მეტს უნდა მოველოდეთ შედარებით ნაკლებად მომზადებულისაგან. ასეთ გადახრას კი უნდა ვებრძოლოთ.

ამრიგად, ქალთა შორის მუშაობა უნდა გაძლიერდეს. ქალთა პოლიტიკურ-კულტურული განვითარების დონე უნდა ავამაღლოთ. ამ მიზნის განხორციელებისათვის კი საჭიროა სოფლის კულტურულ ძალების ამოძრავება, ადგილობრივი ქალთა წრეების ამოქმედება და პარტიულ ამხანაგებში ქალთა შორის მუშაობისადმი ყოველგვარი გულგრილობის აღმოფხვრა.

ა. ვარლამისძე.

წერილები ადგილებიდან

თბილისი

„ზაკაუს“ უჯრედი

ჩვენი უჯრედი აერთიანებს 414 წევრს და კანდიდატს.

როგორც ვხედავთ, უჯრედი იმდენად დიდია, რომ ის ზოგიერთ შემთხვევაში, სამაზრო ორგანიზაციასაც კი უდრის.

უჯრედში სხვადასხვა ეროვნების წევრებია. აქ ისმება კითხვა: როგორ მიმდინარეობს უჯრედის მუშაობა, როგორ ეწყობა სხდომები? უჯრედის სხდომების მოწყობა მეტად ძნელი ხდება. სხდომებზე დასმულ საკითხების გარჩევაშიაც ამხანაგების მონაწილეობა მოისუსტებს.

რაც შეეხება უჯრედის ბიუროს მუშაობას, ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია: ბიუროსთან არსებობს ორი მთავარი კომისია: საორგანიზაციო და სააგიტაციო-საპროპაგანდო. საორგანიზაციო კომისია მუშაობას აწარმოებს ორი მიმართულებით უნივერსიტეტის შიგნით და მის გარე. საგ.-საპროპაგანდო კომისია კი ხელმძღვანელობს პარტწრეების, სარედაქციო კოლეგიის, ქალთა შორის, საშეფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ბიუროების მუშაობას.

იმისათვის, რომ უჯრედში მუშაობა გამოცხოველებულიყო, ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი უჯრედის დაყოფის შესახებ. ქალაქის რაიკომთან მოწყობილ უმაღლეს სასწავლებლების უჯრედთა პრეზიდიუმების თათბირმა და თბ. კომ. საორგანიზაციო განყოფილებამ უჯრედის დაყოფა მიზანშეწონილად იცნეს.

ამჟამად გადაწყვეტილია, რომ ა | ქ. უნ-ში ჩამოყალიბდეს სამი უჯრედი: ერთი 3-ე კურსზე, ერთი 2-ეზე და ერთიც 1-ლ და მოსამზადებელ [illegible] უნდა იქნეს 4 ნაციონალური სექციები: ქართული, რუსული, თათრული და სომხური.

სამივე ეს უჯრედი გაერთიანებული იქნება ერთ მთლიან პარტკოლექტივში, რომელსაც ეყოლება თავისი ბიურო.

უჯრედის ამ ასეთი წყობა ამხანაგებში დასძლევს იმ პასიურობას, რომელსაც დღეს ადგილი აქვს.

ალინი.

დიდი-ვანი (ოზურგ. მაზრა)

კომუჯრედის მუშაობა გამოცხოველდა.

დიდ-ვანში კომუჯრედი არსებობს 1921 წლიდან. პირველ ხანებში უჯრედი ითვლიდა 10 წევრს, ამჟამად კი ის აერთიანებს 25-ს. კრებები ეწყობა სისტემატიურად. წინად ამ კრებებს არ ესწრებოდნენ უპარტიონი. მაგრამ ბიუროს გადაახალისების შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა. უჯრედთან არსებობენ პოლიტიკური და ქალთა წრეები. ჩამოყალიბებულია აგრეთვე „წერკუმსის“ და „რემეოსის“ უჯრედები, რომლებიც სათანადო მუშაობას აწარმოებენ.

უჯრედის ცხოვრებაში ერთ სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. უჯრედის წევრთა უმრავლესობა პარტიაში შემოსულია 1921 წლიდან. მაგრამ სხვადასხვა გაუგებარ მიზეზების გამო ეს ამხანაგები დღესაც დაუმტკიცებელი არიან. სამაზრო კომიტეტმა ამას უნდა მიაქციოს ყურადღება.

ა. დიდვანელი.

ახალგაზრდა კომუნისტური გვარდია

სოფ. ზომლეთი (გურია)

ჩვენი უჯრედის ავტორიტეტი იზრდება

სოფ. ზომლეთში კომკავშირის უჯრედი დაარსდა 1921 წელს. პირველ ხანებში უჯრედი აერთიანებდა 17 წევრს, ეხლა კი 78-ს. ეს დიდი მიღწევაა. უჯრედის ასეთი ზრდა აიხსნება იმით, რომ უჯრედი იმთავითვე აქტიური იყო.

ზაფხულში ჩვენმა უჯრედმა კოლექტიურად დაამუშავა 5 ქცევა მიწა, რომლისაგანაც მიღებული შემოსავალი მოხმარდა სამკითხველოს საქმეს. უჯრედი დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე ქვრივ-ობლების და წითელ-არმიელთა ოჯახებს. ამით უჯრედმა მოიპოვა დიდი ნდობა და ავტორიტეტი. [illegible] საზოგადოებაც ახკორთა და სხვა წრეები, რომლებიც აწარმოებენ ნორმალურ მუშაობას.

ჩვენმა უჯრედმა, სხვათაშორის, კოლექტიურად გამოიწერა კ. კ. ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“. საჭიროა სხვა უჯრედებმაც გადადგან ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯი.

შ. კვინტრაძე.

ბელადებმა სწორედ მაშინ მოხსნეს სოციალისტური განთავისუფლების ამოცანა დღის წესრიგიდან, როდესაც რევოლიუციონური ენთუზიაზმით აღფრთოვანებული ევროპის პროლეტარიატი (1918—20 წ.) განმანადგურებელი თავდასხმებით არღვევდა ევროპის კაპიტალის სიმაგრეებს. და სწორედ ამ „სოციალისტების“ აქტიური დახმარებით ჩაარჩო სისხლში ევროპის ბურჟუაზიამ ეს პროლეტარული მოძრაობა. ასეთი სოციალისტები არამც თუ ცუდები, ისინი თავიდან ბოლომდე სულითა და ხორცით, იდეოლოგიითა და საქმიანობით გახრწნილი არიან.

მეორე ინტერნაციონალის პოლიტიკა ომის საკითხში

ფაქტების განხილვამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ მსოფლიო კვლავ სდგას ახალი საერთაშორისო ომის სიფრთხის წინაშე, რომელიც თავისი მეთოდებით ყველაზე უფრო განმანადგურებელ ხასიათს მიიღებს. რეფორმიზმის ზოგიერთი ბელადები უკვე დარწმუნდნენ ამაში და ხმა მაღალ [illegible] გაჰკივიან იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩვენ უკვე დავინახეთ დანის მოსაზრებანი. ყური ვათხოვოთ ეხლა ვანდერველდეს.

1923 წ. მეორე ინტერნაციონალის ჰამბურგის კონგრესზე იგი ამბობდა: „ამ იმპერიალისტური ზავის წინააღმდეგ, რომელიც სხვა არაფერი არ არის, თუ არა ფარული ომის განწყობილება, წინააღმდეგ ამ ომისა, რომელიც იმპერიალისტური ზავის ფორმაში არის გამოხვეული, ჩვენ ვკრეფთ ამ ჟამად ჩვენს ძალებს: ისტორია შეაჩვენებს კაპიტალიზმს, იმიტომ, რომ მას პერიოდულად და აუცილებლად მივყევართ ომამდე, სისხლიან შეტაკებამდე“.

ამ მშვენიერი სიტყვების ავტორი პრაქტიკულად ენერგიული დამცველი იყო ვერსალის ავაზაკური ზავისა და ბელგიის მეფის უქვეშევრდომილესი მინისტრი იყო. დღესაც, ზემოთ წარმოთქმულ სიტყვების ორი წლის თავზე, იგი ამავე პოსტზე იმყოფება. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ რეფორმისტების სიტყვა და საქმე დიდი მანძილით არის დაშორებული ერთმანეთზე.

სოციალიზმის უდიდესმა რენეგატმა კ. კაუცკიმ ამ რამოდენიმე თვის წინად გამოაქვეყნა პროვოკაციული წიგნი: „ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი“, რომელშიაც ბოლშევიკები დახასიათებული არიან, როგორც მატყუარები და ცილისმწამებელნი. მაგრამ საკმარისი არის ჩაიხედოთ მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა საქმიანობაში და მათი სიტყვები გაითვალისწინოთ, რომ დარწმუნდეთ იმაში, თუ სად სხედან მატყუარები და ცილისმწამებელნი. განა ვანდერველდეს, მაკდონალდის, რენოდელის, კაუცკისა და სხვათა საქმიანობა აშკარა ღალატი არ არის სოციალიზმისა და ხელს შეწყობა მსოფლიო ომის?

ისტორიული ფაქტია ის, რომ მსოფლიო ომამდე რეფორმიზმის ბელადებმა რამოდენიმეჯერ დასდვეს ფიცი საერთაშორისო კონგრესებზე, რომ, თუ ომი იფეთქებდა, ისინი მთელი თავიანთი ენერგიით შეებრძოლებოდენ მას და შეეცდებოდენ მის აღმოფხვრას. მაგრამ, როდესაც 1914 წელს კატასტროფამ მოითხოვა მეორე ინტერნაციონალისაგან მოცემული სიტყვის განაღდება რეალურად, ეს ინტერნაციონალი უკვე დაგრეული აღმოჩნდა და მისი შემადგენელი პარტიები თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს უმაგრებდენ ზურგს. „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“. სწორედ ამ ეპოქის დასახასიათებლად გამოდგება კაუცკის ბრძნული მოსაზრება: ინტერნაციონალი მშვიდობიანი დროის ინსტრუმენტია და არა საომარი პერიოდისო. განსვენებულმა მერინგმა ამაზე ირონიულად უპასუხა: სწორედ მშვენიერი ინსტრუმენტი ყოფილა, რომელიც როცა საჭიროა მისი ამოქმედება, სწორედ მაშინ ისვენებსო.

ჰამბურგის კონგრესზე მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა ფრ. ადლერის პირით ფიცი დასდვეს: ის, რაც ჩვენ განვიცადეთ (1914 წ) აწი არასოდეს აღარ განმეორდება. მართლაც, წინააღმდეგ კაუცკის დებულებისა, ინტერნაციონალის წესდებაში შემდეგი საგულისხმო მუხლი შეიტანეს: „სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი არა მარტო მშვიდობიანი დროის ამოცანათა ინსტრუმენტია, არამედ აგრეთვე აუცილებელი იარაღი არის ყოველთვის ომის დროს. ერთა შორის კონფლიქტების დროს სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი დაინტერესებულ პარტიათა მიერ აღიარებული იქნება უმაღლეს ინსტანციად“.

მაშ ასე, ინტერნაციონალი აუცილებელი ინსტრუმენტია ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ კითხვა იბადება: როგორი ქმედითობით უნდა იბრძოლოს ინტერნაციონალმა ომის წინააღმდეგ, როგორი არის ამ ინსტრუმენტის საომარი პროგრამა და ტაქტიკა? სწორედ ამ მთავარ კითხვას კონგრესი ღიად სტოვებს და გადაწყვეტას „უმაღლეს ინსტანციას“, ინტერნაციონალის ბიუროს, ანდობს ომის პერიოდში. ეს არის დასაძრომი ხვრელი. ორი წლის ისტორიამ პრაქტიკულად გამოსცადა ამ „უმაღლესი ინსტანციის“ მოქმედება და პოლიტიკა სწორედ მნიშვნელოვან კონფლიქტების პერიოდში. დღეს ხდება შეიარაღებული ბრძოლა კოლონიალური ერებისა ევროპისა და ამერიკის მოძალადეთა წინააღმდეგ. მაროკოს და ჩინეთის ხალხი სისხლისაგან იცლება თავიანთი ნაციონალური თავისუფლების შენარჩუნებისათვის. როგორ პოლიტიკას ადგა მეორე ინტერნაციონალის „უმაღლესი ინსტანცია“ ამ საკითხში? „სოციალისტურ უწყების“ მე-14 ნომერში გამოქვეყნებული ცნობები და უკანასკნელი კონგრესის რეზოლიუციები ნათლად ლაპარაკებენ ამის შესახებ. მაროკოს საკითხის შესახებ ინტერნაციონალში ბევრმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. თვით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაშიც მოწინააღმდეგე პოზიციები აღმოჩნდა. 4 ივლისის სხდომაზე ლონდონში ბიურომ მაროკოს საკითხი მოხსნა დღის წესრიგიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ესპანეთის პარტიამ ვერ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი სხდომაზე. ეს იყო მხოლოდ ფორმალური გამოსავალი, ფაქტიურად კი ბიურომ ვერ მონახა საერთო ენა საფრანგეთის პარტიასთან, რომლის უმეტესობა ომის ბოლომდე მიყვანის მომხრეა, ე. ი. მაროკოს განადგურებას უჭერს მხარს, ამიტომ ბიურომ ვერავითარი გარკვეული გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა. აი ასე ილასტრიურად და მკვირცხლად მოქმედებს ის „უმაღლესი ინსტანცია“, რომლისაკენაც [illegible] გეგმების მისაღებად ომის დროს მეორე ინტერნაციონალის კონგრესი.

თუ მაროკოს საკითხის შესახებ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა ბიურომ, სამაგიეროდ არსებითი ყურადღება მიაპყრო საგარანტიო ხელშეკრულების და ჟენევის ოქმს.

უკანასკნელი საკითხის შესახებ რეზოლიუციაში ვკითხულობთ: „სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი ჟენევის ოქმს უყურებს, როგორც ერთა ლიგის ხელშეკრულების აღსრულებისა და განხორციელების და როგორც საყოველთაო არბიტრაჟის საფუძვლებს, რომელთაც მხოლოდ შეუძლიათ მისცენ ერებს მშვიდობიანობა და მთელს მსოფლიოს მოუტანონ განიარაღება“.

ამ რიგად ყველაზე უფრო ავაზაკურ ორგანიზაციის, ერთა ლიგის, დადგენილებანი ბიუროს შეფასებით წარმოადგენს მშვიდობიანობის საფუძველსა და განიარაღების გარანტიას.

ეს არის ბრძოლა იმპერიალისტურ ზავის წინააღმდეგ.

არა ნაკლებ სამარცხვინო პოზიცია დაიჭირა ინტერნაციონალმა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის საკითხში. მაგრამ ამაზე შეჩერება აქ ზედმეტი არის. განა მაროკოს საკითხში დაჭერილი პოზიცია არ ამჟღავნებს მეორე ინტერნაციონალის მთელ მუხანათობას და მოღალატეობას? განა ეს ფაქტი არ ამჟღავნებს იმას, რომ რეფორმიზმის ბელადები მხოლოდ სიტყვით იმუქრებიან ისიც ზოგიერთ შემთხვევებში, საქმით კი კაპიტალისტებისა და იმპერიალისტური პოლიტიკის დაცვას ნიადაგზე სდგანან. ნუ თუ ამის შემდეგ საერთაშორისო პროლეტარიატს შეუძლია ენდოს მათ ლამაზ სიტყვებს, როცა მთელი მათი საქმიანობა იმპერიალისტური ომის წამოშობას უმზადებს ნიადაგს?

რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა მეორე ინტერნაციონალის საქმიანობა ორ უდიდეს ისტორიულ მომენტში გამოსცადა: პირველად—1914 წელს, მსოფლიო კატასტროფის დროს, მეორედ კი—უდიდეს რევოლიუციონურ მოძრაობის პერიოდში (1918—20 წ.წ.).

პირველ მომენტში ინტერნაციონალმა ფეხქვეშ გასთელა თავისი ინტერნაციონალური აღთქმები და იმპერიალისტურ ომს დაუჭირა მხარი; ხოლო მეორე მომენტში იარაღით ხელში გამოვიდა ბურჟუაზიასთან ერთად დიდი რევოლიუციონური მოძრაობის გასანადგურებლად: ევროპის რეაქციამ მენშევიზმის, მეორე ინტერნაციონალის დახმარებით იდღესასწაულა თავისი გამარჯვება სოციალისტურ რევოლიუციაზე.

დღესაც მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები ბურჟუაზიის საქმიანობაში არიან ჩაბმულნი და ყოველგვარი საშუალებით აწარმოებენ ბრძოლას პროლეტარულ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, წინააღმდეგ. მაგრამ ევროპის პროლეტარიატს არ სძინავს და, თუმცა მწარე ტკივილებისა და დიდი დამარცხებების შემდეგ, იგი ირაზმება გადამჭრელ ბრძოლისათვის საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატის ეს დარაზმვა ეწყობა მეორე ინტერნაციონალის გარეშე და მის წინააღმდეგ.

სიმონ ხუნდაძე.

ნოემბერი, მოსკოვი.

ეკონომიური ცხოვრება

კონფლიქტი „აბრეშუმთან“

ქვედა საფეხურის კოოპერაციის და აბრეშუმის პარკის დამამზადებელ გლეხების კონფლიქტი საზოგადოება „აბრეშუმთან“ მწვავე ხასიათს იღებს.

აბრეშუმის პარკის დამზადების კამპანიის დაწყებიდან დღევანდლამდე დამამზადებლებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა და თავის დროზე ჩააბარეს აბრეშუმის პარკი.

თავის მხრივ საზოგადოება „აბრეშუმმა“ არ შეასრულა თავისი ვალდებულება და მას დაედვა სოფლის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებების („ეპო“) ვალი 20,000 მანეთის რაოდენობით, რაც საგლეხო კოოპერაციის უმნიშვნელო ბრუნვისათვის დიდ თანხას შეადგენს.

ეხლა დამამზადებლებმა „აბრეშუმის“ წინააღმდეგ აღძრეს ძიება ისინი სთხოვენ ცეკავშირს, რომ მან გავლენა მოახდინოს „აბრეშუმზე“ იმ მხრივ, რომ დაუყოვნებლივ დაფარული იქნეს დავალიანება.

ამასთანავე დამამზადებლები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საზოგადოება „აბრეშუმს“ პარკის დამზადების ოპერაციების საწარმოებლად აქვს დიდი კაპიტალი, 2 მილიონ მანეთამდი, რომელიც საშუალებას აძლევს მას ყოველ წუთში დაფაროს დავალიანება.

ეკონომიური ქრონიკა

ხელშეკრულება შპალებზე

საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტმა ხელშეკრულება დადვა ამ.-კავკ. რკინის გზებთან—180.000 ცალი წიფლის შპალის მისაწოდებლად. აღნიშნული შპალები უმთავრესად მზადდება კახეთის რაიონში. შპალების პირველი პარტიის მისაღებად 18 ნოემბერს გაემგზავრა რკ.-გზის კომისია სართიჭალაში.

ახალი საწყობები

თბილისში, ანდრეევის ქუჩაზე საქ. სატყეო-მრეწველობის ტრესტმა გახსნა სამი საწყობი ხე-ტყის მასალისა და შეშის.

ასეთივე საწყობი გახსნილია ბათუმშიც.

ამასთანავე იხსნება საწყობი ოზურგეთშიაც.

მასალის დამზადება

წარმატებით მიმდინარეობს ხე-ტყის მასალის დამზადება ყველა ქარხნებისთვის, როგორც თბილისის, ბორჯომის და ახალციხის სახერხავ ქარხნებისათვის, ისე დასავლეთ საქართველოს ქარხნებისთვის.

კომისია გარე-კახეთში

დღეს გარე-კახეთში მიემგზავრება კომისია ტყეების, შპალების და სხვა დამზადებულ ხე-ტყის ძვირფას მასალების დასათვალიერებლად.

კომისიის შემადგენლობაში შედიან სატყეო ტრესტის დირექტორი ამხ. ნ. კიკნაძე, დამამზადებელ ქვეგანყ. გამგე—გ. ხაბახტარაშვილი და მიწ.-მოქმ. კომისარიატიდან ამხ. მაჭრაძე და ბრეგვაძე.

კოოპერაცია

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევისათვის

ორშაბათს, 23 ნოემბრიდან უნდა დაიწყოს მუშკოოპის წევრების რაიონული კრებები და რწმუნებულთა არჩევნები მთელ თბილისში.

მიღებულ განწესრიგების თანახმად, მთელი ქალაქი გაყოფილია 58 უბნად. ყოველი უბნიდან კრებებს ესწრებიან, როგორც რამდენიმე დაწესებულებანი და წარმოებანი, ისე იმავ რაიონში მყოფი ერთეულებიც.

კრებების დღისა და ადგილის შესახებ მუშკოოპის გამგეობა თავის დროზე გამოაკრავს განცხადებებს.

მუშკოოპის წევრებო—მუშებო და მოსამსახურენო!

ჩვენ მივაქცევთ თქვენს ყურადღებას, თუ რამდენათ სერიოზულია და [illegible] რებული თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესება და მთელი თქვენი მეცადინეობა ცხოვრების გასაიაფებლად, როგორც მუშკოოპის, ისე მთელი ჩვენი კოოპერაციის უმთავრეს ამოცანას შეადგენს ხელფასის განთავისუფლება კერძო ვაჭრებიდან და [illegible] მასების ნამდვილი შემოსავლის გაძლიერება.

საჭიროა თქვენი აქტიური მუშაობა, რომ მუშკოოპის მუშაობაც დამაკმაყოფილებელი იყვეს თქვენთვის. თქვენი მონაწილეობა კოოპერატიულ საქმეებში და რწმუნებულთა არჩევნებში აუცილებელია იმიტომ, რომ გამოსწორდეს მუშკოოპის მუშაობა და საუკეთესოდ განვითარდეს იგი. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, ყველა 100 პროცენტი გამოცხადდეთ საუბნო კრებებზე.

ფაბ.-საქარხ. ადგილკომებო! ვიღებთ რა მხედველობაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშკოოპს მშრომელთა მასებისთვის, განსაკუთრებით რწმუნებულებს, როგორც კოოპერატიულ აქტივს, რომელიც არა თუ ოპის მუშაობას, [illegible] თა კრებების შემწეობით სწორად ხელმძღვანელობს მას.—თქვენ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოთ ამ კრებების ჩატარებას.

პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისის მუშკოოპის საარჩევნო კამპანიისათვის

ხვალიდან დაიწყება თბილისის მუშკოოპის წევრთა შორის საარჩევნო კამპანია. ერთი თვის განმავლობაში ქალაქის 58 პუნქტში იქნება მოწვეული მუშკოოპის წევრთა რაიონული კრებები, რომელზედაც არჩეული იქნებიან რწმუნებულები.

რწმუნებულების საერთო კრებამ უნდა გადაჭრას მუშკოოპის მთავარი საკითხები, მოისმინოს გამგეობის წარსული წლის ანგარიში, შეაფასოს მისი საქმიანობა, მოახდინოს გამგეობის და სარევიზიო კომისიის ახალი არჩევნები, გამოიმუშაოს გეგმა მუშკოოპის შემდეგ საქმიანობის და ახალ გამგეობას და სარევიზიო კომისიას მისცეს სათანადო დავალებები.

რწმუნებულები არიან მუშკოოპის წევრების, მუშა-მოსამსახურეების დადგენილებების აღმსრულებლები; ამიტომაც რაიონულ კრებამ უნდა განიხილოს გამგეობის წარსული მუშაობის ანგარიში, და სთქვას იყო თუ არა გამგეობის მუშაობა: ისეთი, როგორც ამას მოითხოვდა მუშათა მასსის და საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები. გამოიყენა გამგეობამ ყველა შესაძლებლობანი მუშკოოპის გაძლიერებისათვის და მუშა-მოსამსახურეთა საჭიროების დაკმაყოფილებისათვის? როგორ უვლიდა გამგეობა ქონებას? როგორ ებრძოდა გაფლანგვას და სხვა ბოროტმოქმედებას?

ერთი სიტყვით მუშკოოპის წევრებმა რაიონულ კრებაზე უნდა გაუკეთონ სათანადო კრიტიკა გამგეობის მოქმედებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც გამორკვეულ იქნება წარსულ მუშაობის ნაკლულევანებანი, შესაძლებელი იქნება მომავალი მუშაობის გეგმის შედგენა, წარსულ შეცდომების გასწორებით კოოპერატივის საქმიანობის გაუმჯობესება-გაფართოება. რწმუნებულებს უნდა მიეცეს ამრჩევლებისგან ყოველ საკითხებში დაწვრილებითი დარიგება, რომ მათ შესძლონ მუშკოოპის წევრთა ფართო მასის სურვილების გამოხატვა.

თბილისის მუშკოოპი ახლა წარმოადგენს დიდსა და რთულ სამეურნეო დაწესებულებას. მას აქვს 200 სავაჭრო პუნქტი, ზოგი მათგანი წარმოადგენს უდიდეს უნივერსალურ მაღაზიებს 100 ათას მან. მეტ ბრუნვით; 118 პურის საცხობი, საკვებ-სასურსათო და საშაქარლამო ქარხნები, ძეხვის ქარხანა, სასოფლო-სამეურნეო ფერმა და უდიდესი მთელ საქართველოში ყველის სახდელი ქარხანა; ათეული რძის ქარხნები, 2 მათგანი მექანიკურია, რომლებიც აწარმოებენ რძის პასტერიზაციას; ტრანსპორტი და ელექტრონული სადგური და სხვა...

ვის ეკუთვნის ეს რთული და მდიდარი მეურნეობა?

კოოპერატივის წევრებს მუშა-მოსამსახურეებს. ყველა დასახელებული წარმოებანი წარმოადგენენ იარაღს მუშკოოპის წევრების ინტერესების დაცვისას, მათი მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისას, კერძო კაპიტალისტებთან და სპეკულიაციის წინააღმდეგ ბრძოლისას, იარაღს საქონლის გაიაფებისა და გაუმჯობესებისას.

თბილისის მუშკოოპი, როგორც საერთოდ მთელი საბჭოთა კოოპერაცია ანვითარებს და აძლიერებს სოციალისტურ მშენებლობას. კოოპერატივის ყველა მიღწევანი აუმჯობესებენ წევრების მატერიალურ მდგომარეობას და ამავე დროს წინ სწევენ სოციალისტურ აღმშენებლობას და გვაახლოვებენ სოციალიზმთან.

შეიძლება თუ არა, რომ შეგნებულმა მუშა-მოსამსახურემ, რომლისათვის ძვირფასია საბჭოთა სახელმწიფოს ბედ-იღბალი, არ მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში? რასაკვირველია არა. ყოველი წევრი, რომელიც არ იღებს აქტიურ მონაწილეობას კოოპერაციაში, აფერხებს თავის საკუთარ კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს და წარმოადგენს დეზერტირს აღმშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფრონტიდან.

არავინ არ უნდა გამოტოვოს მუშკოოპის რაიონული კრებები, ყველა უნდა დაესწროს ამ კრებებს აირჩიოს აქტიური რწმუნებულები, რომელთაც უნდა მისცეს მტკიცე გეგმა უზარმაზარი კოოპერატიული მეურნეობის გაძღოლა-გაძლიერებისათვის.

კოოპერატორი.

დანიის მუშათა დელეგაცია თბილისში

დღეს ნაშუადღევის 3 საათზე ბაქოს მატარებლით თბილისში ჩამოვა დანიის მუშათა დელეგაცია; საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დელეგაციის შესახვედრად გამოჰყო საბჭოს სამი წევრი რომელიც შეეგებება დელეგაციას თბილისის რკინის გზის სადგურზე.

დელეგაციაში რომელიც 18 კაცისაგან შესდგება, შესდგება შემდეგი ამხანაგებისაგან:

ადამსენი—მლითონე, სოციალ-დემოკრატი (დელეგაციის თავმჯდომარე); შულცე—მესაათე, კომუნისტი (დელეგაციის მდივანი); ნილსენი—გემოკვების მუშათა კავშირის წევრი, სოციალ-დემოკრატი; რასმუსენი—მელითონე, კომუნისტი; [illegible] ენსენი—რკინისგზელი, კომუნისტი; [illegible]—რკინისგზელი, სოციალ-დემოკრატი; მონორე—მბეჭდავი, კომუნისტი; ბუსი—მკერვალი, უპარტიო; კაველინი—მკერვალი სოციალ-დემოკრატი; ოდლე ენსენი—კომუნალური მეურნეობის მუშა, სოციალ-დემოკრატი; დაუგერი—შავი მუშა, სოციალ-დემოკრატი; ბროუნი—ჩამომსხმელი, სოციალ-დემოკრატი; სტენშოლმი—ქიმიკოსი, სოციალ-დემოკრატი; ოკიუმი—მელითონე, უპარტიო, ლორენცენი—ფოსტალიონი, უპარტიო; ერვენსენი—ტრანსპორტის მუშა, უპარტიო; მ. ენსენი—ქიმიკოსი, სოციალ-დემოკრატი.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის

საქართველოში მიწა-წყალის და ჰაერის პირობები ისეთია, რომ სხვადასხვანაირი მეურნეობის წარმოება შეიძლება. ხვნა-თესვის გარდა ჩვენში ხელსაყრელია მევენახეობა, მესაქონლეობა, სუბტროპიკულ ძვირფასი მცენარეულობის მოყვანა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და სხვა. გლეხობა კიდეც ეწევა ამ მუშაობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში. მაგრამ მეურნეობის არც ერთი დარგი არ არის შესაფერისად განვითარებული. ჰირნახული იმის მესამედი არ მოგვდის, რაც შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენს მიწა-წყალზე; იგივე ითქმის ყველა სხვა მოსავალზე. პურეული ჩვენს მიწა წყალზე დესეტინაზე მოდის 30—40 ფუთი, ყურძენი 100—150 ფუთი, ძროხა წელიწადში 30—40 ვედრო რძეს ძლივს იწველის და სხვ. ნაწარმოების ღირსება და ხარისხი ნაკლებია. ასეა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ასე არ არის სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში; პურეული 120 ფუთი და მეტიც მოდის დესეტინაზე. კართოფილი, ჭარხალი, 3 000 ფუთზე მეტი მოყავთ დესეტინაზე, ძალიან გავრცელებულია საქონლის საკვები ბალახეულობის თესვა. ძროხა 500—600 ვედროს იწველის წელიწადში. იქ ნაწარმოების ხარისხი უკეთესია.

არის სახელმწიფოები, სადაც გლეხის ოჯახი ერთსა და ორ დესეტინაზე მდიდრათ სცხოვრობს.

რა არის ამის მიზეზი?

სხვა ქვეყნებში მიწა-წყალი ჩვენ მიწა-წყალზე უფრო ნოყიერი არ არის და არც ჰავის პირობებია უკეთესი; მაგრამ მაინც მშვენივრად არის დაყენებული სასოფლო მეურნეობა.

ამის მიზეზი უპირველესად ყოვლისა ის არის, რომ ჩვენში ძალზე გამწირდა და გამოიფიტა მიწა. წლების განმავლობაში მოსავალი ართ- [illegible] რუნებთ.

ჩვენ ვერ ვაძლევთ მიწას სასუქს, იმიტომ რომ ნაკელი არ მოგვეპოვება საკმაოდ. ნაკელი არ გვაქვს, იმიტომ რომ საქონელი ცოტა გვყავს; საქონელი ცოტა გვყავს, რადგან საქონლის საკვები მასალა არ გვყოფნის.

რას უნდა მივაქციოთ უპირველესი ყურადღება?

უნდა ვეცადოთ, რომ ვიქონიოთ ნაკელი; ნაკელს გარდა ნიადაგის გასანოყიერებლად ხმარობენ მინერალურ სასუქებს, მაგრამ სანამ ჩვენში მინერალურ სასუქებს შემოვიღებდეთ და მათ ხმარებას შევეჩვევოდეთ უნდა დავჯერდეთ საქონლის ნაკელს; უნდა შევეჩვიოთ საქონლის საკვები ბალახების თესვას და ეს მოგვცემს საშუალებას საკმაოთ ვიყოლიოთ საქონელი; როცა საქონელი საკმაოდ გვეყოლება, ნაკელიც გვექნება და ჩვენი მიწების განოყიერება გაგვიადვილდება.

ნიადაგის გაუმჯობესება და განოყიერება დიდათ შეუწყობს ხელს მოსავლის გადიდებას.

როგორც ვთქვით, მიწა გამოფიტულია; ამას გარდა ყველგან სარწყავი არხები არ არის გაყვანილი; გლეხს აკლია სოფლის მეურნეობის ცოდნა, არა აქვს ფულის საშუალება მეურნეობის გასაუმჯობესებლად. გლეხის შრომას ხშირად ანადგურებს ბუნების უეცარი მოვლენები და სხვა უბედურება—სეტყვა, ნიაღვარი, ყინვა, საქონლის ჭირი, ციმბირის წყლული და სხვა.

მაგრამ ეს მიზეზები იმნაირი რა არიან, რომ მათი თავიდან აცდენა არ შეიძლებოდეს.

ყოველ მხარესა და კუთხეში მეურნეობის ის დარგი უნდა განვითარდეს, რაც უფრო ხელსაყრელია გლეხებისათვის და ბუნებრივი პირობებიც ხელს უწყობენ.

ეს მუშაობა მოითხოვს დიდ ცოდნას, გამოცდილებას და წინდახედულებას. გლეხს უნდა ურჩიოთ ისეთი მუშაობის წამოწყება, რის სარგებლობაშიაც ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ; არამც და არამც [illegible] საეჭვო და შეუმოწმებელ [illegible].

მხოლოდ ამ პირობებში [illegible]ხურებთ გლეხების ყურადღებას და გასავალი ექნება აგრონომების რჩევა-დარიგებებს.

კ. ბერეკაშვილი.

თბილისის კეთილმოწყობა

ხელოვნური ტბა მადათოვის კუნძულზე

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისია იხილავს და იკვლევს მადათოვის კუნძულთან მტკვრის მარჯვენა შტოზე ხელოვნური ტბის მოწყობის საკითხს, რომლის განხილვაში და დამუშავებაში მონაწილეობას ღებულობენ ინჟინერ-ჰიდრავლიკოსები და ექიმები.

პროექტის მიხედვით მადათოვის კუნძულის დასაწყისში,—მტკვარის მთავარ კალაპოტიდან ათი საჟენის დაშორებით უნდა აშენდეს 30 საჟენიანი სიგრძის ქვის ჯებირი, რომლის 10 საჟენს დაიჭერს შლიუზები. ეს ჯებირი დააგუბებს მთავარ კალაპოტიდან მიმდინარე წყლის დინას მარჯვენა შტოში. ასეთივე ჯებირი—სიგრძით 13 საჟენი აშენდება კუნძულის დაბლა ნაწილში მუხრანის ხიდ. 15 საჟენის დაშორებით. ჯებირის 10 საჟენზე გაკეთებული იქნება შლიუზები.

ამ ხელოვნური ტბის საერთო მოედანი იქნება დაახლოებით 8.000 კვადრ. საჟენი, ხოლო ტბის წყალის შემცველობა 15 მილიონი ვედრო. წყალი დაგროვდება სპეციალური საქაჩავებით, რომელიც ყოველ დღეღამეში გაატარებს 6 მილიონ ვედრო წყალს ამგვარად აუზში წყალი მუდამ იმოძრავებს.

ტბაზე გაიმართება საბანაო და საცურაო ადგილები, მოეწყობა ცურაობის შესასწავლი სკოლა, თვით მადათოვის კუნძული კი გადაკეთებული იქნება კეთილმოწყობილ ბაღად, სადაც იქნება კინო, თეატრები, სასპორტო მოედნები და სხვა.

ამ საქმის დაწყებას და დამთავრებას კისრულობს გლეხთა ცენტრალური სახლი, რომელსაც წინა წლის ანგარიშით ეს საქმე მისცემს წლიურად 100 ათას მანეთს შემოსავალს.

გაზ. „კომუნისტი“-ს
ყველა ხელის მომწერლებს დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება
უფასო დამატება ჟურნალი
„ჩირაღდანი“ № 19—20
შინაარსი:

დ. თურდოსპირელი—ცისფერთვალება, საფო მგელაძე—ბახმარო; ნიკო ასლამაზაშვილი—კოწია ქედიანელი, ს. ერთაწმინდელი—სოფლის სურათები, გ. ქუჩიშვილი—ჰამბურგის გმირებს (ლექსი), გ. შინატეხილი—წითელი ვარსკვლავი (ლექსი), ე. პოლუმორდვინოვი—საქართველო (ლექსი), ნ. ზომლეთელი—პასუხი დედას (ლექსი), გ. ბ—ლი—მხატვარი გ. შარბაბჩიანი.

ეშმაკის მახე:

ვალია—შარადა, ათანასე—ნიინვს, პ. ოზოლი—მოხსენება; ჩახუნდარიძე—კოლია ფათურიძის სიმღერა, (ნიგვზიანისთვის), პოგვრიტი—მილიციის უფროსის ლილინი, ბალონი—მოხსენება გლეხების კრებაზე, ონისიმე—ფულიდის ლუდი, გლეხის ზოგი მაიდა—ჩვენს პროვიზორს (სოფსისთვის), ვ. ხალუქვაძე—სოფლის წურბლის გოდება, —ხი—ზარების არია, Diton—პოეზია ანუ ფუტურისტების სალამის სტენოგ. ანგარიში; ალ. პიოკაძე—მესტვირული; ჩვეულება რაჭა-ლეჩხუმში—ავტ. კურესელიძე, მ. გ—ლი—ამბავი მღვდლის ისევ დაბრუნებისა, წრუწუნა—დეპეშები, პ. ოზოლი—სცუმარი.

ამ დღეებში იწყებს გამოსვლას
„კომუნისტი“-ს
ყოველკვირეულ დამატებათ
საქ. კომპარტიის ცეკასთან არსებული მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო
„ახალი გზელი“
ამხ. კოწია სულაქველიძის
რედაქტორობით

„ახალი გზის“ თანამშრომლებს ვთხოვთ გამოგვიგზავნონ მასალები განყოფილების ბინაზე (კომპარტიის ცეკა, ოთახი № 20).

კომპარტიის ცეკასთან არსებული მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება

შეშის დამზადება

საწარმოო გეგმის თანახმად საქ. სატყეო წარმოების ტრესტს ა. წ. 16 იანვრიდან—1 ოქტომბრამდე ოთხ დამამზადებელ რაიონში უნდა დაემზადებინა 9.300 კუბ. საჟენი შეშა. [illegible] გარდა მას საქართველოს სატყეო სამმართველოს მიერ, მისი ლიკვიდაციის დროს, გადაეცა 4.557 კუბ. საჟ. შეშა. საკუთარი დამზადებიდან ტრესტს უნდა გამოეტანა ტყიდან და დაეტვირთა ვაგონებში 6.900 კუბ. საჟენი და 4.200 კუბ. საჟ. კი ძველი დამზადებიდან.

ამ რაოდენობიდან ზამთრის პერიოდში—16 იანვრიდან—მარტამდე უნდა დამზადებულიყო—4.000 კუბ. საჟენი და გამოეტანათ და დაეგზავნათ—4.500 კუბ. საჟენი—ძველი დამზადებიდან.

გასული დიდი ზამთრის გამო ტრესტს მოუხდა გადამჭრელი ზომების მიღება და გაძლიერებულ მუშაობის წარმოება დამამზადებელ რაიონებში. განსაკუთრებით იდგა საკითხი სამხედრო უწყების შეშით მომარაგების შესახებ, რომლისთვისაც ხელშეკრულების ძალით ტრესტს უნდა ჩაებარებინა 2.700 კუბ. საჟენი შეშა; აქედან ზამთარში უნდა ჩაებარებინა 2.050 კუბ. საჟ.

ტრესტს აგრეთვე დადებული ჰქონდა ხელშეკრულება სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან შეშის მიწოდების შესახებ.

ასეთი დაწესებულებებია ქალაქის ალმასკომი და ყველა სახალხო კომისარიატები.

მიუხედავად მკაცრი ზამთრისა მთელს საქართველოში და კერძოდ დასავლეთში—ყველა რაიონებში შეშის დამზადება გაცხოველებულის ტემპით სწარმოებდა, მაგრამ რკინისგზა ვერ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას რონოდებზე. საერთოდ რკინისგზებზე შეშის გადაზიდვის საქმე ცუდ მდგომარეობაში [illegible] მომარაგებია შეშით ჯარი და სახელმწიფო დაწესებულებანი.

რაც შეეხება შეშის დამზადების მთლიან ოპერაციას, აღნიშნულ პერიოდში (16 იანვრიდან—1 ოქტომბრამდე) უნდა ითქვას, რომ ტრესტმა შესძლო 6.800 კუბიკური საჟენი შეშის დამზადება, გამოიტანა რკინის გზის ხაზთან—8.600 კუბ. საჟ. და ჩაბარა—7.850 კუბ. საჟ., ე. ი. ამოცანა დამზადების მხრივ შეასრულა—72 პროცენტით და შეშის გამოტანა და დაგზავნა—92 პროცენტით.

ეხლა აღსანიშნავია ტრესტის მუშაობა 1925—26 საოპერაციო წელში.

გეგმით, იმავე რაიონებში ამ წელს განზრახულია 12.500 კუბ. საჟ. შეშის დამზადება და 11.700 კუბ. საჟ. გამოტანა და დაგზავნა. ამ რაოდენობით ზამთრისათვის მზადდება—9.650 კუბ. საჟ. და გამოაქვთ და აბარებენ 6.000 კუბ. საჟენს—ძველ დამზადებით.

მიმდინარე საოპერაციო წლისათვის დადებულია ახალი ხელშეკრულებანი; სამხედრო უწყებასთან—3.700 კუბ. საჟენ შეშაზე. ქალაქის ალმასკომთან—2.000 კუბ. საჟენზე. ა.-კ. რკ. გზებთან—2.500 კუბ. საჟენზე, ჯანსახკომთან—350 კუბ. საჟ., სახ. კომისართა საბჭოსთან—250 კუბ. საჟენზე და სხვა სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებებთან 1.300 კუბ. საჟენზე. გარდა ამისა ტრესტს ყოველდღე მოუდის მრავალი მოთხოვნილებანი შეშაზე. მუშაობა დამამზადებელ რაიონებში წარმატებით მიმდინარეობს. დაარსებულია შეშის ახალი საწყობები: თბილისში, ბათუმში და ქუთაისში.

რომ ბაზარს შეშა არ შემოაკლდეს, ამისათვის განზრახულია შეშის დამზადების, გამოტანის და გაგზავნის საქმის კიდევ უფრო გაძლიერება.

აქვე უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ რკინის გზა თავის დროზე არ იძლევა რონოდებს შეშის დატვირთვისა და გადაგზავნისათვის. ტრესტის მოთხოვნილება რონოდებზე ამჟამად 20—30 პროცენტითაც არ [illegible] მიწევია 850 კუბ. საჟენი შეშა და ყოველდღიურად მოდის 95 კუბ. საჟენამდე, რომ ეს ადგილები განიტვირთოს შეშისგან ყოველდღე საჭიროა 30 რონოდა.

რონოდების მიღების მოსაწესრიგებლად მიღებულია ზომები, და თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტეთ, კრიზისს შეშაზე წელს ადგილი არ ექნება.

სოც. დაზღვევა

დროებით შრომის უნარდაკარგულთათვის დახმარების მაქსიმალური ნორმა.

სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭომ დროებით შრომის უნარდაკარგულთათვის (იმის მიუხედავათ, თუ რამ გამოიწვია შრომის უნარის დაკარგვა) დახმარების ნორმად დააწესა 15 მანეთი დღეში, ანუ 360 მანეთი თვეში.

საბჭოს დადგენილება ძალაში შედის მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან.

დროებით დაქირავებულთა დაზღვევა.

იმ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავად, რომელნიც დაქირავებულნი არიან დროებით ა/კ. რკინისგზების და საწყლო ტრანსპორტის სამეურნეო ორგანიზაციებში, ა. კ. შრომის სახკომატმა ნება დართო დროებით დაქირავებულთა დაზღვევა ყოველ ცალკე შემთხვევაში ხდებოდეს ა/კ. რკინისგზების დამზღვევ კასასთან, სოციალური დაზღვევის სათანადო სამმართველოსთან და დაინტერესებულ პროფორგანოებთან შეთანხმებით.

სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭომ დაადგინა გააუქმოს სავადმყოფოში წოლისათვის ფულის გადახდევინება დაზღვეულ ავადმყოფებზე, რომელნიც მოთავსებულნი არიან სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში. ამ ავადმყოფებზე გავრცელდება დროებით შრომის უნარდაკარგულთათვის დახმარების გაცემის საერთო წესი.

ეს დადგენილება ძალაში შედის პირველ ნოემბრიდან და ვრცელდება ავადმყოფობის ყველა დღეზე.

სოციალური დაზღვევის კამპანია

მიმდინარე თვის 25-დან საქართველოს პროვინციებში, ხოლო დეკემბრის 15-დან თბილისში. დაიწყება სოციალური დაზღვევის კამპანია. პროვინციაში მოხსენებები სოციალური დაზღვევის შესახებ და აგრეთვე არჩევნები იწარმოებს პროფკავშირთა გაერთიანებულ კონფერენციებზე. თბილისში მოწვეულ იქნება სპეციალური საერთო საქალაქო კონფერენცია. საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინა, კამპანიის დაწყებამდე ამ მოკლე ხანში მოიწვიოს მუშკორთა თათბირი, რომელზედაც წაკითხული იქნება ორი მოხსენება 1) სოციალური დაზღვევის საქმე საქართველოში გასულ წელს და 2) მუშ-[illegible] კამპანიის ჩატარებაში. კამპანია ჩატარდება საგიტაციო სიტყვებით, წარმოდგენებით და კინოთი.

დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს

25 ნოემბრიდან თბილისის დამზღვევი კასის დაზღვევის განყოფილება შეუდგება დაზღვეულ უმუშევართათვის ფულად დახმარების დარიგებას ნოემბრისათვის.

პროფკავშირებში

ა.-კ. რკინის-გზელთა პროფკავშირის მე-4 პლენუმი

პირველი სხდომა

20 ნოემბერს საღ. 6 საათზე ქ. თბილისში გაიხსნა ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის მეოთხე პლენუმი. დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იყო ამხ. პ. საბაშვილის მოხსენება, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

ამხ. პ. საბაშვილის მოხსენება

თავის მოხსენებაში ამხ. საბაშვილმა პირველყოვლისა აღნიშნა, რომ მე-4 პლენუმის მოწვევა დაგვიანდა (განვლო ექვსმა თვემ). ეს აიხსნება იმით, რომ კომიტეტი გართული იყო ისეთი სერიოზული საკითხის გარჩევით, როგორიცაა მაგ. რკინისგზელთა პროფკავშირის სრულიად საკავშირო ც. კ.-ს და გზათა მიმოსვლის კომისარიატის შორის ახლად დადებული გენერალური, კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა და სხ. და დასძინა, რომ ხელშეკრულება ძირითადათ უცვლელი რჩება, ხოლო მასში ადგილი აქვს სხვადასხვა გვარ ცვლილებებს მუხლობრივად.

კომიტეტის საქმიანობა

შემდეგ მომხსენებელი გადადის კომიტეტის საქმიანობაზე. იგი ამბობს, რომ მე-3 პლენუმმა თავის მუშაობის 90 პროცენტი მოანდომა სამეურნეო საკითხების გარკვევას, ეხლანდელმა პლენუმმაც თავისი მუშაობის 80 პროც. მაინც უნდა მოანდომოს საკავშირო საკითხებს იმისათვის, რომ საკავშირო მასის აქტივობა თვალსაჩინოდ გაზრდილია, იგი მომთხოვნელია. ამ დროს კი კავშირი მასას ჩამორჩენილია და ასეთ მომენტში იგი ძლიერია ხელმძღვანელობა გაუწიოს მას. ეს გარემოება მომხსენებელს უდიდეს ნაკლად მიაჩნია. იგი ამბობს, რომ კავშირი არამც თუ უნდა დაეწიოს მასას, არამედ უნდა გადაასწროს და უხელმძღვანელოს მას.

— მართალია—ამბობს ამხ. საბაშვილი,—წევრთა რაოდენობით ჩვენი კავშირი იზრდება (გაიზარდა 11 პროცენტით), მაგრამ საკმარისი არ არის წევრთა რიცხვობრივი ზრდა; საჭიროა მათი კულტურული დონის ამაღლება და თითოეული წევრის გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა.

ამ მხრივ კომიტეტის მუშაობა არა დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება, რადგან კავშირის წევრთა მთელი რაოდენობიდან (84.000 კაცი) 12.116 წევრი წერა-კითხვის ან უკოდინარია ან მცირედ მცოდნე. ამას[illegible] სუსტია; იგი შეადგენს მხოლოდ 6,5 პროც. წევრთა საერთო რაოდენობისა. საქმის ასეთი მდგომარეობაც მომხსენებელს დიდ მინუსად მიაჩნია და საჭიროდ სთვლის როგორც წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას წევრთა შორის, ისე კავშირში ქალთა მასიურ ჩაბმისადმი სერიოზული ყურადღების მიქცევას. რომ წ.-კ. უცოდინარობა მოისპოს, ამისათვის მომხსენებელი მოითხოვს იმ თანხების პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებას, რომლებიც იდება ამ მიზნისათვის.

მომხსენებელი ეხება საკითხს საუბნო კომიტეტების და ადგილკომების მუშაობის შესახებ და აღნიშნავს დეფექტებს მათ მუშაობაშიც.

რაში გამოიხატება ეს დეფექტები?

— იმაში, რომ საუბნო კომიტეტები ყურადღებას აქცევენ წევრთა ერთ მხარეს, (მოძრაობის ან სხვა), რაც მიუღებელია მასიური მუშაობის თვალსაზრისით.

ადგილკომების რაოდენობა გაზრდილია (უდრის 173-ს), მაგრამ ისინი უმეტეს შემთხვევაში სუსტნი არიან. ამ მხრივაც საჭიროდ მიაჩნია მომხსენებელს ყურადღების მათდამი მიქცევა და მათ რიცხვობრივ ზრდასთან,—თვისობრივი გამოჯანსაღებაც. ამასთანავე იზრდება ადგილკომებთან არსებული კომისიების რიცხვიც. მათი მუშაობის ღირებულების შესახებ კი კომიტეტს წარმოდგენა არ აქვს, ვინაიდან მისი აღრიცხვა არ სწარმოებს.

ესეც ნაკლია, რომელიც მოითხოვს გამოსწორებას.

მოხსენებიდან სჩანს აგრეთვე, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწვეული ყოფილა 94 სადელეგატო კრება. დელეგატების 81 პროცენტს შეადგენენ მამა-კაცები და 9-ს ქალები, რომლებიც იჩენენ მაქსიმალურ აქტივობას, კრებებზე წამოჭრილ ყველა საკითხების განხილვის დროს.

მასის აქტივობის ზრდას ისიც ამოწმებს, რომ კავშირის უკანასკნელ გადარჩევებზე 38 პროც. წამოყენებულ იქნა მასიდან.

საწევრო ანარიცხვების აკრეფა.

ეხება რა მომხსენებელი საწევრო ანარიცხების აკრეფას ამბობს, რომ იგი წევრებს შეგნებულად შეაქვთ, მაგრამ აპარატის მოუწესრიგებლობის და უთავგისობის გამო 40 პროც. მაინც აუკრეფელია.

ურთიერთ დამხმარე სალაროები

ურთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ ამხ. საბაშვილი ამბობს, რომ ისინი ყველგან კარგები არიან, გარდა თბილისისა, ბაქოსი და ბათუმისა. ყველაზე უკეთესადაა დაყენებული ლენინაკანის და სამტრედიის სალაროები. აღნიშნულ სალაროებში ჩარიცხულია წევრთა მთელი რაოდენობის 54 ნახ. პროც.—ეს მცირედ მიაჩნია ორატორს; ის ამბობს: სალაროები ეხმარებიან მუშა-მოსამსახურეებს მათ პირად ბიუჯეტში და ამისათვის საჭიროა იქ მეტი წევრების ჩაბმა-[illegible] რათა ეს [illegible] ავტორიტეტის ამაღლებას.

ახალგაზრდობა და ქალთა შორის მუშაობა.

კავშირში ახალგაზრდობა 0,7 პროცენტს შეადგენს. მათ შორის უკეთესია მუშაობა, ვიდრე ქალთა შორის. ქალთა შორის მუშაობას არ ემჩნევა წინსვლა.

კავშირი ძირითად ორგანიზაციებში.

ძირითად ორგანიზაციებში ფართო კამპანიის ჩატარება კავშირს ვერ მოუწყვია, მაგრამ იქ მიდიოდენ პერიოდულად პრეზიდიუმის წევრები და უფრო ხშირად იგზავნებოდენ ინსტრუქტორები, რომლებიც უხსნიდენ მათ ყოველგვარ საკითხებს და აძლევდენ ინსტრუქციებს. ეხლა ასეთი გამგზავრებები უფრო ხშირად იწარმოებენ რაც გააძლიერებს ჩვენს მათთან კავშირს.

კავშირის სისუსტის მხრივ ყველაზე უფრო ცუდათაა საქმე აღმოსავლეთის ხაზზე, რაც აიხსნება იმით, რომ არ მოიპოება ინსტრუქტორი ნაციონალურ ენაზე.

თათბირები

საანგარიშო პერიოდში კომიტეტს მოუწვევია სულ 5—6 სხვადასხვაგვარი თათბირი, როგორიცაა მაგ. კულტურული, სატარიფო, სტატისტიკოსების, და სხვა. მომავალში ასეთი თათბირების მოწვევა კიდევ უფრო გახშირდება, მათ დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან მათზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც აჯანსაღებს საკავშირო მუშაობას.

საუბნო კომიტეტების საქმიანობა

თანახმად ინსტრუქტორების გამოკვლევისა საუბნო კომიტეტების საქმიანობა სუსტია თითქმის ყველგან, გარდა თბილისისა, რაც აიხსნება იმით, რომ იგი ახლოსაა კომიტეტთან, მაგრამ მისი მუშაობაც სუსტია პერიფერიებში.

სისუსტე საუბნო კომიტეტების მუშაობისა გამოიხატება საქმის წარმოების უგეგმობაში და ძირითად ორგანიზაციებთან კავშირის სისუსტეში.

კულტმუშაობა

კულტგანყოფილების, საორგანიზაციო განყოფილებიდან გამოყოფის შემდეგ—კულტმუშაობა გაუმჯობესება, ემჩნევა. სულ არსებობს მთელ გზაზე 29 კლუბი და ეხლაც შენდება კიდევ რამოდენიმე. საკლუბო მუშაობაში ჩაბმულია კავშირის წევრთა 26 პროც. სულ მუშაობს—197 წრე, რომელშიაც ჩაბმულია—5.919 წევრი; იცემა 106 კედლის გაზეთი; არსებობს 18 ბიბლიოთეკა და 62 სამკითხველო. ამასთანავე ხაზებზე დადის „ვაგონი-ბიბლიოთეკა“; იგი კარგად მუშაობს და ნაყოფიც მოაქვს; იქ მოწყობილია კინო და რკინისგზელებთან ერთად უჩვენებს სურათებს საშეფო სოფლებსაც.—ეს საუკეთესო საშუალებაა მუშებ-გლეხების დაახლოებისთვის.

ექსკურსიები

ამ ზაფხულზე კომიტეტს მოუწყვია ექსკურსიები, როგორც ა.-კავკასიაში, ისე მის გარედაც—რუსეთში. ექსკურსიებისათვის ყოფილა გამოყო-[illegible] მონაწილეობა მიუღიათ 1153 რკინისგზელს. იმ ექსკურსანტებს, რომლებიც მიდიოდენ რუსეთში ეძლეოდათ თითოს 15 მანეთი.

მომხსენებელი ამასთანავე შეეხო ხელფასის საკითხს, საკონფლიქტო კომისიების და ინჟინერ-ტექნიკოსთა სექციის მუშაობას. საბინაო და გამოგონებათა საკითხებს და აღნიშნა, რომ ა.-კ. რკ. გზები ხელფასის მხრივ განიყოფება ორ სამალარიო და არა სამალარიო სალტეთ. პირველისთვის დაწესებულია მინიმალური ხელფასი 14 მან., მეორესთვის 13 მანეთი.

საკონფლიქტო კომისიების შესახებ, მომხსენებელი ამბობს, რომ ბევრ მუშებს მისი ფუნქციები არ ესმით. უმთავრეს კონფლიქტებს ადგილი ჰქონდათ სპეც-ტანისამოსის ნიადაგზე, რაც ეხლა საბოლოოდ გადაწყდება. (მიცემულია დაკვეთა და ამ დღეებში იგი დაურიგდებათ 158 კაცს).

რაც შეეხება ინჟ.-ტეხნიკ. ძალების მუშაობას და ახალგამოგონებათ, მომხსენებელი ამბობს, რომ პირველი ცუდად მუშაობს. მრავალნი არიან ამ ბოლო დროს გამომგონი მუშები, ხოლო მათი გამოგონება არ არის აღრიცხული, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ეხლა მიღებულია ზომები და ამ პლენუმის შემდეგ მოწვეულ იქნებიან ყველა გამომგონები და ერთად განიხილავენ გამოგონებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საბინაო საკითხი

ეს საკითხი რკ. გზებზეც მწვავედ სდგას. უბინაობის გამო მთელ გზებზე დაკავებულია საცხოვრებლად 835 ვაგონი. ზოგიერთი მუშები კი ისეთ ბინებში სცხოვრობენ, სადაც ცხოვრება შეუძლებელია. ხაზებზეც შენობები ცუდ მდგომარეობაში არიან. ეხლა სამმართველოს გადუდვია 35.000 მანეთი საბინაო აღმშენებლობისათვის და ეს უთუოდ ხელს შეუწყობს ბინების კრიზისის შენელებას. ამ მიზნისთვის მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე საბინაო ამხანაგობათა შექმნა.

ამხ. საბაშვილი შეეხო საწარმოო თათბირების მუშაობასაც და აღნიშნა მათი ორგანიზაციულად კარგად მოწყობა, მაგრამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მათი მუშაობის აღრიცხვა არ სწარმოებს. საერთოდ, საწარმოო თათბირებში ჩაბმული არის 45 პროც. კავშირის წევრებისა.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნა

რკინისგზელთა კავშირს თავისი საკუთარი დასასვენებელი სახლები არ გააჩნია. იგი იღებს ადგილებს ს. პ. კ. საბჭოს სახლებიდან. ამ ზაფხულზე 533 კაცზე მეტი გაუგზავნიათ სახლებში, ვინემ შარშან.

მომავალში უკვე განზრახულია საკუთარი, საერთო დასასვენებელი სახლის აგება ბორჯომის რაიონში და ეს უფრო გააუმჯობესებს მუშების დასვენების საქმეს.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ტრანსპორტის ტექნიკურად გაუმჯობესების საკითხს და განაცხადა, რომ საჭიროა მისი გაუმჯობესება, თორემ სხვა გვარად არ შეიძლება. ამ საკითხში კავშირი შეთანხმებულად უნდა მუშაობდეს სამეურნეო ორგანიზაციასთან, მაგრამ ისე, რომ იგი ხელქვეითი განყოფილება არ გახდეს მისი.

მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე რომ რკინის გზაზე ადგილი ჰქონია ჯამაგირების დაგვიანებას. [illegible] და ზედმეტ საათებში მუშაობას.

კამათი

მოხსენების ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი. გამოსული ამხანაგები ამტკიცებდენ მომხსენებლის მიერ აღნიშნულ დეფექტებს. ნაწილობრივ ამაში ბრალს სდებდენ კომიტეტსაც. ა.-კ. რკ. გზებზე პროფმუშაობა უნდა დადგეს ჯანსაღ ნიადაგზე.

მხოლოდ ასეთი ზომების შემდეგ შესძლებს კომიტეტი მასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

— 17 ნოემბერს ამხ. გ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით შემდგარმა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა მოხსენება გაერთიანებულ ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაციის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ზოგიერთ პროფესიონალურ ორგანიზაციებს გაერთიანებული ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაცია კიდევ არ მოუხდენიათ, მიუხედავათ იმისა, რომ პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ არა ერთხელ მიმართა ამის შესახებ ყველა კავშირებს. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო გაერთიანებულ ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაცია. გაერთიანებული ფაბქარხადგილკომი არ შეიძლება დაშვებული იქნეს თუ 10 მუშა-მოსამსახურეზე მეტი მუშაობს ამა თუ იმ წარმოება დაწესებულებაში. ზოგიერთ შემთხვევაში 10 წევრზე მეტისთვის გაერთიანებული ფაბქარხადგილკომის დაარსება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების ნებართვით. მიეცა წინადადება კავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს საჩქაროდ მოახდინონ გაერთიანებულ ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაცია და მათ ნაცვლად დაარსონ დამოუკიდებელი ფაბქარხადგილკომები, რომლებიც უნდა აერთიანებდენ არა ნაკლებ 25 მუშა-მოსამსახურისა. 10—25 მუშა მოსამსახურეებისათვის უნდა გამოიყონ რწმუნებულები.

მიენდო პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას თვალყური ადევნოს ამ დადგენილების განხორციელებას.

— **პროფსაბჭოს მუშაობის მასალების გამოცემა.** პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება პროფკავშირთა სრულიად საქართველოს მეხუთე ყრილობისათვის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის ანგარიშის გამოცემის შესახებ და საჭიროდ სცნო წლიური ანგარიშის გარდა გამოსცეს მასალები საქართველოს პროფკავშირების ხუთი წლის განმავლობაში მუშაობისა და შრომის პირობების შესახებ.

ამ საქმის სახელმძღვანელოდ გამოიყო კომისია ამხ. ალ. ფანცხავას, მიქაძის, ელბაქიანის, გძელიშვილის და ბუაძის შემადგენლობით.

ფოსტა-ტელეგრ. მუშ. კავშირში

— **სესხი მუშა-მოსამსახურეებს.** ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირმა დაადგინა—მისცეს მუშა-მოსამსახურეებს მისცეს ნისიად ფოსტა-ტელეგრაფის კოოპერატივიდან. სესხი გაიცემა მუშა-მოსამსახურეთა [illegible] დღეობით.

[illegible]ის დამმუშავებელთა კავშირში

— **ფაბქარხკომების გადახალისებლად.** ხის დამმუშავებელთა კავშირის ც.-გ. დაადგინა ამ მოკლე ხანში გადაახალისოს ფაბქარხადგილკომები გორის მაზრაში, საჭილაოში, ბორჯომსა და ლანჩხუთის რაიონებში.

— **ნარდ სამუშაოებზე გადასასვლელად.** ხის დამმუშავებელთა კავშირის დადგენილებით მოკლე ხანში დაიწყება მუშაობა ნარდ სამუშაოზე გადასასვლელად ნიადაგის მოსამზადებლად.

იქ, სადაც იბადებიან ქვის ადამიანები

(სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ატელიეში)



სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე

ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო პირადათ გავცნობოდი და თავის სამუშაო ოთახში მენახა ის ადამიანი, რომელმაც პირველად აამუშავა თავისი ჯადოსნური წერაქვი ჩვენი კლდეებიდან მოხეთქილ ქვებზე და ხელოვნების ძვირფასი ძეგლებით შეამკო თბილისის ქუჩები.

მე მოგახსენებთ სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

საფრანგეთის მიქელ ანჯელოს, მარმალილოს უბადლო მესაიდუმლის—ოგიუსტ როდენის მრავალ მოწაფეთა შორის იყო ერთი, რომელმაც ჯერ კიდევ შორეულ საქართველოდან შეიყვარა გოთიური პლასტიკის მომღერალი და მისი ხელოვნება.

და ეს ერთი იყო იაკობ ნიკოლაძე.

ის იყო რჩეული გენიალური როდენის მოწაფეთა შორის, რადგან დიდი შემოქმედი მას თავის მიერ დაწყებულ ქანდაკების გაგრძელებასაც კი ანდობდა.

და უცხოეთში ხანგრძლივი ხეტიალის და მძიმე შრომის შემდეგ, ეს რომაული იერის ვაჟკაცი უბრუნდება თავის ქვეყანას იმ განზრახვით, რომ აქ, ევროპის და აზიის მიჯნაზე მაღლა აფრიალოს თავისი დიდი მასწავლებლის დროშა და მისგან შექმნილ ცოდნის განვითარებით მაცოცხლებელი სული შთაბეროს ქართულ პლასტიკას.

მაგრამ ძველ საქართველოში იაკობ ნიკოლაძე ვერ მიიღეს ისე, როგორც მას შეფეროდა. ქვაზე, ბრინჯაოზე და ალებასტრზე შეყვარებული ადამიანი მეფის მთავრობამ ხატვის მასწავლებლათ მიიღო 20 მანეთიან ადგილზე და ამასაც დიდ პატივათ სთვლიდა მისთვის.

საზოგადოებას იაკობ ნიკოლაძისათვის არ ეცალა, მთავრობა მასში მხოლოდ ერთგული მოხელის ღირსებას ეძებდა და ეს უიღბლო ხელოვანი თავისი ნიჭის გამონათების წუთებს დავით სარაჯიშვილის მიერ სამოწყალოთ აგებულ საბძელში ატარებდა, სადაც ის საშინელ სიცივეში და სიბნელეში ხშირათ უშედეგოთ ებრძოდა ქვის და მარმალილოს სვეტებს.

მაგრამ ასეთმა მძიმე პირობებმა მაინც ვერ გასტეხა მისი მტკიცე ნებისყოფა, მის სურვილს თუმცა ფრთები შეეკვეცა, მაგრამ სავსებით არ მოსტეხია ისინი და ამ ერთმა გაბედულმა მებრძოლმა პირდაღებულ უდაბნოში მაინც შესძლო თავისი სულის მძლავრათ ახმაურება კლდის ნატეხებზე და იქიდან გამოიყვანა ჯადოსნური ლანდები, რომლებსაც ის ყოველ ქვაში ხედავდა, ყოველ კლდის ნამსხვრევში გრძნობდა.

მან თავისი „მწუხარე საქართველო“-თი, „აკაკი წერეთელი“-თ, „შოთა რუსთაველი“-თ, „იოანეს თავი“-თ და სხვა ნათელი ქვებით გაარღვია რუტინის რკალი და ძლევამოსილ რევოლიუციას წარუდგა როგორც ქართული პლასტიური ხელოვნების რენესანსის ერთგული დარაჯი.

* *

ერთ ნისლიან სიღამოს, როდესაც თბილისი ფერს იცვლის და თეატრებში წასავლელად ემზადება, მე არ ავყევი საერთო ტალღს და ხელოვნების იმ ტაძრისკენ გავხვიე, სადაც ქვები ადამიანის სახეს იღებენ, სადაც მოქანდაკის ჯადოსნური ხელი მძლავრად ამეტყველებს თიხას და ბრინჯაოს.

ნიკოლაძის უკანასკნელი ნამუშევარის გაცნობის სურვილს კიდევ უფრო აძლიერებდა განზრახვა მენახა ახალი ატელიე, რომელიც ი. ნიკოლაძეს აუშენა რამოდენიმე ხნის წინად საქართველოს საბჭოთა მთავრობამ.

როდენის ქუჩის ბოლოში გამვლელის ყურადღებას მიიპყრობს ერთი აგურის შენობა, რომელიც თავისი გარეგნობით არ გავს ჩვეულებრივ სახლს. აქ ოთხ მაღალ კედელს შუა მკლავებ წაკაპიწებული და მღვრიე თიხით ხელში მუშაობს შუა ხნის მკვრივი აგებულობის კაცი, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე შეიყვარა იმერეთის პიტალო კლდეები და რუხისფერი თიხა.

როდესაც მე მასთან შევედი, ის დივანზე იყო წამოწოლილი თავის დასასვენებელ ოთახში და რომელიღაც ფრანგულ წიგნს კითხულობდა.

მე გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი. ის არ მოელოდა ასეთ უჩვეულო სტუმრობას.

— დაბრძანდით,—ზრდილობიანად შემომთავაზა მან სკამი. ჟურნალისტები საერთოდ მეტად ძვირი სტუმრები არიან ჩემს სახელოსნოში. მე განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ გაზეთმა „კომუნისტმა“ მოისურვა ჩემი ნამუშევარისათვის ყურადღების მიქცევა.

მე თუმცა საკმაოდ ვიცნობდი მის წარსულ მოღვაწეობას, მაგრამ მაინც ვსთხოვე ემბნა ჩემთვის რაიმე თავისი წინანდელი მუშაობის შესახებ.

— პარიზიდან დაბრუნებისას საქართველო ჩემთვის უდაბნო იყო. ყველას შეეძლო აქ თავისი ნიჭის ასე თუ ისე გამოყენება, მაგრამ ჩემი ხელობის კაცისათვის აქ გასაქანი არ იყო. იძულებული ვიყავი 20 მანეთად ხატვის მასწავლებლად შევსულიყავი ერთერთ სასწავლებელში, სადაც 12 წელი უმაღლეს ჰასაკათ ითვლებოდა ჩემს მოწაფეებში.

მიუხედავათ ასეთი მწარე პირობებისა, მე მაინც არ მინდოდა ხელი ამეღო ჩემს საყვარელ საქმეზე. ვცხოვრობდი მ მადავითზე, სახელოსნო კი მქონდა ვერაზე. მაგრამ ეს სახელოსნო კი არა, უფრო ბოსელი იყო, რადგან ჩემთვის არ იყო არც გათბობა და არც განათება: ეს მაშინ, როდესაც მე, როგორც ერთი რუსული გაზეთი სწერდა, როდენის მარჯვენა ხელი ვიყავი.

პარიზში მე უფრო მხატვრათ ვგრძნობდი ჩემს თავს იმოდენა მოქანდაკეებში, რადგან იქ მუშაობის საშუალება მქონდა. საქართველოში კი ივის თვალით შეხედეს ჩემს ნიჭს,—გულნატკენათ დაამთავრა თავისი მწარე წარსულის მოთხრობა ი. ნიკოლაძემ.

— ეხლა საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მომიწყო ახალი ატელიე, რომელიც ჩემს გეგმაზეა აშენებული. ამჟამად მე მუშაობის სრული შესაძლებლობა მაქვს. ამ ატელიეში მე უკვე ერთი წელიწადია ვმუშაობ. ამას გარდა ქალაქის აღმასკომმა პლეხანოვის პროსპექტზე მომცა ბინა, სადაც ქვაზე და მარმარილოზე ვმუშაობთ მე. და ჩემი [illegible]. სხვათა შორის კამოს ძეგლის ქვა იქ არის დამზადებული.

ახალი ატელიე წარმოადგენს მაღალ ოთახს, სადაც ერთი მხარის იარუსზე მოწყობილია ი. ნიკოლაძის სამუშაო კაბინეტი, ქვევით კი თაროებზე და სკამებზე დალაგებულია ზოგი დამთავრებული და ზოგი დასამთავრებელი ბიუსტები და ძეგლები.

— კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ახალი სახელოსნოთი,—ვკითხე მე.

— რასა ბრძანებთ. ასეთი ატელიე ყოველთვის ოცნებას შეადგენდა ჩემთვის. მართალია ჯერ კიდევ მთლათ მოწყობილი არა ვარ, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაკლია, მაგრამ მე ბავშვი აღარ ვარ და ვიცი, რომ ერთბაზათ ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია.

შემდეგში მე განზრახული მაქვს ჩემი ატელიე გადავაქციო ხელოვნების ერთგვარ სალონათ, სადაც თავს მოიყრიან მხატვრები, ლიტერატორები, მუსიკოსები, არტისტები და ხელოვნებაზე სჯა-ბაასში გაატარებენ თავისუფალ საღამოს.

ატელიეს შუა ადგილას მაღალ სკამზე აღმართულია ტილოში გახვეული რაღაც შავი ფიგურა. ჩემი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მე შევეკითხე მოქანდაკეს, თუ ვისია ეს ფიგურა.

— ეს გახლავთ ლენინის ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ლენინის მთელ ფიგურას ხალხთან ლაპარაკის დროს. ეს ძეგლი შემიკვეთა ქუთაისის აღმასკომმა. ძეგლის მოდელი უკვე დამთავრებულია და ამ ცოტა ხანში შევუდგებით ქვაზე მუშაობას. ძეგლი მზათ იქნება 3 თვის განმავლობაში.

ატელიეში გამოფენილ ბიუსტებს შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო ლენინის ბიუსტმა. ეს ბიუსტი გაკეთებულია მოსკოვიდან ჩამოტანილ მასკის მიხედვით.

— მე ეს ბიუსტი,—ამბობს ნიკოლაძე,—გავაკეთე მასკის მიხედვით, მაგრამ ეს არ არის უბრალო ასლი. ლენინის სახე მე გავატარე ხელოვნების პრიზმაში, ბიუსტის გამოკვეთის დროს მე მოვიხმარე ჩემი ინტუიცია.

და მართლაც ლენინის სახე აქ შესანიშნავათ არის ჩამოსხმული. მის მონღოლურ სახის ნაკვთებში და ვიწრო თვალებში არის რაღაც არაჩვეულებრივი შეუდრეკელობა და შეურიგებლობა.

მრავალი მხატვარის აზრით, ეს ბიუსტი ყველა იმ ბიუსტებზე უკეთესია, რომლებიც აქამდის დამზადებულა რუსეთში. ი. ნიკოლაძეს ეხერხება ასახვის ობიექტის განცდის და ხასიათის დაცვა.

ბიუსტების და ქანდაკებების გარდა ი. ნიკოლაძის ატელიეში თქვენ ნახავთ სხვადასხვა ძეგლების პროექტებსაც. აქ არის, მაგალითად, ვანო სარაჯიშვილის ძეგლის პროექტი: ახალგაზრდა ყელმოღერებულ გლეხს მაგრა მოუჭერია ხელი ხალხური ძალის სიმბოლო—ხარისათვის და გაბრწყინვებული სახით მიიმღერის ხალხურ სიმღერას—„ურმულს“.

ამ ძეგლით ი. ნიკოლაძეს უნდოდა ვანო სარაჯიშვილი, როგორც სახალხო არტისტი, დაეკავშირებინა ხალხურ ძალასთან.

ამჟამათ ი. ნიკოლაძე მუშაობს ლენინის დიდ ძეგლზე და ბიუსტზე მარმალილოდან. ეს ბიუსტები დაიდგმება ერთი სახალხო კომისართა საბჭოში, მეორე კი თბილისის აღმასკომში.

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის შეკვეთით ი. ნიკოლაძემ დაამზადა ტრაღიკულათ დაღუპულ მიასნიკოვის, მოგილევსკის, ათარბეკოვის და სალარაძის ძეგლის პროექტი. ძეგლი დამზადებული უნდა იქნეს მათი გარდაცვალების წლისთავისათვის.

გასაბჭოებიდან დღემდე ი. ნიკოლაძეს დამზადებული აქვს: იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის „მართლმსაჯულების ქანდაკება“, რომელიც დადგმულია კომისარიატის შენობაში, შოთა რუსთაველის ბიუსტი რუსთაველის თეატრისათვის, საშა წულუკიძის ბიუსტი და ძეგლი ქუთაისისა და ხონისათვის, ენგელსის ბიუსტი მარმალილოდან ქუთაისისათვის, კამოს ძეგლი და ეგნატე ნინოშვილის ძეგლი, რომელიც დადგმულია ჩაქვის მამულში.

ამას გარდა ი. ნიკოლაძე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა გამოფენებში.

ი. ნიკოლაძის საწერ მაგიდაზე მე შევნიშნე ჩარჩოში ჩასმული ერთი პატარა ძველებური ბიუსტი.

— ეს დიონისეს თავია,—მითხრა მან. ეს ბიუსტი შემთხვევით ვიყიდე თბილისის ერთ-ერთ ბაზარზე მეტად იაფ ფასში. იგი საყურადღებოა როგორც ბერძნული პრიმიტივი. ეს ბიუსტი, ჩემის აზრით, გაკეთებული უნდა იყოს ან ბერძნების აღორძინების წინ ანდა მათი ხელოვნების დაცემის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის დროს.

ჩემთვის საინტერესო იყო როდენის რჩეული მოწაფის სამუშაო ოთახში მენახა მისი მასწავლებლის რაიმე ნამუშევარი. მე ვსთხოვე ი. ნიკოლაძეს ეჩვენებინა ჩემთვის ქანდაკების რაიმე ნიმუში, რომელზედაც ოდესმე უმუშავნია დიდ როდენს.

— ჩემდა საუბედუროთ ისე დავშორდი როდენს, რომ მისგან არაფერი არ დარჩენია სახსოვრათ მე შუამდგომლობა აღვძარი ქალაქის აღმასკომის წინაშე, რომ იმ ქუჩას სადაც მე ვცხოვრობ, დარქმეოდა ოგიუსტ როდენის სახელი. ლადო სუხიშვილმა დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა. მე მხოლოდ ამით შევძელი მადლობის გადახდა ჩემი გენიალური მასწავლებლისადმი.

ატელიედან გამოსვლისას ი. ნიკოლაძემ გამიყვანა პატარა ბაღჩაში, რომელიც იქვე აკრავს მის სამუშაო ოთახს.

— აი აქ ვატარებ მე თავისუფალ დროს. აქ ვრგავ და ვუვლი ყვავილებს, რომლებიც ჩემი საუკეთესო მეგობრებია.

ჩვენ, მოქანდაკეები სილამაზეს ვეძებთ არა მარტო ქვაში და მარმალილოში, არამედ ბუნების ყოველ ქმნილებაში და ჩვენი შემოქმედების მიზანია ეს ჩვენი გრძნობა ჩაუნერგოთ იმ მრავალმილიონიან მასას, რომლისთვისაც წინად ყოველგვარი სილამაზე დახშული იყო.

შეიძლება მე ბევრი ვერ გავაკეთე, მაგრამ მე მხოლოდ ამახველი ხელოვნების პირველი მერცხალი ვიყავი საქართველოში. დღეს ჩვენი მთავრობის დახმარებით სამხატვრო აკადემიაში იზრდება მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიან ხელოვნების ამ დარგს.

მე განზრახული მაქვს ჩემს ატელიეში თავი მოუყარო ყველა ჩემს ნამუშევარს, რომლებიც ეხლა გაფანტულია სხვადასხვა ადგილებში და ჩემი სახელოსნო გავხადო ერთგვარ მუზეუმათ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ აქ მოვიდეს მომავალი თაობა რომელიც უფრო მეტი ცოდნით და ნიჭით იქნება შეიარაღებული, და გაეცნოს ჩემს ნამუშევარს. ქართული კულტურის ისტორიისათვის ეს საინტერესო იქნება.

მე გამოვემშვიდობე სტუმართ მოყვარე მასპინძელს და მადლობა გადავუხადე ცნობების მოწოდებისათვის.

გზაზე გამახსენდა მისი სიტყვები: „საწყალი დედაჩემი დღემუდამ სტიროდა, როდესაც უცქეროდა ჩემს თხუპნას ტალახში“,—და ვიფიქრე: როგორი შეუქრობელი ცეცხლით უნდა სძგერდეს იმ ადამიანის გული რომელიც შესძლებს ამდენი დაბრკოლებების გადალახვას და ბოლოს მაინც მიაღწევს თავის მიზანს.

შალვა ბუაჩიძე.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ინსტრუქცია

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებისათვის

თავი 1.

მოქალაქეთა საარჩევნო უფლება

1. საბჭოებში არჩევის უფლება, აგრეთვე ის უფლება, რომ თვით იქნენ არჩეული, აქვთ,—ეროვნებისა, სქესისა, ბინადრობისა და სარწმუნოების განურჩევლად,—საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ქვემოდ ჩამოთვლილ მოქალაქეებს, თუ მათ არჩევნების დღისთვის შესრულებიათ 18 წელი.

ა) ყველა მოქალაქეს, ვინც ცხოვრების სახსარს შოულობს წარმოებითი და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, როგორიც არის, მაგალითად: ვაჭრობა-მრეწველობასა და სახალხო-მეურნეობაში დაქირავებული ყველა დარგისა და კატეგორიის მუშები და მოსამსახურენი, მიწის მუშა გლეხები, რომელნიც დაქირავებულ შრომას არ გამოიყენებენ მოგების მიზნით, შინა-მრეწველები და ხელოსნები, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი და სხვ., აგრეთვე ვინც ეწევა საოჯახო მეურნეობას, რომელიც უზრუნველჰყოფს პირველთათვის წარმოებითი შრომის შესაძლებლობას;

ბ) წითელარმიელებსა და საბჭოთა ფლოტის სამხედრო მეზღვაურებს.

შენიშვნა: ზემოთ დასახელებული მოქალაქეები (ამა მუხლის პ. პ. „ა" და „ბ") არ ჰკარგავენ საარჩევნო უფლებას მაშინაც კი, თუ ისინი დჰკარგავენ შრომის უნარს ან უკეთუ დროებით უმუშევრად რჩებიან.

2. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ხელმძღვანელობს რა ყველა ერის მშრომელთა სოლიდარობის პრინციპით, საქართველოს მოქალაქეთა ყველა პოლიტიკურ უფლებასთან ერთად აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას ანიჭებს უცხოელთაც, ვინც საქართველოში შრომის მიზნით ცხოვრობს და ეკუთვნის მუშათა კლასს ან გლეხობას, რომელიც დაქირავებულ შრომას არ გამოიყენებს.

3. არა აქვთ უფლება აირჩიონ ან თვით იქნენ არჩეულნი ქვემოდ დასახელებულ მოქალაქეთ, თუნდაც ისინი ერთ-ერთ ზემოდ ნაჩვენებ კატეგორიას ეკუთვნოდენ:

ა) იმ პირთ, რომელნიც მოგების მიზნით დაქირავებულ შრომას მიმართავენ;

ბ) ვინც ცხოვრობს არა შრომის შემოსავლით, მაგალითად, კაპიტალის პროცენტით, საწარმოო მოგებით, ქონების შემოსავლით და სხვ.;

გ) კერძო ვაჭრებსა და კომერციულ შუამავალთ;

დ) ბერ მონაზონთ და ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი კულტის სასულიერო მსახურთ;

ე) ყოფილი პოლიციისა, ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა, დამცველი განყოფილებისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ყოფილ მოსამსახურეთ და აგენტებს, უკეთუ მათ აღდგენილი არა აქვთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ პოლიტიკური უფლებები;

ვ) იმათ, ვინც სათანადო წესით სულით ავადმყოფად, ან არაჭკუადმყოფელად არის ცნობილი, აგრეთვე მეურვეობაში მყოფთ;

ზ) იმ პირთ, რომელნიც მსჯავრდადებულ არიან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ანგარებისა და სხვა გამაწბილებელი და დამამცირებელი დანაშაულის გამო, იმ ვადის განმავლობაში, რომელიც აღნიშნულ იქნება კანონში ან სასამართლოს განაჩენში.

4. ამა ინსტრუქციის მე-3-ე მუხლის პუნქტები „ა", „ბ", „გ" და „დ"-ის შეფარდების დროს საარჩევნო კომისიებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ იმათ, ვინც წინათ დაქირავებულ შრომას მიმართავდა, არაშრომის შემოსავლით ცხოვრობდა, ან ვაჭრობას ეწეოდა, აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობდნენ სარწმუნოებრივი კულტის სამსახურისაგან მიღებული შემოსავლით, ნება ეძლევათ არჩევნებში მონაწილეობის სამაზრო (ან სხვა თანასწორი) აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა სათანადო შემთხვევაში ავტონომიური და მოკავშირე ერთეულის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. საარჩევნო უფლების აღდგენის საფუძველია დაწესებულების ან საწარმოს ადმინისტრაციის მიერ მიცემული მოწმობა იმ პირის თანამდებობისა და ხელფასის შესახებ, რომელსაც საარჩევნო უფლების აღდგენა სურს, აგრეთვე დეპუტატთა საბჭოსთან რომელიმე ადმინისტრატიულ ორგანოს მოწმობა იმის შესახებ, რომ ეს პირი ამ ჟამად სცხოვრობს პირადი შრომის შემოსავლით და არ ეწევა სხვისი შრომის ექსპლოატაციას.

5. საარჩევნო უფლება არ წაერთმევათ შემდეგ კატეგორიის პირთ.

ა) იმას, ვინც სასოფლო მეურნეობას ეწევა და დაქირავებულ შრომას გამოიყენებს იმ წესების თანახმად, რომელიც შემოღებულია საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ;

ბ) წისქვილისა, სამჭედლოს, სახერხი ქარხნისა და სხვა ამგვარი საწარმოს მეპატრონეს და მოიჯარადრეს, შინამრეწველსა და ხელოსანს, რომელთაც ჰყავთ არა უმეტეს ერთი მუდმივი მოზრდილი მუშისა ან ორი შეგირდისა, უკე თუ მეპატრონე თვით იღებს მონაწილეობას მუშაობაში;

გ) იმას ვინც იღებს პროცენტს შრომის შემნახველ სალაროში ქონებული ანაბარისათვის ან სახელმწიფო, კომუნალური და კოოპერატიული სესხის ობლიგაციებისათვის, უკეთუ ის საარჩევნო უფლებას მოკლებული არ არის სხვა საფუძველზე მე-3 მუხლის თანახმად;

დ) იმ პირს, რომელიც იღებს 1-ლი ხარისხის პატენტს, უკეთუ მას არ შეეფარდება რომელიმე პუნქტის მიღება მე-3 მუხლის „ა", „გ", „ბ", და „დ"-ის პ. პ. ძალით, უკეთუ ისინი ნივთიერად დამოკიდებულ არ არიან მათზე, ვინც თავისი პროფესიის გამო მოკლებულია საარჩევნო უფლებას;

ე) იმ პირთ, ვისაც მიუღია ხელშეკრულობით ეკლესია, ან საეკლესიო ქონება, ვინც საეკლესიო-სამრევლო საბჭოებისა და საზოგადოების წევრად არის ან ასრულებს კულტის სხვა მოვალეობას, როგორც მაგალითად, საეკლესიო-სამრევლო საბჭოს ან საზოგადოების თავმჯდომარე, რეგენტი, მნათე, ორგანისტი და სხვა, უკეთუ ისინი საარჩევნო უფლებას მოკლებული არ არიან მე-3 მუხ. სხვა რომელიმე პუნქტის მიხედვით.

6. ამა ინსტრუქციის მე-3 მუხლის „ე" პ. თანახმად საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან არა მარტო ყოფილი პოლიციისა, ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა, დამცველ განყოფილებისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის ყოფილი მოსამსახურეები და აგენტები, არამედ ყველა ის პირნი, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციას, ჟანდარმერიას და დამსჯელი რაზმების მუშაობას მეფის მთავრობის დროს, როგორნიც არიან: მინისტრი და მისი ამხანაგები, სამინისტროთა დეპარტამენტის დირექტორი, გენერალ-გუბერნატორი, გუბერნატორი, მთავარმართებელი, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, თავადაზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლი, საგანგებო მინდობილებათა მოხელე, სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრი, აგრეთვე სასამართლო პალატის პროკურორი და პროკურორის ამხანაგი, სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, წევრი, სამხედრო გამომძიებელი, პროკურორი და პროკურორის თანაშემწე, საგუბერნიო სამმართველოს წევრი, საერობო, საგლეხო და მაზრის უფროსი, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საპატიმრო უწყების საკლასო მოხელე.

7. საარჩევნო კომისიებს უფლება არა აქვთ შეავსონ ამ თავში აღნიშნულ პირთა ნუსხა.

თავი 2.

საარჩევნო კომისიები

8. საბჭოთა არჩევნებისათვის დაარსდება შემდეგი საარჩევნო კომისიები:

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიები;

გ) სამაზრო საარჩევნო კომისიები;

დ) საქალაქო საარჩევნო კომისიები;

ე) სარაიონო საარჩევნო კომისიები ქალაქებში,

და ვ) სათემო საარჩევნო კომისიები.

შენიშვნა 1. იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოები არსებობენ, შესდგებიან გარდა აღნიშნული კომისიებისა, სასოფლო საარჩევნო კომისიები.

შენიშვნა 2. საარჩევნო კომისიის წევრები კომისიაში მუშაობისათვის განსაკუთრებულ გასამრჯელოს არ მიიღებენ.

9. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მთელ რესპუბლიკაში.

არჩევნების შედეგების შესახებ მთელ საქართველოში, კომისია მოხსენებას წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

შენიშვნა. ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოიყენებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აპარატს.

10. აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან საარჩევნო კომისიებს შეადგენენ ამ კომიტეტების პრეზიდიუმები. აღნიშნული საარჩევნო კომისიები მოქმედებენ ამა ინსტრუქციის საფუძველზე.

11. სამაზრო საარჩევნო კომისიას შეადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; ამ კომისიის შემადგენლობა ცხრა კაცს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა. სამაზრო საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის აპარატს.

12. ქალ. თბილისისა და თბილისის მაზრისათვის თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი შეადგენს საქალაქო-სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელშიაც შევა არა უმეტეს 13 წევრისა.

13. ქალაქ ფოთისათვის ფოთის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმი შეადგენს საქალაქო-საარჩევნო კომისიას; ამ კომისიის შედგენილობა ცხრა კაცს არ უნდა აღემატებოდეს.

14. სამაზრო, თბილისის საქალაქო-სამაზრო და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს პერსონალურად დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

15. ქალაქ სოხუმში, ბათომში და ცხინვალში საბჭოთა არჩევნებს მოაწყობენ აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საარჩევნო კომისიები—კუთვნილებისამებრ. აღნიშნული ცენტრალური კომიტეტების პრეზიდიუმებს შეუძლიათ დაარსონ არჩევნების მოსაწყობათ აღნიშნულ ქალაქებში საქალაქო საარჩევნო კომისიები.

16. სამაზრო ქალაქებში არჩევნების მოწყობა დაევალება უშუალოთ სათანადო სამაზრო საარჩევნო კომისიას, ხოლო დანარჩენ ქალაქებში ადგილობრივ სათემო საარჩევნო კომისიას.

17. არჩევნების მოსაწყობათ ქალ. თბილისის სხვადასხვა უბნებში თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი შეადგენს სარაიონო საარჩევნო კომისიებს, რომლებშიაც შევა არა უმეტეს ხუთ-ხუთი წევრისა; ამ კომისიების თავმჯდომარეებს პერსონალურად დანიშნავს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი. გარდა ამისა, ამავე წესით და შედგენილობით თბილისში დაარსდება საგარნიზონო-საარჩევნო კომისია არჩევნების მოსაწყობათ აქ დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებში.

შენიშვნა. სარაიონო საარჩევნო კომისიები შეიძლება შედგენილ იქნეს ამა მუხლში აღნიშნული წესით აგრეთვე ქალ. სოხუმში, ბათომში, ფოთში და სამაზრო ქალაქებში, აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებისა, ფოთის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების დადგენილებით კუთვნილებისამებრ.

18. სათემო საარჩევნო კომისია მოეწყობა არა ნაკლებ 5-სა და არა უმეტეს 7 წევრის შედგენილობით.

სათემო საარჩევნო კომისიის წევრებს დაასახელებს სათემო საბჭო, ხოლო დაამტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ამასთანავე პერსონალურად დანიშნავს სათემო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

შენიშვნა. სათემო საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს სათემო აღმასრულებელი კომიტეტის აპარატს.

19. სასოფლო საარჩევნო კომისია შესაფერ ადგილებში (მე-8 შენიშვნა) მოეწყობა არა ნაკლებ 3-სა და არა უმეტეს 5 წევრის შემადგენლობით. სასოფლო საარჩევნო კომისიების წევრებს დაასახელებს სასოფლო საბჭო, ხოლო დაამტკიცებს სათემო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ამასთანავე პერსონალურადაც დანიშნავს სასოფლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,

შენიშვნა. სასოფლო საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს სათანადო სათემო აღმასრულებელი კომიტეტის აპარატს.

20. მე-8 მუხლში აღნიშნული საარჩევნო კომისიები შესდგებიან საბჭოთა არჩევნების დროისათვის და დაიშლებიან ერთი თვის შემდეგ საარჩევნო კამპანიის დამთავრების დღიდან, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განკარგულებით.

21. საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან;

ა) თვალყური ადევნონ შესაფერი ტერიტორიის ფარგლებში არჩევნების კანონიერებას და ყველა იმ წესებისა, ხორმებისა და ვადის შესრულებას, რაც დადგენილია საარჩევნო კამპანიისათვის, და შეუძლებელჰყონ მათი დარღვევა;

ბ) თვალყური ადევნონ, რომ არჩევნების დროს არ მოხდეს ხოლმე ადმინისტრატიული ძალდატანება ამომრჩეველთა მიმართ;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ ქვემდგომ საარჩევნო კომისიების მუშაობას;

დ) მოახსენონ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს ქვემდგომი საარჩევნო კომისიას დაშლის ან ცალკე წევრების გადაყენების შესახებ;

ე) ანგარიში მოსთხოვონ ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს მათი მუშაობის შესახებ და ზე-მდგომ საარჩევნო კომისიებს და სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს ცნობები წარუდგინონ შემოღებული ფორმით არჩევნების მსვლელობისა და იმ ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს;

ვ) განიხილონ დაწესებულ ვადაზე საჩივრები ქვე-მდგომი საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო და, კერძოდ, საარჩევნო უფლების უკანონოდ ჩამორთმევის გამო;

ზ) მოხსენება წარუდგინონ სათანადო საბჭოს ან საბჭოთა ყრილობას და ზე-მდგომ აღმასრულებელ კომიტეტს იმის შესახებ, რომ ამა ინსტრუქციით დადგენილი წესების დარღვევის გამო დამტკიცებულ არ იქნეს არჩევნები მთლიანად ან კერძოდ, ამა თუ იმ დეპუტატის მიმართ;

თ) გაგზავნონ თავის წარმომადგენლები ქვე-მდგომ საარჩევნო კომისიებში მათ მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის მსვლელობის გასაცნობათ.

22. სარაიონო საარჩევნო კომისიებს ქალაქებში, ხოლო თუ სარაიონო კომისიები არ არსებობს, საქალაქო კომისიებს, გარდა ზევით აღნიშნულ ფუნქციებისა, დაეკისრებათ:

ა) იმ პირთა სიების შედგენა, განხილვა, შემოწმება და გამოქვეყნება, რომელნიც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას;

ბ) სახელობითი საარჩევნო უწყების დაგზავნა ამომრჩევლებისათვის და სხვა ღონისძიების მიღება საარჩევნო კრებების დროისა და ადგილის შესატყობინებლად;

გ) თავის რწმუნებულების დანიშვნა არჩევნებისათვის ცალკე საარჩევნო ჯგუფებში: პროფესიონალურ კავშირებში, მეოჯახე ქალთა, შინამრეწველთა, გლეხთა, წითელარმიელთა და სხვ. შორის.

შენიშვნა. ქალაქებში, სადაც საქალაქო საარჩევნო კომისიები არ არის დაარსებული, ამ მუხლში აღნიშნული ფუნქციები დაეკისრება იმ საარჩევნო კომისიებს, რომელთაც ამა ინსტრუქციის ძალით დავალებული აქვთ ასეთ ქალაქებში არჩევნების მოწყობა.

23. საქალაქო საარჩევნო კომისიებს იმ ქალაქებში, სადაც სარაიონო საარჩევნო კომისიები არსებობენ, გარდა 22 მუხლში ჩამოთვლილ ფუნქციებისა, დაეკისრებათ საჩივრების განხილვა სარაიონო საარჩევნო კომისიების მოქმედებაზე.

24. სათემო საარჩევნო კომისიებს, აგრეთვე სასოფლო საარჩევნო კომისიებს (სადაც ისინი არსებობენ), დაევალებათ:

ა) რაიონის დაყოფა საარჩევნო უბნებად;

ბ) საუბნო რწმუნებულების დანიშვნა საბჭოთა არჩევნებისათვის;

გ) შედგენა, განხილვა, შემოწმება და გამოქვეყნება საარჩევნო უფლება მოკლებულ პირთა სიებისა;

დ) გამოცხადება საარჩევნო კრების დროისა და ადგილისა და საარჩევნო უწყებების დაგზავნა მოქალაქეთათვის.

თავი 3.

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა

25. სათემო და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის ფუნქციებს ასრულებენ სხვა აღმასრულებელი კომიტეტები, ეს უკანასკნელები აწარმოებენ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ინსტრუქციის თანახმად, ყველა სრულწლოვან მოქალაქეთა მუდმივ აღრიცხვას ორ ჯგუფად:

ა) საარჩევნო უფლების მქონე პირნი (ამომრჩეველნი) და ბ) საარჩევნო უფლებას მოკლებული პირნი.

შენიშვნა. სოფლებში აღრიცხვა სწარმოებს ცალკე თვითეული სოფლისათვის.

26. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვა მოხდება დოკუმენტალური ხასიათის ცნობების მიხედვით. ასეთი ცნობები იქნება:

ა) იმ პირთათვის, რომელთაც საარჩევნო უფლება სასამართლოს მიერ აქვს ჩამორთმეული, განაჩენის ასლი, ან სათანადო სასამართლო ორგანოს ცნობა;

ბ) იმ პირთათვის, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც არაშრომის შემოსავლით სცხოვრობენ,—საფინანსო ორგანოების ცნობები მათ მიერ საშემოსავლო და სარეწავი გადასახადის გასტუმრების შესახებ და დამზღვევ სალაროების ცნობები დამზღვევი თანხების შეტანის შესახებ;

გ) იმ პირთათვის, ვინც ვაჭრობას ეწევა,—საფინანსო ორგანოების ცნობები მათ მიერ პატენტების აღების შესახებ;

დ) სულით ავადმყოფთა და არაჭკუადმყოფელთათვის ჯანმრთელობის ორგანოების აქტები ან აქტების შემოწმებული ასლები სულით ავადმყოფად ან არაჭკუადმყოფელად ცნობის შესახებ;

ე) ყოფილი პოლიციის მსახურთა და აგენტებისა და ყველა იმ პირთათვის, ვინც ჩამოთვლილია ამა ინსტრუქციის მე-6-ე მუხლში,—ადმინისტრატიული ორგანოებისა ან სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სათემო ან სასოფლო საბჭოების ცნობები.

27. 25—26 მუხლებით გათვალისწინებული აღნუსხვის მიხედვით, სათემო, სასოფლო, სარაიონო (ან საქალაქო) და სამაზრო საარჩევნო კომისიები კუთვნილებისამებრ შეადგენენ და დაამტკიცებენ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიებს. დამტკიცებული სიების ერთ ცალს საარჩევნო კომისიები გაუგზავნიან შესაფერ საბჭოს, ხოლო მეორე ცალს ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

28. იმ პირთა სიები, რომელნიც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან, საარჩევნო კომისიებმა უნდა გამოაქვეყნონ ადგილობრივ ბეჭდვითი ორგანოებში, გააკრან თვალსაჩინო ადგილას, გამოაცხადონ საზოგადო კრებებზე და სხვ. 20 დღით ადრე მაინც სათანადო საბჭოს არჩევნებამდე.

თავი 4.

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა საჩივრების განხილვა

29. იმ პირებს, რომელთაც საარჩევნო კომისიის დადგენილებით ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, შეუძლიათ გაასაჩივრონ ეს დადგენილება ერთი კვირის განმავლობაში სიის გამოქვეყნების დღიდან.

30. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც სია დაამტკიცა.

უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებული იქნა, საარჩევნო კომისია აუწყებს ამას საჩივრის შემტანს: უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებულ არ იქნა, საარჩევნო კომისია აუწყებს ამას საჩივრის შემტანს; უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებულ არ იქნა, კომისია ვალდებულია ორი დღის განმავლობაში გაუგზავნოს საჩივარი თავისი დასკვნით ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ე. ი. სასოფლო კომისია—სათემო კომისიას, სათემო კომისია—სამაზრო კომისიას, სარაიონო კომისია—საქალაქო ან სამაზრო კომისიას, კუთვნილებისამებრ, საქალაქო და სამაზრო კომისია—ცენტრალურ საარჩევნო კომისიას).

31. ზე-მდგომი საარჩევნო კომისია განიხილავს წინა მუხლში აღნიშნული წესით შემოსულ საჩივარს 2 დღის განმავლობაში

უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებულ იქნება, ზე-მდგომი საარჩევნო კომისია ორი დღის განმავლობაში საჩივრის განხილვის დროიდან, შეატყობინებს ამას ქვე-მდგომ საარჩევნო კომისიას მომჩივანისათვის გამოსაცხადებლად, მხოლოდ თუ საჩივარი უარყოფილი იქნა, იგი იმავე ვადაზე უნდა გაეგზავნოს, გამოტანილ დადგენილებასთან ერთად, ზე-მდგომ საარჩევნო კომისიას (ე. ი. სათემო კომისიიდან სამაზრო კომისიას, საქალაქო და სამაზრო კომისიიდან—ცენტრალურ საარჩევნო კომისიას), ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

32. ზე-მდგომი საარჩევნო კომისია, რომელშიაც საჩივარი შევა 31 მ გათვალისწინებული წესით, აგრეთვე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ასეთსავე შემთხვევაში, განიხილავენ შესულ საჩივარს: ზე-მდგომი საარჩევნო კომისია 31 მუხლში აღნიშნულ ვადაზე, ხოლო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი 3 დღის განმავლობაში და გამოტანილ დადგენილებას აცნობებენ ქვე-

---

სამთავისის კომუნა

მგზავრული მასალათი

ჩვენი სოფლის ცხოვრებაში სამთავისის კომუნა წარმოადგენს სრულიად ახალ და თავისებურ მოვლენას.

უკვე საკმაოთ არის გახმაურებული ამბავი მისი არსებობის შესახებ. ყველას სწადია საკუთარი თვალით იხილოს იგი და მხოლოდ შემდეგ დაიჯეროს ჩვენს პირობებში თითქოს შეუძლებელი ასეთი იდეალური შეჯგუფება ოცდაოთხი სრულიად დამოუკიდებელი გლეხის ოჯახისა.

მეც მქონდა განზრახვა შესაფერისად გამეცნო სამთავისის კომუნის ავ-კარგი.

ამ მოსაზრებით ერთ მშვენიერ დილაზე გავჩნდი კასპის სადგურზე. არც კი ვიცი, გზა საით მიდის, მაგრამ კითხვის-კითხვით კაცი „ილურსამეთს" მივაო.

აგერ ერთი ჯირკა გლეხკაცი გამოსაფხიზლებლათ ცივი წყალით ღლრუპნის სახეს.

— გამარჯობა ძმობილო!

— აი, ღმერთმა გაგიმარჯოს!

— სამთავისის გზას ვერ მასწავლი?

— კომუნაში მიბრძანდები?

— დიახ! შენ საიდან მიხვდი?

— რა ძნელი მისახვედრია! ეხლა ყველა იმის სანახავათ მიდის.

— შორს არის?

— ათი ვერსი იქნება. ბარემ ჩვენთან წამოდით! აი, მე და ჩემი ამხანაგი ლამისყანაში მივდივართ და იქვე გავივლით სამთავისთან.

— თუ კი ერთი მგზავრები ვიქნებით, მაგას რაღა ემჯობინება! აგერ მეორე ამხანაგიც მოვიდა. ხელში რამდენიმე მხლის ჯაგანი უჭირავს.

— სამთავისში მობრძანდები?

— დიახ! ერთი მგზავრები ვიქნებით!

— მაშ ხეპეური მიირთვი, სანამ ამხანაგიც პირს დაიბანს.

— ამ უზმო გუნებაზე რა ხეირის დაგვაყრის!

— შე კაი კაცო, ამი წამალიც არი! აი გადავიდეთ პირდაპირა, თითო მწარე გადავკრათ და საქმესაც მოვილევა.

— ნაგნაირ კაი საქმეზე არც მე დაგზარდებით! დილაც ცოტა სუსხიანია, მოვიხდება!

გადავედით იქვე ერთ ბრილატ სამიკიტნოში. როგორც ახლად გაცნობილი ხალხი დიდის გულითადობით შევექეცით ერთმანეთის სადღეგრძელოს, ვისურვეთ შემდეგშიც მრავალჯერ შეხვედრა და სახელდახელო პურ-მარილით ნასიამოვნები გავუდექით სამთავისის მტვრიან გზას.

გავსცდით მირეულ-მორეულ სოფ. კასპს და გავედით ორ გორას შუა ილაღათ მიმავალ შარა გზაზე, დაბლობში კარგა მანძილზე გაჭიმულან ხილის ბაღები. წითელ და სევდიან შემოდგომას თავისი ნაზი სულით დაუბერია იქაურობისთვის და მთელი ბუნებაც დამსგავსებია ფერადათ ნაქარგ ძვირფას ხალიჩას.

გავიარეთ საზამთრო ფარეხებში მდიდელი მეცხვარეებისა. სალაპარაკო მასალა უხვათ მოგვეპოვება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან. მაინც ყველაზე ამყოლი უფრო „ხატი ხარშიას ბიჭი" გამოდგა. ეს არის ლამისყანელი კოლა ღვინიაშვილი, რომელიც პირველათ შემხვდა.

თავი და თავი სალაპარაკო მასალა, რასაკვირველია, ისევ კომუნა არის.

— ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ! ე კომუნა მართლა ისე საინტერესო რამეა, როგორც ხმა არის გავარდნილი?

— საინტერესოა კი, იცოცხლე, ძალიან არის, ხოლოთ თუ ბოლო გაატანეს!

— როგორ? განა ვეეჭვეოთ, რომ კარგა წაუვათ საქმე?

— არა! საქმე ერთ სიტყვით სამაგალითოდ არის დაწყებული. ძალიანაცა ბიჭობენ, ძალიანა, რო უკეთესი არ შეიძლება. ყველა ისე არიან ერთმანეთთანა, ძმათ გაფიცული გეგონება. ღვთის წინაშე მთავრობის ძალაცა მუშაობს. როგორც ერთად ერთი სამაგალითო საქმე, ყველა აქეზებს და ეხმარება. თუმცა ყველაფერი ეს თავიანთი სიყოჩაღით დაიმსახურეს! აბა არაქნიანობისთვის ან მთავრობა რათ დაეხმარება და ან ხალხი!

— მაშ, როგორც ეტყობა, ხალხს ძალიან მოსწონს ეგ კომუნა, ჰა?

— ჰაი, ჰაი, რო მოსწონთ! პირველათა ყველას ეგონა, რო კეთილი არაფერი დაიბადებოდა. რაც ქონება ებადათ, სულ ერთიან შემოეჭმელოდათ და მერე ისევ ყველანი თავთავიანთკენ გაიწევდენ. მაგრამ საქმე უფრო წინ მიდის. დიდ საქმეებსაც მოჰკიდეს ხელი და ეხლა მრავალიც არის იქ შესვლის მოსურნე.

— თუ კი ეგრე მოსაწონია, მაშ სხვები რატომ აღარა ჰბაძავენ?

— ბაძავენ, როგორ არა! აი ეხლა ლამიყანეშიაც აპირობენ დაარსებასა. მხოლოთა ყველა საქმესა თაოსნობა სჭირდება. თუ მეთაური არ არი, ისე ძნელია ახალი საქმის დაწყება. ეხლა სამთავისშიც არაფერი მოხერხდებოდა; ისეთი მეთაური რო არა ჰყავდეთ, აი გიორგი უზნაძე. თუ კი ისეთი მეთაურები გამოჩნდებიან, მა კომუნამა ისე დააინტერესა ხალხი, რო დიდ მიბაძულობას გამოიწვევდა.

კარგა მანძილზე ვიმსჯელეთ ასე კომუნის შესახებ. ყოველნაირათ ვეცადე გამომერკვია—ხალხი ხომ უნდობლათა მა ალმაცერათ ხომ არ უცქერის ამ პირველ გამბედავ მაგალითს, მაგრამ კარგი აზრისა და ხელის მომართვის მეტი მე სხვა არაფერი შემიმჩნევია. პირიქით—ხალხი ძალიანაც უწყობს ხელს, რასაც ქვევით ავსწერ.

გზა ისევ გრძელია ჩვენი საუბარივით. მე მეინტერესება „ხატი ხარშიას ბიჭის" ვინაობა. მეორე გლეხი მიხსნის:

— მაგი მამამა ხატები მოხარშა და იმიტომ ვეძახით ეგრე.

— როგორ თუ ხატები მოხარშა?

აქ მიამიტური სიცილითა და მხიარული გუნებით ისევ თვით კოლა ჩამოერია. ეს ერთი ცოცხალი სურათთაგანია ცხრაას ხუთი წლის ცხოვრებიდან:

— რახან ეგრეა, ბარემ მე თვითან გეტყვით, როგორც იყო საქმე. თან გზაც შეგვიმოკლდება.

—„მამაჩემი თავიდანვე რევოლიუციონერი კაცი იყო, თუმცა სახნისსაკვეთს კი არ მოსცილებია. ჩვენი ღვდელი ძალიან იყო იმაზე გადაკიდებული, რადგან ურწმუნო კაცადა სცნობდა მამაჩემს. ერთხელ საფლავის ამოლების დროსა მამაჩემს თავის ქალა ეპოვნა. აიღო ეს თავის ქალა, გასწმინდა, გაასუფთავა, მოავერცხლინა კოხტად და კაი აზარფეშასავით ღვინის სასმელად გაიხადა.

„ერთხელ დაუძახა ამ ღვდელსა და თავი ხელით მოახდეინა ოცდახუთ კოკიანი ქვევრი, თუმცა ნაკლულიც კი ჰქონდა სხვაი. აიღო მამაჩემმა ეს თავის აზარფეშაი, ერთი თვითონ გადაჰკრა ე თავანკარი ღვინო და მერე ხუცესსაც შესთავაზა. რა დაინახა სვიმონა ღვდელმა ადამიანის თავის ქალა და შიშით ხელიდან გააგდო. თანაც ლანძღვა დაუწყო მამაჩემსა—ასეთ ცოდოს რათ ჩადიხარო. მამაჩემმა თურმე მოკეტა მარნის კარი და მიუტრიალდა იმ თხი-წვერასა.

„—შენი საქნეველა კი ვატირე, შენიო".

„წამოეძრო ჯვარი და იმდენი ეთაქა, სანამ მე და შენ მოვეშველებოდით. ამ ამბიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ დიდი ოლონ ტრიალიც გაჩნდა. ქართლს ყაზახები შემოესიენ. ჩვენ სოფელსაც მოადგა ბელოვი ასი ყაზახითა და ასი ზარბაზნითა. ღვდელმაც სწორეთ ეხლა უხელთა დროი მამაჩემსა. წავიდა და პირველათვე ის დააბეზღა. „მაგანა ხატები მოხარშაო". შემდეგ მოიტანა და დაცინვით მეუბნება—აჰა, ხორცი შენ სჭამე და წვენი კი ქლე არის, გადავღვრიოო. თუ ამაზე მეტი ქონი არ ექნებოდათ, ბარემ ცეცხლში დამეწვა ისა სჯობდაო. მე მეგონა, მადლიანები არიან და ქვაბიდან ამოხტებოდნო. ეგენი კი კუტებივით ეყარენ შიგა და მეც მოვიხარშეო".

„ბელოვმა მაშინათვე მოითხოვა მამაჩემი. მაგრამ არც ბლია ღვინიაშვილს ქონდა თავი გამეტებული. ადგა და ბელოვთან გამოცხადების მაგიერ ტყეში გავარდა. გაბრაზებულმა ბელოვმა მთელი ჩვენი სახლკარი სულ მიწასთან გაასწორა ზარბაზნებითა. მერე მე დამიჭირეს და გამგზანეს გორში. მამაჩემი ხედავს, რო აღარ მიშვებენ მერე იფიქრა: ეს ერთი შვილი მყავს, თუ ამას ციხეში ამოართმევენ სულსა, მაშინ მე რაღათ მინდა სიცოცხლეო. ადგა და გამოცხადდა. მერე რაღაც მანიფესტი გვეწვია და ორთავე გამოგვიშვეს. დიდ ხანს აღარც უცოცხლია საწყალსა. მეც ავიყვანე და ზედ გზის პირზე დავასაფლავე, როგორც სტუმრისა დამჰმსვლელ-მომსვლელის მოყვარული კაცი. ქვაზეცა სალვინე გამოვახატინე, როგორც ღვინის მოყვარული კაცი და თან გვარათაც ღვინიაშვილი. ეხლა იმი ნაცნობები რომ გაივლიან—გულზეც ღვინოს გადაასხავენ ხოლმე და შენდობას ეტყვიან.

„კომუნა ეხლა ძეგლს უდგამს იმასა, როგორც პირველ გლეხ რევოლიუციონერსა".

კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ გემოზე. აგერ ჩვენი გზები იყრებიან კიდევაც. იმათ გადაუხვიეს ლამის-ყანებისაკენ. მე კი სხვა ახლად შეხვედრილ გლეხებთან ერთად გავეშურე სამთავისისაკენ; საიდანაც ლამაზათ გამოიცქირება ცის სწორათ აზიდული ძველის-ძველი ტაძარი.

ამ გლეხებსაც ბევრი რამ გამოვკითხე კომუნას შესახებ. ყველა აღტაცებითა ლაპარაკობს და თანაც დარწმუნებული არიან, რომ უეჭველათ მოლოც კეთილი იქნება. ამიტომ თვით გლეხობაც უარს არ ამბობს სხვადასხვა ნაირათ ხელის შეწყობაზე. მაგალითად კომუნის მონაწილე გლეხებს სულ სხვადასხვა ადგილებში ჰქონიათ დაფანტული მიწები და ბაღები. სხვა გლეხებს სიამოვნებით გადაუცვლიათ თავიანთი ადგილ-მამული და ეხლა კომუნას სულ ერთ მხარეს აქვს მოქცეული თავისი მამულები, რაც აუცილებლიც არის და ყოველმხრივაც ადვილებს მათ დამუშავებას.

თვითონ ამ გლეხებში ურევიან ამგვარათ მამულის გადამცვლელები და არც ენანებათ. ოღონდ კი საქმე კარგათ წაუვიდეთო.

კომუნის დოვლათი

პირველ ყოვლისა მე მინდა გაგაცნოთ კომუნის ნივთიერი დოვლათი ისე, თვალის გადავლებით.

სოფლის მისავალზევე დაუცია ბინა ამ ახალ ოჯახს. პირველათვე თვალწინ ისახება ორი უშველებელი შენობა: თეატრი და საცხოვრებელი სახლი. თეატრი ჯერ დამთავრებული არ არის. უკვე გადახურულია და ეხლა სწარმოებს შიგნითი ხის მუშაობა. ერთ-ორ კვირეში მზათაც იქნება. მთავარ დარბაზში დაეტევა სამას-ოთხასი კაცი. არის კიდევ გვერდის ფართე დარბაზები და რამდენიმე მცირე ოთახიც. ასეთი მშვენიერი თეატრი ბევრ ჩვენ პროვინციალურ ქალაქსაც მოენატრება—სოფლებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება.

თეატრის უკან გაჭიმულა სრულიად ახალი ქვიტკირის შენობა, სადაც ორპირათ არის ჩამწკრივებული ოცდა რვა ოთახი. ცალი გვერდი უკვე გაწყობილია და შიგ ცხოვრობენ წევრები. მეორე პირსაც გაფაციცებით ამზადებენ. მთელ არე-მარეზე საგანგებოთ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს:

აგერ ერთგან აშენებენ ქვითკირის ორ-სართულიან პატარა შენობას. აქ საავადმყოფო და ექიმის სადგომი იქნება. იქვე ცოტა ზევით ქვითკირის თავლებს ამზადებენ და გაფაციცებით ხურავენ კრამიტით, რომ საქონელს თბილი ბინა დაუმზადონ, რაც შეიძლება ჩქარა. ბოსლის იქ ით, ფერდობზე კი თერმეტ-სამოცი მუშა გამწკრივებულა და მარჯვეთ მთარლევენ ვიწრო თხრილს. აქ თურმე წყარო გამოჰყავთ ორი ვერსის სიშორიდან.

იქავე მარჯვნივ ორი ვაგონის სიგრძე ძარი გაჭიმულა, რომელიც ყვითლად დაბრაწული სიმინდით გაჰკნულა და თითქოს ოქროს საფასურათ გამოიყურება მოყვრის გულის გასახარებლათ.

ზევითკენ ორი ქვითკირის საბძელია გაშენებული. იქავე მარჯვნივ თივის დიდი ზვინი გაწოლილა. ცოტა ქვევით სდგას შრომისაგან უკვე მოცლილი სალეწი მანქანა თავის მოტორით.

ეზოში რამდენიმე ჯიშიანი ღორი დადის. მაინც საკმარისი არ არის ელიან გამრავლებას. აგრევე ითქმის შინაურ ფრინველებზეც. იმავე დღეს ქალაქიდან მოიყვანეს ხუთი ჯიშიანი ძროხა. დღესვე აპირობენ თოთხმეტი ძირი ფუტკარის ჩამოყვანას ჰალიდან რომელზედაც საქონელი გადაუცვლიათ. საერთოდ კომუნას სრულებით აღარა ჰყავს ძველი საქონელი. ის ნაწილობრივ გაუყიდიათ და ნაწილობრივ გადუცვლიათ სხვა რამეზე. ხარ-კამეჩის მაგიერ ეხლა კომუნას ჰყავს 14 ცხენი—სამუშაოთ და სანაშენოთ.

მიწა აქვთ 90 დესეტინამდე. წრეულს გაუტეხიათ ჩირგვებიანი ადგილი 14 დღიური და ბოსტნეულობა მოუყვანიათ. ჩაუყრიათ ექვსი დღის ამერიკული ვაზი და კიდევ აპირობენ გაფართოებას. ხეხილის ბაღებიც საკმაო აქვთ. კომუნაზევეა გადაცემული ტხორჯეევკას ყოფ. ბაღი და სახლი. მთელი მამულები კომუნას დაუხნავს დაქირავებული ტრაქტორით. ჩქარა შეძენილი ექნებათ საკუთარი ტრაქტორი.

ბევრსა ჰგონია, რომ მხოლოდ მთავრობის დახმარებით არსებობს ეს კომუნა. მთავრობისაგან, მართალია ძალიან დიდი დახმარება აქვს ზნეობრივი. ნივთიერად კი მხოლოდ ხუთას თუმნამდე აქვთ მიღებული თეატრისათვის. დიდ შეღავათებს ანიჭებენ კომუნას აგრეთვე კრედიტების გახსნით სხვადასხვა დაწესებულებებში. სხვა ფრივ კი კომუნას წევრებს გადააქვთ თავიანთ თავზე მთელი ეს ახალი და ყოვლად სძნელო საამშენებლო მუშაობა.

კომუნას ყველაფერი ახალათ აქვს გასაკეთებული და შესაძენი. მუშა ხელი ძალიან დიდი სჭირდება. თვითონ ამჟამად ყველაფერს ვერ ჩუვა. ამიტომ წრეულობით ნება აქვთ დართული, ისარგებლონ დაქირავებული შრომითაც. მხოლოდ ამგვარათ ასწრებენ იმ აუცილებელ სამუშაოს, რაც უეჭველათ უნდა მოთავდეს ზამთრის დაწყებამდის.

სურსათ-სანოვაგეც საკმაოთ მოეპოვება კომუნას. მოსვლიათ 700 კოდამდე პური და ქერი. ხილითაც ბარაქიანათა აქვთ გამოჭკნული სახლის ქვეშით სიგრძეზე გაჭიმული სარდაფი. ბოსტნეულობაც თავსაყრელია.

მთელ არე-მარეზე მუშაობა სდუღს და გადმოდუღს. ყველანი ისე თავგამეტებით ირჯებიან, თითქოს სანაძლეო ჰქონდეთ დადებული ერთმანეთთანო.

წინ სიამოვნებით შემეგება კომუნის ერთ-ერთი წევრი და ყველაფერი ახლათ დამათვალიერებინა.

შემდეგ მეორე წევრთან მომიხდა გავლა და ლაპარაკი. კომუნის ყველა წევრები ისე საგანგებოთ არიან ერთმანეთთან გათანასწორებული და პატივცემული, რომ მე განგებ არ მინდა, თითო-ოროლას გვარი ვახსენო გაზეთში, როგორც ერთგვარი უპირატესობა და მეორენი კი ჩუმათ დავსტოვო. იქ ერთი კაცის პირით მთელი კომუნა ლაპარაკობს და ამიტომ სულ ერთია, პასუხს ვინც მოგვცემს.

კომუნის ისტორია

აი, როგორ მომითხრობს ერთ-ერთი წევრი.

„სამთავისის უჯრედი ძალიან შეკავშირებულ რამეს წარმოადგენდა. მუდამ ერთსულოვნათა ვმუშაობდით. გარდა ბუნებრივი კაი განწყობილე-

მიიღოს საარჩევნო კომისიას და მომზადების არჩევნებამდე.

33. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო უფლების მოკლებულ პირთა სიები განხილულ იქნება სათანადო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

თავი 5.

საარჩევნო კრებები

34. თვითეული ამომრჩეველი განახორციელებს თავის საარჩევნო უფლებას მარტო ერთ ადგილას, უკეთუ მუშაობისა და პროფესიის მიხედვით ამა თუ იმ პირს საარჩევნო უფლება ეკუთვნის რამდენიმე დაწესებულებაში ან რამდენსამე ადგილას, მას ნება ეძლევა აირჩიოს ადგილი, სადაც მიიღებს იგი მონაწილეობას არჩევნებში.

35. საბჭოს წევრებისა და კანდიდატების არჩევა მოხდება საარჩევნო კრებაზე.

36. საარჩევნო კრებას მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული.

37. საარჩევნო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სახელობით უწყებების დაგზავნით, აგრეთვე შესაფერი განცხადების თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, ბეჭდვითი ორგანოში გამოცხადებით და სხვა გზით, ხუთი დღით ადრე მაინც კრების გახსნამდე.

38. ქალაქებში საარჩევნო კრებები მოეწყობა წარმოებითი ან პროფესიონალური ერთეულების მიხედვით (საწარმო, დაწესებულება, პროფკავშირი).

იმ მოქალაქეებისათვის, რომელნიც არ შედიან საწარმოებსა და დაწესებულებებში და შეკავშირებულნი არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებში, როგორც მაგალითად, შინა-მრეწველებისა, ხელოსნებისა, დიასახლისებისა, მეეტლეებისა და სხვებისათვის, საარჩევნო კრებები მოეწყობა ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.).

39. სათემო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების არჩევნები მოეწყობა თვითეულ სოფელში (ცალკე, თუ სოფელში 100 მცხოვრები მაინც არის. როდესაც მცხოვრებთა რიცხვი უფრო ნაკლებია, მაშინ ცალკე სოფლები გაერთიანდებიან ერთი დეპუტატის ასარჩევად.

40. არჩევნების მოსახერხებლად ისეთ სოფელში, სადაც 500-ზე მეტი მცხოვრებია, საარჩევნო კომისიებს შეუძლიათ დაჰყონ ეს სოფლები ცალკე საარჩევნო უბნებად.

41. ყველა საარჩევნო კრებაზე უნდა მოხდეს ყველა იმ პირთა აღნუსხვა, ვინც არჩევნებზე გამოცხადდა.

საარჩევნო კრებას შეიძლება დაესწროს მხოლოდ ის, ვისაც საარჩევნო უფლება აქვს.

42. საარჩევნო კრება კანონიერია თუ მას დაესწრო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 35 პროც. მაინც.

43. საარჩევნო კრებას გახსნის საარჩევნო კომისიის რწმუნებული და გაუძღვება სამი პირის შედგენილობით არჩეული პრეზიდიუმი, საარჩევნო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

44. საარჩევნო კრების გახსნის შემდეგ თავმჯდომარე ვალდებულია:

ა) გააცნოს კრების დამსწრეთ არჩევნების წესი, რისთვისაც ის წაიკითხავს ამა ინსტრუქციის 1—6 და 34—55 მუხლებს;

ბ) გამოაცხადოს ამომრჩეველთა რიცხვი და არჩევნებზე გამოცხადებულ პირთა რიცხვი;

გ) გამოაცხადოს კანდიდატების სიები და ცალკე კანდიდატების სახელი და გვარი, რომელი სიებიც მიღებულ იქნა საარჩევნო კრებამდე და თვით საარჩევნო კრებაზე, იმის აღნიშვნით, თუ ვის მიერ არიან კანდიდატები დასახელებულნი.

45. საარჩევნო კრების დღის წესრიგი უნდა დაამტკიცოს თვით საარჩევნო კრებამ.

46. კენჭის ყრა საარჩევნო კრებაზე მოხდება ან სიებით ან პერსონალურად, როგორც ამას კრება გადასწყვეტს.

შენიშვნა. სიებით კენჭის ყრის დროს შესაძლოა ცალკე კანდიდატის გამორიცხვა ამა თუ იმ სიიდან.

47. საარჩევნო კომისიებსა და მათ რწმუნებულებს არა აქვთ უფლება წამოაყენონ თავის მხრით არც კანდიდატთა სიები, არც ცალკე კანდიდატები.

48. თვითეული კანდიდატის შესახებ შეიძლება მოხდეს წინასწარი მსჯელობა, თუ კრება ამას საჭიროდ დაინახავს.

49. არჩევნები სწარმოებს ახდილი კენჭის ყრით. არჩეულად ჩაითვლებიან ის პირნი, ვინც ხმების მარტივ უმეტესობას მიიღებს.

შენიშვნა. უკეთუ კანდიდატების საჭირო რიცხვი არ მიიღებს ხმების უმრავლესობას, მოხდება განმეორებითი კენჭის ყრა. განმეორებითი კენჭის ყრის წინ შეიძლება ახალი კანდიდატების დასახელება.

50. დეპუტატებს საარჩევნო კრება აირჩევს იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია დებულებით სათემო საბჭოებისა, სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და მოქალაქეთა საზოგადო კრებების შესახებ, სამაზრო ქალაქების საბჭოების დებულებით და განსაკუთრებული დებულებით ცალკე ქალაქების შესახებ.

სასოფლო საბჭოში დეპუტატები აირჩევიან იმავე რაოდენობით, როგორც სათემო საბჭოში.

51. წითელი არმიის საკადრო ნაწილები და ტერიტორიალური ნაწილების მუდმივი შედგენილობა იმ სოფლებში და ქალაქებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა აირჩევს საბჭოს დეპუტატებს მცხოვრებთა საერთო რიცხვის მიხედვით, აირჩევენ საბჭოთა დეპუტატებს იმ ანგარიშით, რომ 1 დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა აირჩევს დეპუტატებს ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, წითელი არმიის საკადრო ნაწილები და ტერიტორიალური ნაწილების მუდმივი შედგენილობა აირჩევს დეპუტატებს იმავე ანგარიშით, როგორც დანარჩენი მოსახლეობა.

უკეთუ წითელი არმიის საკადრო ნაწილში ან ტერიტორიალური ნაწილის მუდმივ შედგენილობაში ამა თუ იმ ადგილზე არ არის ამომრჩეველთა ის რიცხვი, რაც საჭიროა ერთი დეპუტატის არჩევისათვის, ეს ნაწილი არჩევისათვის შეუერთდება სხვა ნაწილებს, რომელნიც იმავე ადგილას იმყოფებიან, ხოლო თუ სხვა ნაწილები არ არიან ან თუ გაერთიანების შემდეგაც ამომრჩეველთა რიცხვი იმ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა, რაც ერთი დეპუტატის არჩევისათვის არის საჭირო, ნაწილი, ან გაერთიანებული ნაწილები აირჩევენ საბჭოში ერთ დეპუტატს.

შენიშვნა. წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობა აირჩევს დეპუტატებს დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად და მათი თანასწორი ნორმით.

52. თვითეული საარჩევნო კრება, დეპუტატების გარდა, აირჩევს მათ კანდიდატებს, დეპუტატთა რიცხვის ერთი მესამედის რაოდენობით.

საბჭოს წევრთა კანდიდატები აირჩევიან დეპუტატების შემდეგ ცალკე კენჭის ყრით.

53. საარჩევნო კრების მსვლელობისა და შედეგების შესახებ შედგენილ უნდა იქნეს, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმისა ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

54. ყოველი არჩეული დეპუტატის შესახებ საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ანკეტა, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფორმისა.

თავი 6

არჩევნების გაუქმების წესი, ხელახალი არჩევნები და დამატებითი არჩევნები.

55. არჩევნები გაუქმებულ იქნება შემდეგი მიზეზების გამო:

ა) უკეთუ საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 35 პროცენტზე ნაკლები;

ბ) უკეთუ ცნობილი იქნება, რომ მოქალაქეთაგან შემოსული საჩივრები იმ ორგანოების უკანონო მოქმედებაზე, რომელნიც არჩევნებს ხელმძღვანელობდენ, საფუძვლიანია.

56. ზემოაღნიშნული მიზეზებით არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს:

ა) მთლიანად, ე. ი. საბჭოს წევრთა მთელი შემადგენლობის მიმართ;

ბ) ნაწილობრივ, ე. ი. საბჭოს ცალკე წევრთა მიმართ, ცალკე საარჩევნო უბნებში.

57. არჩევნები გაუქმებულ იქნება მთლიანად, უკეთუ დეპუტატთა ნახევარზე მეტი არჩეულია ამა ინსტრუქციის წესების დარღვევით. უკეთუ ამ წესების დარღვევას ადგილი ჰქონდა ერთსა ან რამდენიმე საარჩევნო უბანში, სადაც არჩეულია დეპუტატების საერთო რიცხვის უმცირესი ნაწილი, არჩევნები გაუქმებულ იქნება მხოლოდ ამ საარჩევნო უბანში; ხოლო არჩევნები დანარჩენ საარჩევნო უბანში კანონიერად ჩაითვლება.

58. არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს, როგორც მოკავშირე, ან ავტონომიური რესპუბლიკისა, ოლქისა, ან მაზრის მთელს ტერიტორიაზე, ისე იმ ტერიტორიის ცალკე ნაწილში.

59. ყველა განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების გამო შეტანილ უნდა იქნეს წერილობით 7 დღის განმავლობაში არჩევნების შემდეგ იმ საარჩევნო კომისიაში, რომელიც არჩევნებს ხელმძღვანელობდა.

60. საარჩევნო კომისია განიხილავს შემოსულ განცხადებასა და საჩივარს და თავის დასკვნით წარუდგენს მ ს 3 დღის ვადაზე სათანადო ორგანოს ამა ინსტრუქციის 61 მუხ. თანახმად.

61. უკეთუ შემოსული საჩივარი მოითხოვს არჩევნების ნაწილობრივ გაუქმებას, საჩივარი უნდა გადაეცეს განსახილველად და გადასაწყვეტად შესაფერ დეპუტატთა—საბჭოს და საბჭოთა ყრილობას, ხოლო თუ საჩივარი მოითხოვს არჩევნების მთლიანად გაუქმებას, იგი უნდა წარედგინოს ზე-მდგომ აღმასრულებელ კომიტეტს.

62. არჩევნების მთლიანად გაუქმებისას, ახალი არჩევნების მოსახდენად უნდა შესდგეს შესაფერი საარჩევნო კომისია, ამა ინსტრუქციის 10—19 მუხლებში აღნიშნული წესით.

63. უკეთუ დეპუტატები ამომრჩევლების მიერ უკან გაწვეულ იქნებიან, საბჭო მათ ნაცვლად ჩარიცხავს საბჭოს წევრებად კანდიდატებს იმავე საარჩევნო უბნიდან, საიდანაც დეპუტატები იქნენ არჩეული, ხოლო თუ კანდიდატები არ არიან, დანიშნავს საბჭოს წევრების დამატებითი არჩევნებს. დამატებითი არჩევნები დამტკიცებული უნდა იქნეს სათანადო—სათემო-სასოფლო ან საქალაქო საბჭოს მიერ.

64. წინა მუხლში აღნიშნული წესი შესრულებულ იქნება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ესა თუ ის წევრი გარდაიცვალა ან უკეთუ საბჭოს შედგენილობიდან გამოვიდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა, საარჩევნო უფლების დაკარგვისა და სხვა მიზეზის გამო.

65. უკეთუ 63 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით ასარჩევია საბჭოს მთელი შედგენილობის ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს ხელახალი არჩევნები მთლად საბჭოს შედგენილობისა არსებული წესით. ხელახალი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს ზე-მდგომი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

66. უკეთუ აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობიდან გამოვიდა მისი წევრების ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს არჩევნები აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შედგენილობისა.

თავი 7.

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევა

67. დეპუტატთა საბჭოებსა და საბჭოთა ყრილობებს მოიწვევენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები.

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების პირველ სხდომას გახსნის სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

68. საბჭოთა სათემო ყრილობა იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოები არსებობენ, შესდგება სასოფლო საბჭოთა წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ყველა 100 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დეპუტატი.

69. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შესდგება მაზრის ტერიტორიაზე არსებული საბჭოების წარმომადგენელთაგან ისეთი ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 1.000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დეპუტატი ყოველ 2 0 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დეპუტატი ყოველ 200 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოებია, დეპუტატები საბჭოთა სამაზრო ყრილობებისათვის აირჩევიან საბჭოთა სათემო ყრილობებზე.

70. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შესდგება მოკავშირე და ავტონომიური ერთეულების საბჭოთა ყრილობებისა, საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და ქალაქ ფოთის საბჭოს წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ 1 დელეგატი მოდიოდეს ყოველ 10.000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დელეგატი ყოველ 2.000 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით.

71. დეპუტატების რწმუნებულობის სისწორის შესამოწმებლად თვითეული საბჭო და საბჭოთა ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას.

72. შემოწმების შედეგებს სამანდატო კომისია მოახსენებს კუთვნილებისამებრ საბჭოს ან საბჭოთა ყრილობას, რომელიც გამოიტანს დადგენილებას დეპუტატების უფლებამოსილობის შესახებ.

შენიშვნა. წინანდელი შედგენილობის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, რომელიც ყრილობის დელეგატად არ იქნება, აქვს სათათბირო ხმის უფლება.

73. საბჭოებსა და საბჭოთა ყრილობებს შეუძლიანთ აირჩიონ თავიანთ პრეზიდიუმებისა და აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში, აგრეთვე თავის წარმომადგენლად ზე-მდგომ ყრილობისათვის, არა მარტო ამ საბჭოებისა და ყრილობების წევრები, არამედ ყოველი მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილისა.

74. ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოდ დარჩება წინანდელი შედგენილობის სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ფუნქციები შესწყდება მხოლოდ ახალი შედგენილობის აღმასრულებელი კომიტეტის 1-ლი სხდომის მოწვევის შემდეგ.

75. ახალი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს საორგანიზაციო სხდომა ახლად არჩეული აღმასრულებელი კომიტეტისა წინანდელ შედგენილობასთან ერთად.

ამ სხდომაზე აირჩევიან აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და პრეზიდიუმი, აგრეთვე ყველა მისი განყოფილების გამგე.

შენიშვნა 1. აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს თავის პრეზიდიუმს და თავმჯდომარეს აუცილებლად თავის წევრთა შედგენილობიდან.

შენიშვნა 2. წინანდელი შედგენილობის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, რომელნიც არჩეულ არ იქნებიან შედგენილობაში, აგრეთვე მის განყოფილებათა გამგეებს ამ სხდომაზე აქვს სათათბირო ხმის უფლება.

76. ახლად არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და განყოფილებათა გამგეები, როდესაც თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგებიან, მიიღებენ სათანადო აქტებით საქმეებსა და ქონებას წინანდელი შედგენილობისაგან.

77. ამა ინსტრუქციის დამტკიცების დღიდან გაუქმებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წლის იანვრის 8-ს დამტკიცებული დებულება მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებისა, საბჭოთა ყრილობებისა და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წელი—ნოემბრის 19.
თბილისი—სასახლე.

ზისა, ამას კიდევ ხელს უმართავდა ერთი გარემოება. ამ რაიონში დიდათ იყო გავრცელებული ყაჩაღობა. ჩვენ იმათთან ძალიან სასტიკი ბრძოლა გვიხდებოდა. ისინიც არ გვინდობდენ. თუ სადმე ჩაგვიგდებდენ, არ დაგვიზოგავდენ. ამიტომ მუდამ ერთად გვიხდებოდა ყოფნა და თავდაცვა. ამ გარემოებაში დაგვებადა აზრი: თუ კი სიცოცხლით და სიკვდილით ასე ვართ გაერთიანებული, მაშ მოდი, [illegible] ცხოვრებაც გავაერთიანოთო. მართლადაც შარშანდელ გამოსვლების შემდეგ ძალიან გამოვიდეთ თავი და შევუდექით ამ კომუნის დაარსებას. ჩვენ არც კი ვიცოდით, როგორ უნდა მოგვეწყო, ამაზე ბევრი ვიარეთ ქალაქშიც, გორშიც. ვეკითხებოდით ინსტრუქტორებს, მაგრამ გადაწყვეტით ვერავინ ვერაფერი გვასწავლა. ამ საქმეზე, რასაკვირველია გიორგი უზნაძეს ისევ ყველაზე დიდი შრომა მიუძღვის. მაინც ისევ ავდექით და ჩვენი თაოსნობით შევუდექით საქმეს.

„გავაერთიანეთ ოც და ოთხი ოჯახი. აქედან ხუთი ოჯახი იქნებოდა კარგა შეძლებული. დანარჩენი სულ ღარიბი ხალხი იყო. ყველას ქონება აღვწერეთ და ვინახავთ ამ სიას. პირველათ თითქოს გულგატეხით უცქეროდა ხალხი. ასეთი ძნელი საქმიდან ვერაფერი გამოვა. შეჭამენ, რაც აბადიათ და გაზაფხულზე ისევ დაიშლებიანო. მაგრამ სწორედ გაზაფხულზე ჩვენ უფრო მტკიცედ შევუდექით საქმეს და ეხლა ისეთ მყარ ნიადაგზე ვდგევართ, რომ ჩვენი დაშლა შეუძლებელია.

„სამმა წევრმა როგორღაც ტაბიკების მტვრევა დაიწყეს, ჩვენც ავუდექით, მივეცით თავიანთი წილი, რაც ერგებოდათ და გავისტუმრეთ. ეხლა კიდევაც ნანობენ, მაგრამ გვიანღაა. კომუნაში შემოსვლის მსურველი ძალიან ბევრია. მხოლოდ სანამ ამ საჩქარო სამუშაოებს არ მოვათავებთ— ვერავის შევიყვანთ. მერე კი შეგვეძლება ერთ თხუთმეტ წევრამდის მიღება.

„ამჟამად კომუნაში ვიმყოფებით ოც და ერთი ოჯახი. სულ ოთხმოც და თხუთმეტი სული. ყველას ერთნაირი და თანაბარი ცხოვრება გვაქვს. არავითარი განსხვავება ჩვენში არ არსებობს არც ქონებრივათ და არც სულიერათ".

შინაური დუღაბი

მე ყველაზე მეტათ მაინტერესებდა კომუნას შინაური, სულიერი სიმტკიცე, ყოველნაირათ ვცდილობ, აღმოვაჩინო იმის წევრებში რაიმე უჩინარი განსხვავება ან უკმაყოფილების ნიშანი.

— ეს ყველაფერი საუცხოვოთ მოგიწყვიათ ამხანაგო, მაგრამ ცხოვრებაში მაინც მრავალი წვრილმანი საკითხია, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არსებითად და რომელთა მოგვარებაც დიდ დაკვირვებას მოითხოვს. მაგალითად, თქვენში ხომ გასათხოვრებიც იქნებიან, დასაქორწინებლებიც. თუ კი სისხლის ნათესავები არ არიან, ხომ სულ ადვილათ შეიძლება ერთმანეთს გაუარშიყდენ?

— ეგ არ შეიძლება. აქ ყველა ისე ვუცქერით ერთმანეთს, როგორც დაძმანი, როგორც ერთი ოჯახის წევრები.

— მაშ ერთმანეთ შორის არ შეიძლება ჯვრისწერა?

— არას გზით! როცა კომუნა შევადგინეთ, ბევრი იძახდა: აი ქონება შეართეს და ცოლ-ქმრობაც გაერთებული იქნებაო. სწორედ ამგვარ ხმებს რომ არავითარი საფუძველი არ ჰქონდეს, ამიტომ სასტიკი ზნეობაა ჩვენ შორის დამყარებული. თუ ვინმემ რამე ულამაზობა განიზრახა, იმას ჩვენ წრეში აღარც დავაყენებთ.

— ეხლა ეს მითხარით. ხომ ყველასა გყავთ ჯიგრის ნათესავი, მიმსვლელი და მომსვლელი. როცა მოვა ვინმე, რანაირათ უმასპინძლდებით?

— ერთის ნათესავი და სტუმარი მეორისთვისაც ისეთივე ნათესავი და სტუმარია. რომელიც შემოგვესწრება ჩვენგანი, ისევე გაუმასპინძლდება, როგორც საკუთარი ნათესავი. ერთი განსხვავება ჩვენთვის სრულიად არ არსებობს.

— კარგი! ეხლა ცხოვრებაში ჭირსაც ელის კაცი და ლხინსაც. ვსთქვათ, ნათესავები ან ნაცნობები გპატიჟობენ ქორწილში, ნათლობაში ან სხვა რამ წვეულობაში. ამას თავის შესაფერი ხარჯი სჭირდება. როგორ იქცევით ამ შემთხვევაში?

— მაშინ ჩვენ ვაძლევთ ზომიერათ, რაც სახარჯო იქნება საჭირო და ისე გავაგზავნით.

— ავიღოთ კიდევ ასეთი შემთხვევა: გარეთ გასულ კაცს ხომ [illegible] ან ნაცნობი შეხვდება ან უცნობი. მოუხდება შეპატიჟებ-შემოპატიჟება. ამას ხარჯი უნდა. აქ როგორღა იქცევა თქვენი წევრი?

— როცა ვინმე მიემგზავრება სადმე, ყოველთვის ეძლევა სახარჯო. კიდევაც დაპატიჟინება, კიდევაც დაპატიჟებს, მხოლოდ ეს ყველაფერი გადაჭარბებით კი არ უნდა მოხდეს. აქ ყველა ჩვენი წევრი ისე შეგნებით იქცევა, რომ უბრალოთ არ გაფლანგავს საერთო ოჯახის ქონებას.

— მაგალითად, ხომ შეიძლება თქვენში რომელიმეს ან ქეიფი უყვარდეს, ან დარდიმანდობა? ამას როგორ შეხედავენ სხვები?

— როცა კომუნაში კაცი შემოვიდა, ყველაფერ მაგნაირ ურიგო ქცევასაც თავი უნდა გაანებოს. ჩვენსა ლოთობა აღარ შეიძლება და არცა სცდილობს ვინმე. ღვინო კი ყოველთვისა გვაქვს საკმარისი პურის ჭამისა და სიამოვნებისათვის.

— კიდევ მიპასუხეთ ერთ კითხვაზე. აი, ეხლა ტანთსაცმელი რომ ავიღოთ ერთის უყვარს კოხტათ ჩაცმა, მეორეს დაუდევრათ. ერთმა იცის ყაირათი და გაფრთხილება, მეორე [illegible] და წინდაუხედავი, ამ საქმეს როგორღა აგვარებთ?

— ერთ ოჯახში განა არ არის სხვა და სხვა ხასიათის შვილი? მერე რაშ დავარიგებთ, ვასწავლით, შევასმენთ. მერეა და აქ ყველა უფრთხილდება ყველაფერს, როგორც საკუთარ თავს. თუ წინეთ დაუდევარი იყო, აქ ეხლა ძალაუნებურათ ყაირათიანი და მომჭირნე გახდება. ჩვენ, მაგალითად, ყველასათვის ვყიდულობთ დაახლოვებით ერთნაირ ტანისამოსს, ფერი ვისაც როგორი მოსწონს ისეთს აარჩევს. მერე მუშაობისათვის ჩვენ უნდა შემოვიღოთ სპეცტანისამოსი. ისე უბრალო ჩასაცმელი კი სხვა გვექნება.

— კიდევ დამებადა ერთი კითხვა: ვსთქვათ ერთსა ჰყავს ერთი შვილი, ან სულაც არა ჰყავს. მეორეს კი ბლომათ ხუთი-ექვსი შვილი ჰყავს. მერე აქ ერთმანეთში დაყვედრება ხომ არ არის—შენი შვილები ამდენსა და ამდენსა სჭამენო და სხვა?

— ჰაა! თუ კი ეგრე იქნება, მაშინ რაღა კომუნა არის! აქ ეგეთი შენ-ჩემობა აღარ არის. აქ ყველა ბავშვები კომუნას ეკუთვნიან და დამყვედრებლებიც არავინ არის, ჩვენ შვილებზე ჩვენი ქონება როგორ დაგვენანება!

— ბარემ მაშ ისიც მითხარი; გათხოვება ან დაქორწინება როგორღა სწარმოებს. ეგები დედმამას ან მდიდრათ უნდა გაათხოვოს ან ღარიბათ?

— ეგ დედმამის საქმე აღარ არის. ეხლა თვითონ კომუნა ათხოვებს და კომუნა აქორწინებს. აი ეხლაც დავაქორწინეთ ერთი. ეხლა ქალები სულ იმას ნატრობენ—ნეტავი კომუნამ გვითხოვოსო. ჩვენ თვითონ კიდევ სამი ქალი გვყავს გასათხოვარი. იძახიან კომუნიდან არ წავალთო. თუ გინდათ, აქ მოგვიყვანეთ სასიძოებიო.

— თქვენ წევრებში ხომ არ არის ისეთი ვინმე, ვისაც ცოტათი მაინც ენანებოდეს აქ შემოსვლა?

— ი სამი გამოგვედგა ცოტა შეუფერებელი და გავისტუმრეთ კიდეცა. დანარჩენებისათვის სულ დავიწყებულია, რაც იყო, ეხლა ჩვენ სრულიად ახალ ცხოვრებას ვაწყობთ და ახალ ოჯახსაც ვაშენებთ. ჩვენ ყველანი ეხლა ერთმანეთის დაძმები და მამა-შვილები ვართ.

⁂

ოთხ-ხუთ წევრს ველაპარაკე კარგა ხანს, ცალკ-ცალკე და ყველა უცვლელად ერთმანეთის პირით ლაპარაკობს. საიდან მოსწრეს ასეთი ერთიანი სულის შექმნა, ერთიანი აზრის განმტკიცება? როგორ აღმოფხვრეს ასე ძირიან-ფესვიანათ განსხვავებისა და გათიშვის ნიშან-წყალი? მე გაოცებასა ვარ. ზღაპარი მგონია იმ ხალხის ასე საფუძვლიანი და უეცარი გარდაქმნა, ვინც აქამდის ძველობილში [illegible] კერძო ცხოვრებას ეწეოდა და მარტო სწევდა ამ წუთისოფლის [illegible]. ეს ნამდვილი, თვალსაჩინო სასწაულია, რომელსაც ყოველმხრივ ვუცქერ, მინდა გავიგო მოჩვენება ხომ არ არის, მაგრამ ძალაუნებურათ ვხედავ, რომ ხალი და ცოცხალი სინამდვილეა, რომელიც დიდხანს გაჰყვება თავის წინ გაოცებით და პატივისცემით.

ამ კომუნისათვის ყველაზე მკვიდრათ მივიჩნიე არა ის მშვენიერი თეატრი, ან სასახლე, ან სხვა ნივთიერი სიკეთე და შესაძლებლობა, არამედ ის შინაური დუღაბი, ის ერთსულოვნება, ის ძმათ-გაფიცვა, რაც ასაზრდოებს ყველა წევრის შეგნებასა და გრძნობას.

ასეთივე კეთილი ზრახვით და იმედით უცქერის მას მთელი იქაური გლეხობა, რომლის არსებაშიც ამ პირველი მაგალითით შეიჭრა შესაძლებლობა სხვა ახალი მსგავსი კომუნების დაარსებისა.

მოვდივარ იქიდან. ვსწერ მათ შესახებ და თავში შეუჩერებლივ ტრიალებს მაინც ერთი კითხვა.

— ნუ თუ შესაძლებელია ადამიანების ასეთი სრული გარდაქმნა? ნივთიერი ქონების შეერთება არაფერია, მაგრამ ნუ თუ შესაძლებელია ასეთი შეერთება სულიერათ?

და რომ შესაძლებელია, ამას უდაოთ გვიმტკიცებს ხმათავიანის კომუნა.

ის ღირსია კიდევ ზედმეტი ყურადღებისა, ახალი ნახვისა და ახალი აღწერისა!

ლად. მეტრეველი.

შრომის ინსტიტუტი

შრომის სახ. კომისარიატთან არსებულმა სამეცნიერო-სამრჩეველო საბჭომ გამოიმუშავა გეგმა შრომის ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

ინსტიტუტის მიზანია შეისწავლოს შრომის პირობები, პროფესიონალურ და სოციალურ სნეულებები და გამოიმუშაოს ზომები შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, რაც ასწევს შრომის ნაყოფიერებას.

ინსტიტუტს ექნება შემდეგი განყოფილებები: ქიმიურ-ჰიგიენური, ფიზიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ფსიქო-ტექნიკური, სტატისტიკური და წიგნთსაცავი. ინსტიტუტის მოწყობა წინასწარ ანგარიშით დაჯდება 60 ათას მანეთამდე.

ქრონიკა

სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოში.

— **სრ. საკავშირო სტატისტიკოსთა** ყრილობაზე საქართველოდან დელეგატებად იგზავნებიან ა. რუხაძე, ზ. ჩიგოგიძე, მ. ყორღაშვილი და გ. ფერაძე.

— **მცხოვრებთა ქვეშ გამოსაკვლევ** ობიექტად დაწესებულია ქალაქებისათვის 300, სოფლებისათვის 365, გამოკვლევას აგრეთვე საფუძვლად უდევს სრ. საკავშირო პროგრამმა.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში.

— **მინდვრის თაგვები.** მავნეებთან ბრძოლის ბიუროს ცნობით, თბილისის მაზრის სხვადასხვა რაიონებში გაჩნდა მინდვრის თაგვები.

— **თელავის მაზრაში.** მავნეებთან ბრძოლის ბიურო აგზავნის ინსტრუქტორს მინდვრის მავნეებთან ბრძოლის საწარმოებლად.

— **მიწათმოქმედების სახ.** კომისარიატმა გასულ საანგარიშო წელში მინდვრის მავნეებთან ბრძოლის საწარმოებლად დახარჯა 30 ათასი მანეთი.

სატყეო მეურნეობა

— **ხის თესლები.** სატყეო განყოფილებამ სიღნაღის მაზრიდან მიიღო 40 კილო წაბლის და ცაცხვის თესლები.

— **ტყის გადაცემა.** სატყეო განყოფილების ცნობით მთელ რესპუბლიკაში დღემდე გლეხებზე გადაცემულია 18,674 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

— **დაიწვა 600 დესეტინა ტყე.** სამხრეთ-ოსეთში 14 ნოემბერს ტყეს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა მხოლოდ 4 დღის შემდეგ. დაიწვა 600 დესეტინა ტყე.

თბილისის აღმასკომში

— ტრამვაიმ ოქტომბერში გადაიყვანა 3,561,353 მგზავრი, გასული წლის ოქტომბერთან შედარებით 40,9 პროც. მეტი.

— ქ. აბანოებით ოქტომბერში ისარგებლა 112,423 მოქალაქემ.

სხვადასხვა.

— **შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა** დაამტკიცა მოხალისე ცეცხლის მქრობელთა რაზმის წესდება.

— **სამშობლოში ბრუნდებიან.** სოხუმიდან საბერძნეთში ბრუნდება [illegible] მცხოვრები 3 ათასი ბერძენი.

— **საჰაერო კავშირი.** ამჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა თბილის-ბაქოს შორის მუდმივ საჰაერო კავშირის დასამყარებლად.

— **ტყვარჩელის გოგირდის წყაროები** გადაეცა ადგილობრივ საკურორტო მმართველობას.

— **ნარმა ამერიკიდან.** ამ დღეებში „ზაკსოიუზი" მიიღებს ამერიკიდან ერთ მილიონ მეტრ ნარმას, რომელიც განაწილდება ამიერ-კავკასიის კოოპერატივებზე.

— **შაქრის გაგზავნა.** აქციონერ საზ-ბის „ტრანსპორტის" ბათომის განყოფილებამ სპარსეთში გაგზავნა 18 [illegible] შაქარი.

— **მეთამბაქოეობა.** ხულოს მაზრაში მეთამბაქოეობის გასაუმჯობესებლად აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა გადასდოს 40,000 მან.

— **სავაჭრო თათბირი.** ბათომში ამ დღეებში შესდგება უწყებათაშორის სავაჭრო თათბირი.

კრებები და მოხსენებები

— **ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში.** 24 ნოემბერს საღ. 8 საათზე მორიგ საჯარო სხდომაზე ვარ. თოფურიას მიერ წაკითხული იქნება მოხსენება: „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში (შედარებითი ფონეტიკიდან)". შესვლა თავისუფალია.

— **წერკუმსის ყრილობა.** წერკუმს-ის ყრილობა, რომელიც იყო დანიშნული ა | წ. 28 ნოემბერს გადადებულია დეკემბრის თორმეტისათვის.

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 20 ნოემბ. დაახლოვებით საღამოს 6 საათზე თბილისიდან ნახევარი ვერსის დაშორებით აღმოჩენილი იქნა მიხეილ კოჩკლაშვილის გვამი.

— **სავაჭროების გაქურდვა.** 20 ნოემბერს ბნელი რიგის ქ. № 20, გაქურდეს თადეოზ ბაგაკაიძის სავაჭრო.

— ამავე დღეს იმავე ქუჩაზე № 33 გაქურდეს იზმაილ არიევის სავაჭრო.

— **ქურდი ქალი.** 20 ნოემბ. მარტყოფის ქ. № 7 ოტელია აცაბილოვს აგაფია ივანოვისამ მოპარა ოქროს საათი.

— **ჯიბგირობა.** 20 ნოემბ. სინდიკატის მაღაზიის წინ რიგში დგომის დროს გაბრიელ შიოშვილს ჯიბიდან ამოაცალეს ქისა ფულით. ჯიბგირი აკოფა [illegible] შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 20 ნოემბ. სუქნის ქ. № 8 გაქურდეს ალექსანდრე ნადიროშვილის ბინა.

დავეხმაროთ [illegible]

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ ამხ. ალია ჩიჩელაშვილის გამოწვევით 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) საშა ფულიძეს, 2) ნიკოლოზ კობიძეს, 3) ევგენი სიხარულიძეს, 4) კიწმარიშვილს, 5) მიშა ქარცხიას, 6) სერგო კალანდაძეს, 7) გიორგი სიხარულიძეს, 8) ჟორჟიკა ქავთარაძეს, 9) პარმენ საბაშვილს, 10) ერმილე კალანდაძეს, 11) მათე ლომთათიძეს, 12) არტემ ავანესოვს, 13) არტემ იმნაძეს.

დიმიტრი გოჩიტაშვილი.

—

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ ამხ. ნ. შავგულიძის გამოწვევით 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ს. თაყაიშვილს, 2) ს. ადამაიას, 3) ლ. ბრეგვაძეს, 4) ლ. ბრეგვაძეს, 5) ა. ლოლაძეს, 6) ს. ჯაფარიძეს, 7) ა. ბედუკიძეს, 8) კ. ელიავას, 9) მ. ჩიგურაშვილს, 10) ალ. ფანცხავას, 11) კ. მხეიძეს, 12) ალ. ვაჩნაძეს, 13) ი. ამირაჯიბს, 14) ალ. აბაშიძეს, 15) ალ. ქართველიშვილს, 16) კ. ლაჭყებიანს, 17) ალ. ცაგარეიშვილს, 18) ჯანდიერს, 19) ვანო გოქაძეს, 20) პეტრე ხოტოლოვს, 21) ირაკლი ფორაქიშვილს, 22) გიორგი ჩუბინიშვილს, 23) ა. სტურუას, 24) გ. გორდელაძეს, 25) ნიკო ფარესიშვილს, 26) ც. [illegible], 27) [illegible] ი. გიგა[illegible], 29) გ. [illegible] და 30) [illegible].

ალ. ლუკაშვილი.

—

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ 5 მანეთი ამხ. ბიძინა ტყემლაძის გამოწვევით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) აკაკი მახათაძეს და ამბროსი ბრეგვაძეს (ჭიათურიდან), 2) სიმონიკა ხოშტარიას, შიო ჩიხლაძეს, მიშა ანდღულაძეს, გ. დოლიძეს და დავით გურჯიშვილს (თელავიდან), 3) მიშა კაკულაძეს და ჯოჯი ჯიბლაძეს (ფოთიდან), 4) გრიშა შანტურიას და გრიშა გეორგაძეს (ქუთაისიდან), 5) გრიგოლ შაბუკიანს და აკაკი რამიშვილს (ლეჩხუმიდან), 6) აკაკი ჭოჭუას (სიღნაღიდან), 7) სერგო კარსანიძეს (დუშეთიდან), 8) ჟორა ფრანგიშვილს (თბილისიდან), 9) დავით კობახიძეს (გორიდან), 10) მაკარი ჯაშს და მითაიშვილს (ოზურგეთიდან), 11) ანდრო კუპარაძეს „ჩაირამა"-ს (ფოთიდან).

აღნიშნულ ამხანაგებს ვსთხოვ თავის მხრივ აწარმოონ ნაცნობ-მეგობრების გამოწვევა.

გრ. სოხელია.

საბჭოთა სასამართლო

გიორგი ფარსეგოვის თავგადასავალი

გიორგი ფარსეგოვი ბოლო ხანებში ყოველთვის ნაშუაღამევს, ზოგჯერ გათენებისას, ბრუნდებოდა სახლში, მეზობლები გაკვირვებული იყვნენ;—რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება გიორგის ცხოვრებაში?

ეკითხებოდენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა.

წინად გიორგი მთელ ღამეებს სახლში ატარებდა იჯდა და მუშაობდა, ეხლა კი მამლები ყივილს რომ გაათავებენ, გიორგი მაშინ შემოაღებდა ალაყაფის კარს.

კარგად რომ არ იყო მისი საქმე, ყველა გრძნობდა.

თურმე, საქმე რაში ყოფილა. ფარსეგოვმა ერთხელ შეიარა კაზინოში. დააკვირდა თამაშს, მოეწონა. ჩაჯდა მოთამაშეებს შორის და ისე გათენდა, რომ გიორგის სახლში დაბრუნება აზრათაც არ მოსვლია; ან კი რა მიუხაროდა სახლში უკაპეიკოდ დარჩენილს.

მიდიოდა დღეები. გიორგიმ სულ უფრო და უფრო უხშირა კაზინოში სიარულს. ის მუდმივი წევრი გახდა მისი.

გიორგი ხშირად გამოესაუბრებოდა თავის თავს ასე: მე რომ კაზინოს „ავტორიტეტული" მოთამაშე გავხდი, ეს უსათუოდ კარგი საქმე, მაგრამ ჩემი ვალები, რომ იზრდება, ეს მაინც და მაინც არ არის სასიამოვნო.

გიორგის არ ყავდა არც ერთი ისეთი ნაცნობი, რომლიდანაც ფული არ ჰქონდა ნასესხები. ფულის სესხად აღების დროს გიორგი ასეთ ხელწერილს აძლევდა ყველას: უკეთუ ის ფულს ვერ გადაიხდის, მოვალეს გაეყიდოს თავისი უძრავი ქონება და აღებული ფასით დაკმაყოფილდეს.

ვალები სოკოებივით იზრდებოდენ. როცა ვალი ავიდა 1500 მანეთამდე, ფარსეგოვი ცოტა ცუდ ხასიათზე დადგა. ერთ დღეს ზის გიორგი თავის ოთახში და ეძლევა ასეთ ფიქრებს: საიდან უნდა გადავიხადო ვალი, დავიღუპე და ეს არის. წავალ ჩემი ფეხით სისხლის სამართლის მილიციაში, ვეტყვი ყველაფერს და მან იმტვრიოს თავი ჩემი აწეწილი მდგომარეობის გამოსასწორებლად; თუ ვინმე მომაშორებს კაზინოს,—ეს მხოლოდ სისხლის სამართლის მილიცია და სხვა ვერავინ.

გიორგის მართლაც შეაქვს განცხადება სისხლის სამართლის მილიციაში; თავის განცხადებაში ის მოითხოვდა სასტიკი ზომების მიღებას მის წინააღმდეგ და ამბობს: მე ვალები ვერ გადავიხადე და ჩემს სიკვდილში არავის ბრალი არ დასდოთო.

სისხლის სამართლის მილიციამ ფარსეგოვი აღჭურვა სათანადო უფლებებით საბრალმდებლო სკამზე დასაჯდომად.

მ—ლე.

ხელოვნება

სახელმწიფო თეატრი.

„ჰოფმანის ზღაპრები".

ჟაკ ოფენბახმა, რომელმაც სახელი გაითქვა ოპერეტებით, რომელთაგან ყველაზე უფრო პოპულარულია ოპერეტა „მშვენიერი ელენე", უკვე ხანში შესვლის შემდეგ დასწერა ოპერა „ჰოფმანის ზღაპრები", რომელშიაც ალეგორიულ ფორმებში გადმოცემულია გერმანელ პოეტის—რომანტიკოსის ტეოდორ-ამადეი ჰოფმანის ცხოვრების სამი ეპიზოდი,—სამივე სიყვარულებით მოცული, სამივე სამწუხარო დასასრულით. ოპერა იწყება პროლოგით, სადაც ჰოფმანი თავის მეგობრებს მოუთხრობს ზღაპრების სახით მისი ცხოვრების სამ დრამას. ოპერის ცენტრალური ფიგურა,—ეს არის ფანტასტიური პიროვნება, რომელიც წარმოადგენს ბოროტ გენიას, როგორც თვით ახალგაზრდა ჰოფმანისათვის, ისე მის საყვარელ არსებათათვის.

ამ ფანტასტიური პიროვნების როლი, რომელიც ოპერაში გამოყვანილია ჯერ მეცნიერ მექანიკოსის კოპელიუსის სახით, შემდეგ დაპერტუტოს და დასასრულ მირაკლის სახით, შეასრულა ისეცკიმ. მსახიობმა მოგვცა უაღრესად მხატვრული სახე, შესძლო სამივე ტიპის ყველა მაარეებისათვის ხაზის გასმა. ისეცკი ყოველგან სხვადასხვა სახეს ღებულობს, არ იმეორებს სცენიურ ხერხებს და ამაშია უმთავრესად მისი მთავარი დამსახურება, რადგან ამ პარტიაში უმთავრესია სცენიური მხარე. ვოკალური მხარე უფრო მკრთალია, თუმცა აქაც არის დიდი მონოლოგი (მეორე აქტში) და ძნელი რეჩიტატივები და რეპლიკები მე-3-ე აქტში. პარტიის ეს მხარეებიც მშვენივრად იყო შესრულებული. სასურველია მხოლოდ უფრო მეტი ნიუანსები სიმღერაში.

ჰოფმანის პარტია შეასრულა კავსაძემ. მან კარგად შეასრულა არია პროლოგში (პირველ აქტში), სადაც მშვენივრად ჩაატარა დიალოგი. დუეტი ჯულიეტასთან მეორე აქტში მკრთალი იყო, აქ საჭიროა უფრო მეტი ბგერა, ხმაც და ტემპერამენტიც. სცენა ანტონიასთან საჭიროებს უფრო მეტ ემოციონალობას; არ უნდა დაავიწყდეს მსახიობს, რომ ჰოფმანს ახალგაზრდული გატაცებით უყვარს ანტონია, საჭიროა მიმიკის მრავალფეროვანება.

ანტონიას სახეს პოეტურ და რეალურ ტონებში გადმოგვცემს ნიჭიერი ბოკოვა. სიმღერაში ბევრია განცდა და გულწრფელობა. სცენიური შესრულება პირდაპირ იპყრობს მაყურებელს.

დედოფალს—ავტომატის ოლიმპიას პარტიაში საჭიროა ხმის ტექნიკა და ამ მხრივ პოპოვა თავის სიმაღლეზე იდგა. მაგრამ მისი შესრულების მთავარი ღირსება—ეს არის სრული ილუზია. მაყურებლის წინაშე ნამდვილი ავტომატი—დედოფალა სდგას. ყოველი მისი მოძრაობა მართლაც ავტომატიური, ერთფეროვანია, არავითარი ცოცხალი არსების ნიშანწყალი არ ემჩნევა.

[illegible] გილბერტს (ჯულიეტა) ლამაზი ხმა აქვს, მაგრამ ჯულიეტას პარტიაში ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა მსახიობ ქალის გამოყვანა შეუძლებელია. პარტიაში დუეტის, სერენადის და ჰოფმანთან პატარა დიალოგის გარდა ვოკალური მხარე არ არის. მაგრამ [illegible] მდგომარეობს იმაში, რომ მსახიობმა უნდა შექმნას მომაჯადოებელი, ენაბიანი ვენეციელი მეძავი ქალის სახე. გილბერტმა დაახლოვებითაც ვერ დაგვანახვა კომპოზიტორის მიერ აღებული ტიპი. როცა ისეთ პარტიებში, სადაც საჭიროა ინდივიდუალობა, უშვებენ ახალგაზრდა მომღერლებს, საჭიროა შეასწავლონ მათ სცენა, უამისოდ პარტიის ჩაშლა უსათუოდ მოსალოდნელია.

ვოლჩინეცკაია თავის პარტიაში ძალიან ნაზი. არიოზო კარგად იყო შესრულებული.

ოპერას დირიჟორობდა დამსახურებული მსახიობი სტოლერმანი.

დადგმა (პირველი აქტის) ყოვლად მოუღებელია: რატომ უნდა იყვნენ ყველა პერსონაჟები ავტომატები. თუნდაც დაუშვათ, რომ ისინი ცოცხალი ადამიანები არ არიან, როგორ შეიძლება, რომ ავტომატები მიეშველონ ოლიმპიას, როცა ის ეცემა, მექანიზმის შეჩერების გამო. მეორე და მესამე აქტები უფრო ცოცხლად იყო შესრულებული.

პ. ხ.

—

— **ქართული დრამა ბათომში.** აჭარის სახ. კომისართა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, ბათომში ქართული დრამის საჭიროებისათვის 15.000 მან. დაჩქარებით გაღების შესახებ.

— **გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების მეორე წიგნი: „ფერად-ფერადი ლექსები სატრფოსათვის გასართობათ". ყდა—[illegible] ბაგრატიონისა.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის პიესა: „მათრახის პანაშვიდი".

— **პიანისტ ა. სვანიძის კონცერტი.** ხვალ, 23 ნოემბერს, სახ. კონსერვატორიის დარბაზში საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ახალგაზრდა პიანისტი ა. სვანიძე გამართავს კონცერტს.

— **წითელ თეატრში** ქართული დრამის სეზონი გაიხსნება დღეს ა. წუწუნავას რეჟისორობით. წარმოდგენილი იქნება: „[illegible] გურიაში".

— **მცირე წითელ თეატრში** დღეს მესამედ წარმოდგენილი იქნება „ოვოდ".

— **სახელმწიფო ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ტოსკა", მონაწილეობენ პანკრატოვა, სინიცკი, ალექსაშინი და სხ. შემდეგ საბალეტო დივერტისმენტი.

— **„მიწის ძვრა".** ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში იდგმება პოლიკარპ კაკაბაძის პრემიერა „მიწის ძვრა" (ლისაბონის ტუსაღები).

საბავშვო გასართობები

— **კინო-თეატრებში** აპოლოში და სოლეიში დღეს გაიმართება საბავშვო კინო-სეანსები. დასაწყისი დღის 12 საათზე.

— **მცირე წითელ თეატრში** დღეს გაიმართება საბავშვო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ბალდა".

მუშათა ცხოვრება

ადგილკომი იცავს მხოლოდ კანონიერ მოთხოვნილებებს.

(ჩვენი მუშების ყოფა-ცხოვრებიდან).

ვერის დაღმართზე შემხვდა მესამე სახელმწიფო თუთუნის ქარხნის მუშა—ვანო. ის მე კარგა ხანია არ მენახა და მისი ნახვა გამეხარდა:

—როგორა ხარ, ჩემო ვანო! ან რა ამბავია თქვენ ქარხანაში!

— ბევრი არაფერი. დღეს ერთი მუშა დაითხოვეს სამსახურიდან.

— რა მიზეზით?

— სულ ნახევარ გირვანქა თუთუნი „გასინჯვის“ დროს უპოვეს ჯიბეში.

— ძველი მუშა იყო თუ ახალი?

— 32 წლის მუშა იყო... ეს შემთხვევა პირველი არის მის სიცოცხლეში.

— ცოლშვილიანი იყო?

— ცოლშვილიც ჰყავს.

— ჯამაგირს რას იღებდა?

— 45 მანეთს. განა ამ ჯამაგირით შეიძლება 8 სული არჩინოს?

— მერე და იმ ნახევარ გირვანქა თუთუნით რას გაარიგებდა? განა იმითი რვა სულს საზრდოს მისცემდა?

— მართალია, მაგრამ როგორც თვითონ სთქვა, უნდოდა შაქარზე გადაეცვალა.

— შენ როგორ გგონია, ეგ მართალია? განა მას ისე გაჭირვებული ცხოვრება ჰქონდა?

— შენ თვითონ დაფიქრდი—8 სულის შენახვა ამ ჯამაგირით შეიძლება ამ პირობებში?!

— მართალია, მძიმეა, მაგრამ ნათქვამია, ამხანაგო—„აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდია“-ო და მუშას ქურდობა მაინც არ უნდა ეკადრებია თავის სინდისისათვის. ქურდობა სულ უბრალო საგნებიდან იწყება და ბოლოს კი ყაჩაღობით თავდება, ჩემო მეგობარო!

— დირექტორს კი შეეძლო მუშის დათხოვნა, როგორც ადმინისტრატორს, მაგრამ ნუ თუ ადგილკომი არ გამოესარჩლა უბედურ მუშას?

— არა, მეგობარო, ადგილკომი ქურდ მუშას ვერ დაიცავდა და არც უნდა დაეცვა. სიღარიბის გამო ქურდობის გამართლება მიუღებელია.

— ეგ აზრი ყოვლად მიუღებელია, ხომ ადგილკომი ყოველთვის უნდა იცავდეს მუშათა ინტერესებს.

— არა, ჩემო მეგობარო, ეგ სრულიად შემცდარი აზრია! ადგილკომმა უნდა დაიცვას მხოლოდ მუშის კანონიერი ინტერესები და მოთხოვნილებანი და არა ყოველგვარი უკანონო მოთხოვნილებები.

— მართალი ხარ, ძმაო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბევრჯერ სხვის თვალში ბეწვსა ხედავენ ხოლმე და თავიანთში კი ტივის ხესაც ვერ ამჩნევენ.

— არც ესაა მისაღები. ჩვენ ასეთ მდგომარეობას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ, ჩემო ვანო!

მუშა ამ-ბალი.

უპატრონეთ ქუჩის ბავშვებს.

ამ უკანასკნელ ხანებში სასადილოების წინ ხშირად თავს იყრიან ქუჩის ბავშვები, რომლებიც სასადილოში შემსვლელთ უკან მისდევენ ხელგაშვერილნი და შესძახიან: ძია, პური მომეცი და სხვა. დაჯდები სასადილოდ და მოსვენება არა გაქვს,—ხან ერთი ბავშვი შემოდის, ხან მეორე იმავე წესით. ზოგჯერ წინიდან პურსაც გაცლიან... ეს ხდება განსაკუთრებით თითქმის ყოველ დღე ხითელ სასადილოში (პლეხანოვის ქუჩაზე № 6).

საჭიროა სასადილოს გამგემ ამ მხრივ წესრიგი დაიცვას სასადილოში. მაგრამ ამავე დროს ჩვენი მოვალეობაც არის პატრონობა გაუწიოთ ამ საცოდავ ბავშვებს.

ზღვისპირელი.

ნუ ღუპავთ სახალხო ქონებას.

ამიერ. კ. რკ. გზის უფროსის საყურადღებოთ რომ მთავარ სახელოსნოს მუყაითი და ენერგიული კაცი უდგას სათავეში, ამაში ეჭვიც არ გვეპარება. რაც ძალი და ღონე თუ სწავლა აქვს მას, ის სახელოსნოს და შიგ მომუშავე მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს ანდომებს.

შეიძლება ზოგიერთებს შეუგნებლათ არ მოსწონდეთ ის იმიტომ, რომ მის ხელქვეითი სამსახურის დროს ხშირად თავის ადგილზე არ არის. რა თქმა უნდა, ამას უფროსი არავის მოუწონებს ან კი როგორ შეიძლება 2.800 მუშის ერთნაირად გულის მოგება.

აქ გასაკვირია ერთი რამ: ნუ თუ ასეთი უფროსი ვერ ამჩნევს, რომ როცა აქედან მოსკოვს ვეხვეწებით გვასესხეთ ფულები რკინის გზის მთავარ სახელოსნოს გასაფართოვებლათ, ამ დროს კი აშენებულია ვეებერთელა შენობა,—სადაც ერთ-ერთი საამქრო თამამად მოთავსდება.—ეს შენობა აგერ 12—13 წელიწადია სდგას გამოუყენებლათ. მისი ხის „სტროფილები“ და თუნუქის ქვეშ დასაფენი ფიცრები, რომელიც ამ შენობას ხურავს დღეს, უპატრონობის გამო ლპება და ოხრდება.

განა დღეს მაინც ვეღარ შესძლო ჩვენმა გზამ, რომ ორი ათასი მანეთის თუნუქი შეეძინა და ეს შენობა გადაეხურა წესიერად.

ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ცენტრების ბრიგადას თავისი ზეინკლებით იქ მოათავსებდნენ და ის რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც მათი ფარდულის გაკეთებას უნდა, უნდა მოხმარდეს ამ შენობას. აქ ადგილი განთავისუფლდება და ათეული წლობით სიცივე, წვიმა და სიცხეში დატანჯული ათეული მუშები დახურულ და მოწყობილ შენობაში უფრო მუყაითად და ნაყოფიერად იმუშავებენ.

გზის სამმართველოვ, მოგვაქციე ყურადღება და მიიღე ჩვენი მუშური რჩევა არა საწყენად, არამედ საქმის გასაუმჯობესებლად.

ეყოფათ მუშებს ცას ქვეშ ზამთარ-ზაფხულში ტანჯვა.

მუშა ვ. ნ. ზ.

გამოსწორება უნდა!

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ)

ტრამვაიზე წესიერების აღდგენისა და უბედურ შემთხვევათა მოსპობის მიზნით, ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით შემოღებულია წესიერების დამრღვევ მოქალაქეთა დაჯარიმება. ჯარიმა განისაზღვრება 50 კაპ. ზოგიერთი კონდუქტორები ისე დახელოვდენ მოქალაქეთა დაჯარიმებაში, რომ ხშირად მგზავრს, რომელიც თავს დამნაშავეთ არ გრძნობს, დასაჯარიმებლად მისდევენ დიდ მანძილზე, ან იმდენს „ეყურყინებიან“ მგზავრს, რომ ამ დავაში გადის რამდენიმე წუთი და რონოდა სდგას. ამას ემატება უკანა რონოდები და ხშირათ ისეთი შემთხვევებია, რომ „საბარგო მატარებელი“ გეგონებათ. საჭირო ის კი არ არის, რომ მგზავრი მაინცდამაინც ათი შაურით იქნას დაჯარიმებული, რომ ამით შემოსავალი გაუდიდდეს ქალაქს, არამედ საჭიროა, რომ მიმოსვლის წესიერება აღდგენილ იქნეს. აქ კი კონდუქტორთა „ვაჭრობაში“ წესიერება უფრო ირღვევა და რამდენიმე ათეულ მანეთით ზარალიანდება ქალაქის სალარო, აგრეთვე უდანაშაულო მგზავრებსაც ხშირად უხდებათ რამდენიმე ათეული წუთობით ცდა.

ბ. ჩხიკვაძე.

მადლობა ასეთ მუშაკს.

მცხეთა-ავჭალის რაიონის განათლების მუშაკთა ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჯიჯიაშვილი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. დიდი ხანი არ არის, რაც ამხ. ჯიჯიაშვილი არჩეულია ამ თანამდებობაზე, მაგრამ საქმეს წინსვლა ემჩნევა მისი დაუღალავი შრომის გამო. ყველა საკითხები, რაც საერთოდ ადგილკომს აინტერესებს ჯიჯიაშვილს კოხტად და უწყვეტლივ აქვს შესრულებული და გადაჭრილი. მცხეთა-ავჭალის რაიონის გან. მ. კავშირის წევრები დიდათ კმაყოფილი არიან მისი მუშაობით. მადლობის ღირსია ამხ. ჯიჯიაშვილი.

ხირიუს.

განათლების მუშაკთა საერთო კრება

(წერილი ჩაქვის თემიდან)

23 ოქტომბერს შესდგა ჩაქვის თემის რაიონული განათლების მუშაკთა საერთო კრება. კრებას დაესწრო აჭარისტანის განმუშაკთა კავშირის რწმუნებული ამხ. გ. ესიავა და მოწვეულ იქნა ჩაქვის თემის ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ყურშუბაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ადგილკომის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. ახალი ადგილკომის არჩევა, 4. სარევიზიო კომისიის არჩევა და 5 მიმდინარე საკითხები.

ადგილკომის და აგრეთვე სარევიზიო კომისიის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ ამხ. გ. ესიავა აღნიშნავს წარსული წლის მუშაობის დეფექტებს, და მოუწოდებს ახლად არჩეულ ადგილკომს გაორკეცებულ მუშაობაზე როგორც საგანმანათლებლო დარგში, ისე სხვა კულტურულ მუშაობაში. ახალ ადგილკომში არჩეულ იქნენ ხუთი კაცი, სარევიზიო კომისიაში კი სამი კაცი.

ქ. ლომთათიძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დააფასეთ ფოსტალიონის შრომაც.** პროვინციელი ფოსტალიონი დიდ როლს თამაშობს კავშირის განმტკიცების საქმეში. ის უკანასკნელი რგოლია ცენტრსა და ადგილებს შორის გაბმულ ჯაჭვისა. ამავე დროს მისი ჯამაგირი ვერ გასცილებია მე-5 თანრიგს, თუმცა მასთან ხშირად თითქმის იგივე კვალიფიკაციის პირი „თანამშრომლის“ სახელით იღებს მე-8 თანრიგით. დააფასეთ შრომა ამ მუშაკებისაც.

მუშკორი უცხო.

— **წარმოდგენა მე-2 შრ. სკოლაში.** გასულ 14 ნოემბერს, ადგილობრივ კომკავშირის უჯრედის მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა მოწაფეებისთვის. წარმოდგენა მხიარულად ჩატარდა. საჭიროა სხვა სკოლებმაც მიბაძონ ამ კულტურულ მაგალითს, რომელიც უწყობს ხელს მოწაფეებს შორის ინიციატივის და სხვა სასარგებლო თვისებების აღზრდა-განვითარებას.

მოწაფე ალ. ძაძამიძე.

— **„კომუნისტის“ მუშკორებში.** 18 ნოემბერს ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგა მუშკორთა მორიგი კრება, რომელზედაც ჩატარდა მუშკორთა წერილების კოლექტიური განხილვა, მათი სტილის და წერის ტეხნიკის შესწორების მიზნით. კრიტიკაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ თვით მუშკორები, რომელნიც დაუნდობლათ აშკარავებდენ ერთი მეორის შეცდომებს. ბევრი მასალის განხილვა უდროობის გამო გადაიდო შემდეგ სხდომისათვის. დასასრულ, სხდომა იხილავს ერთ-ერთ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მუშკორის შუამდგომლობას და ადგენს მიეცეს მას ერთდროული დახმარება „კომუნისტი“-ს მუშკორთა ურთიერთ დამხმარე კასიდან.

მუშკორი ა. ნ.

— **ეს ქუჩა გაანათეთ.** ყუბანის ქუჩა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ქუჩა სრულიად შეუკეთებელია. წვიმის დროს ქუჩაზე გაუვალი ტალახი დგება, ქუჩა გაუნათებელია. მუშას და გლეხს ავდარში ამ ქუჩით არც კი გაევლება.

მუშა ლაშ—ძე.

— **აბაშის ჰიდრო-ელსადგურის მუშებში.** ამ დღეებში აქ შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც ადგილკომის მდივანმა ამხ. ჩარგაზიამ ადგილკომის მუშების შესახებ გააკეთა ვრცელი მოხსენება. ადგილკომის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად რის შემდეგ გადავიდა არჩევნებზე. ადგილკომის წევრები იქნენ დასახელებული პერსონალურად და პერსონალურადვე არჩეული ადგილკომში.

ძიძიგური.

მუშათა ქრონიკა

თამბაქოს ქარხანა № 1.

— **ფაბკომის გადარჩევა.** № 1 თამბაქოს ქარხანაში მოხდა ფაბკომის ახალი არჩევნები. ფაბკომის წარსული 6 თვის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

— **ახალი კოლხელშეკრულების დადება.** 1-ლი თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებსა და თამბტრესტს შორის უკვე დაიდო ახალი კოლხელშეკრულება.

— **ხელფასი მოუმატეს.** 1-ლი თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ახალი ტარიფით მოემატათ ჯამაგირი 15 პროცენტით.

— **მიეცათ სპეც-ტანსაცმელები.** 1-ლი თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს დაურიგდათ სპეც-ტანსაცმელები.

— **ფაბკომმა ხელსაყრელ ფასებში შეისყიდა შეშა.** 1-ლი თამბაქოს ფაბკომმა ადგილობრივ მუშებისთვის შეისყიდა 300 საჟ. შეშა, შეშის დარიგება უკვე დაიწყო. შეშას მუშებს ურიგებენ ნისიად სამი თვის ვადით.

— **მუშებისათვის მოწყობილია საუზმე ოთახი.** 1-ლი თამბაქოს ქარხანაში მუშა-მოსამსახურეებ სთვის მოწყობილია სუფთა ოთახი, სადაც მუშები საუზმობენ.

— **მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ რძე.** 1-ლი თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ თითო „კრუშკა“ რძე უფასოდ ყოველ დღე.

უზკავშირში

— **საღამოს კურსების მოწყობა.** უზკავშირში ამ მოკლე ხანში მოეწყობა საღამოს კურსები—უმუშევართა და მუშა-მოსამსახურეთა იმ პროფესიების კვალიფიკაციის აწევის მიზნით, რომლებშიაც რკ. გზა განიცდის ნაკლულოვანებას.

— **მოწვეულია სარევიზიო კომისიის სხდომა.** უზნის კავშირში მოწვეულია სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელიც შრომის ინსპექტორთან ერთად გამოიკვლევს მუშა-მოსამსახურეების შრომის პირობებს და დააწესებს ნორმალურ შრომას იქ, სადაც ნორმალური სამუშაო დღე დარღვეულია.

— **დელეკრების გამოკვლევის დაჩქარება.** უზნის კავშირის სხდომამ დაადგინა, რომ დაჩქარებული იქნეს დელეკრების დეფექტების გამოკვლევა, სასამსახურო და საცხოვრებელ ბინების საგზაო კომიტეტის განკარგულების თანახმად.

— **შრომის დაცვის სათათბიროს მოწვევა.** უზნის კავშირში მოწვეულია სათათბირო შრომის დაცვის კომისიების მუშაობის გაძლიერების მიზნით.

— **კურსები იხსნება.** უზნის კავშირში იხსნება კურსები, სადაც დაიწყება მეცადინეობა საზოგადო სწავლაზე.

— **კედლის გაზეთის გამოცემა.** 1-ლი თამბაქოს ქარხნის ადგილკომთან არსებულმა კულტკომისიამ გამოსცა კედლის გაზეთი „წითელი თავსაფარი“ სურათებით.

— **მოწყობილია დრამწრე.** 1-ლი თამბაქოს ქარხანაში, კულტკომისიამ მოაწყო დრამწრე ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

წერილები სოფლიდან

ისევ გლეხებთან დავალიანების შესახებ

ამას წინად ჩვენ ვსწერდით გლეხებთან დავალიანების დაუშვებლობის შესახებ. წერილში მოყვანილი იყო მაგალითი საჭამიასერის (გურია) კოოპერატივის მუშაობიდან, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ატარებს მოვალეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას და დღემდიც არ აძლევს გლეხის მიერ მასზე მიცემულ აბრეშუმის ძაფის საფასურს.

ზესტაფონიდან გვატყობინებენ ამავე ხასიათის კიდევ უფრო საგულისხმო შემთხვევის შესახებ. მევენახეთა ამხანაგობა „იმერეთმა“ აგვისტოდანვე დაიბევა ყურძენი გლეხებისაგან. დაბევების დროს ის გლეხებს 1 ფუთ ყურძენში ოთხ აბაზად მოურიგდა. შემოდგომაზე ყურძნის ფასმა აიწია შვიდ აბაზამდე. მიუხედავად ამისა „იმერეთმა“ ძველი ანგარიშის კვალობაზე აიღო გლეხობისგან ყურძენი. როგორც ვხედავთ, განსხვავება მეტად საგრძნობია. ამნაირათ, მხოლოდ იმიტომ, რომ „იმერეთმა“ მოსავლამდე ორი ან ერთი თვით ადრე ფული მისცა გლეხებს, მან სარგებელი მიიღო ოთხმოც კაპიკზე სამოცი კაპიკი.

ასეთი მოპყრობა გლეხის მეურნეობის ნაწარმოებისადმი ყოვლად დაუშვებელია. გარდა ამისა, რომ ეს სცემს სოფლის მოსახლეობის თვალში კოოპერაციისადმი ნდობას, მას საგრძნობი ზიანი მოაქვს გლეხის მეურნეობის აღორძინებისათვის, რაშიაც ასე დაინტერესებულია დღეს პარტია და სახელმწიფო.

მაგრამ ეს კიდევ, ვსთქვათ, დიდ ცოდვათ არ ჩაეთვლებოდა „იმერეთის“ ამხანაგობას, რომ მას დროზე გაესტუმრებია ეს დავალიანება, რომელიც გამოწვეული იყო ყურძნის ოპერაციით. მდგომარეობა ისეთია, რომ გლეხს სამჯერ-ოთხჯერ უხდება გადაუდებელ საქმეზე ხელის აღება და ზესტაფონში ჩასვლა თავის ნაოფლარის ასაღებათ, მაგრამ ის ხშირათ უკანვე ხელცარიელი ბრუნდება.

როგორც ვიცით, გლეხებთან დავალიანებასთან ბრძოლა დღეს მნიშვნელოვან ამოცანათაა მიჩნეული. ამის შესახებ უკვე არსებობს ხელისუფლების საგანგებო დადგენილება. საჭიროა ამ დადგენილების ცხოვრებაში მტკიცე გატარება. პირველყოვლისა ეს ითქმის ჩვენს კოოპერატიულ და სამეურნეო ორგანოებზე.

ვიმეორებთ, „იმერეთის“ მაგალითი პირველი და უკანასკნელი არაა. ასეთ „ცოდვებს“ კიდევ ბევრგანა აქვს ადგილი. პირიანობა და ურთიერთ სარგებლიანობა მთავარი და აუცილებელი პირობაა კოოპერატივების და სხვა ორგანოების გლეხებთან დამოკიდებულებაში.

ს. მაქსიმელიძე.

ცოდვა გამხელილი სჯობია

(ქვიშის თემი, ლეჩხუმი)

ქვიშის მცხოვრებლებს აქვთ ძველი მემამულის ყარამან ყიფიანის ჩამონართმევი სახნავი ადგილები ეგრეთ წოდებული ნაბაღვარი, ზომით თერთმეტი ქცევა. ეს ადგილები გადაცემული აქვს ლეჩხუმის აგრონომიულ განყოფილებას ბაღების გასაშენებლათ. მაგრამ ლეჩხუმის აგრონომს არ აქვს იმის შეძლება, რომ ეს დავალება შეასრულოს. ამიტომ ეს მიწები აგრონომმა გადასცა ჭირნახულის მოსაყვანათ ვ. ლუჩუტაშვილს იმ პირობით, რომ სამი ქცევა დამუშავებულიყო აგრო-პუნქტის სასარგებლოთ და დანარჩენი ნაწილი კი დაემუშავებიათ ღარიბ გლეხებს თავის საჭიროებისათვის. მაგრამ ნათქვამია, ცოდვა გამხელილი სჯობსო. რაღაც მანქანებით ღარიბ გლეხთა შორის მოჰყვა ალმასკომის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, აგრონომი თავისი ინსტრუქტორით, მეეტლეები ე. ი. მელინეიკეტი. უადგილმამულო გლეხები კი დარჩენ პირდაღებული. გლეხობა ამის გამო დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს. ან კი რატომ არ უნდა იყვნენ უკმაყოფილონი?

ალ. ქვიშარელიძე.

კინკლაობა საქმეს აფერხებს

(ოქონის თემი, სამხრეთ ოსეთი)

ალმასკომის მუშაობა საგრძნობლათ მოიკოჭლებს. საბჭოს კრებას არ იწვევენ ოთხი თვის განმავლობაში და თუ მოიწვიეს, ისეთ საკითხებს იხილავენ, რომელიც მის მოვალეობაში არ შედის. საბჭოს წევრთა შორის არის კინკლაობა, ჩხუბი, დავიდარაბა, ასეთ კინკლაობაში საზოგადო საქმე მივიწყებულია. სკოლები ბევრგან გაუქმებულია. გზების და ხიდების უვარგისობის გამო სოფლიდან სოფლამდე ურმით მისვლა შეუძლებელია. გლეხები დაინტერესებულნი არიან გზების გამოწერაში, მაგრამ მზრუნველი არავინაა.

ტყის დარაჯები გლეხებს დაუდევრათ და გულგრილათ ეპყრობიან. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ტყის დარაჯები პირადი ინტერესით აჯარიმებენ გლეხებს. რაც შეეხება თემის კოოპერაციას, მას ფორმალურათ ბევრი წევრები ჰყავს, მაგრამ ისინი დაინტერესებულნი არიან კოოპერაციის საქმეებით, რადგან თვით გამგეობა რიგიანათ ვერ მუშაობს. საჭიროა საბჭოს პირადი შემადგენლობის გადახალისება და საქმის სათავეში ისეთი ხალხის არჩევა, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან სოფლის ბედ იღბალით და ჯეროვან ხელმძღვანელობას გაუწევენ თემს.

ი. გ.

წერილებიდან

კოჯრის თემი (თბილ. მაზ.)

ზრუნავენ კვარტებზე და არა ყანებზე. ჩვენი თემის ორ სოფელში: ოქროყანაში და წავკისში დიდი გასაჭირია უწყლოობის გამო. რომ ვინმე მეთაური გამოჩნდებოდეს და წყალის გამოყვანის ხელმძღვანელობას იკისრებდეს, სოფელს რაიმე საშველი დაადგებოდა. ეხლა კი გლეხები კარტებში უფრო ხარჯავენ სიმწრით ნაშოვნ ფულს, ვიდრე საზოგადო საქმეზე. გლეხკომიც ამას გულგრილად უყურებს.

გაჯი.

ს. კოხნარი (გურია)

მოუსავლიანი წელი. კოხნარის თემმა წარსულ წელს დიდი შიმშილობა გაიარა. წრევანდელი მოსავალიც არ იძლევა რაიმე ნუგეშს. ცუდმა ამინდებმა იმდენად დაახარალა ყანები და ვენახები, რომ ჭირნახული სოფელს ექვს თვეშიც არ ეყოფა. საჭიროა დროზე იქნას მიღებული ზომები სიმშილობის თავიდან ასაცილებლად.

ნაკადი.

თერჯოლა (შორ. მაზ.)

სამეურნეო გადასახადი შემოდის. გლეხები კმაყოფილი არიან წრევანდელ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. თითქმის ყველამ ერთბაშად შეიტანეს მთელი გადასახადი.

გალ—ია.

კორცხელში სამკითხველო არსებობს

გაზ. „კომ“ № 234 ვინმე ლ. ჯაბედავა სწერდა, თითქოს ზუგ. მ. კორცხელის თემში არ არსებობს ქოხ-სამკითხველო. სოფ. კორცხელში ჯერ კიდევ ა | წ. 1-ლ იანვრიდან არსებობს ქოხ-სამკითხველო, რომელსაც მოსდის ყველა ქართული და რუსული გაზეთები. სამკითხველოს აქვს შესაფერისი ბიბლიოთეკაც. მოსახლეობა ფართოდ სარგებლობს ჟურნალ-გაზეთებით და კმაყოფილიც არის სამკითხველოს გამგის დაუღალავ მუშაობით.

კორცხელის ქოხ სამკით. საბჭო.

ი. მასხარაშვილი უდანაშაულოა

გაზ. „კომუნისტი“-ის 9 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია „უღირსი ფერშალი“-ს სათაურით. კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ ი. მასხარაშვილი, რომელზედაც იქ იყო ლაპარაკი, ენერგიული სოფლის მუშაკია. ის მუდამ ყურადღებით ეკიდება ავათმყოფებს და ყოველთვის მზათაა დახმარება აღმოუჩინოს მათ. არ შეეფერება სინამდვილეს არც ის ბრალდება, თითქოს ი. მასხარაშვილის წყალობით, ვინმე სიცოცხლეს გამოსალმებოდეს. არავითარ ამის მსგავს პატარა ონში ადგილი არ ჰქონია.

რაჭის მაზრის ალმასკომის ჯანინსპექტორი.

სოფლის ქრონიკა

— ციებ-ცხელებასთან საბრძოლველად მუხა-ესტატეს (აჭარა) საექიმო პუნქტებმა გასულ წელს დახარჯა 5296 გრ. ქინაქინო.

— სამხრეთ-ოსეთის ცეკმა საქართ. სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიიღო გლეხებს შორის გასანაწილებლად სათესლე მასალა.

— ახალქალაქის ალმასკომმა დაადგინა ჯილდო მისცეს იმ თემს, სადაც საუკეთესოდ იქნება ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია.

— სოფ. კასპის თემ-ალმასკომმა აკრძალა სარწყავ არხებიდან [illegible] წყალის გადაყვანა.

— ოზურგეთის ალმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს მაზრაში 9 [illegible] სამოსწავლო პუნქტი.

იურიდიული რჩევა-დარიგება

უშვილობის გამო ქმარი განქორწინებას მთხოვს, როგორ მოვიქცე.

კითხვა

14 წლის წინეთ გავყევი ქმარს კანონიერ ქორწინებით. ჩემმა ჭირისუფალმა მომცა მზითვად 300 მანეთი, რაც ქმარმა დახარჯა. დღეს 14 წლის ერთად ცხოვრების შემდეგ, ჩემი ქმარი მეუბნება: არ მსურს შენთან ცხოვრებაო. ამის მიზეზად კი ასახელებს, რომ მე ვარ უშვილო.

გთხოვთ განმიმარტოთ თუ რამდენათ საპატიო და კანონიერია განქორწინებისათვის მის მიერ წამოყენებული მიზეზი და თუ ვინიცობაა, ჩვენ ერთმანეთს დავშორდეთ, მაშინ მომეცემა თუ არა ჩემი ნამზითვარი და სარჩო-საბადებელი ჩემი ქმრისგან.

თებრო ბურჯანაძისა.

პასუხი

მზითევი წარმოადგენს ქალის ქონებას და იგი ეკუთვნის მხოლოდ მას, (ვინაიდან ქორწინება არა ქმნის ცოლქმრის ქონების გაერთიანებას იხ. დეკრეტი № 28 მუხ. 94.) ან მის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს. ამიტომ განქორწინების დროს თქვენ უნდა მოგეცეთ სრულად თქვენი მზითევი.

სარჩო-საბადებელი კი მოგეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სხვა ვინმე პატრონი (მარჩენი) არ აღმოგიჩნდებათ, ხართ გაჭირვებული და შრომის უნარმოკლებული. (იხ. დეკრეტი № 28 მუხ. 96).

უშვილობა არ შეიძლება წამოყენებულ იქნეს განქორწინებისათვის საკმაო და საპატიო მიზეზად და თუ თქვენ განქორწინებაზე მას არ დაეთანხმებით, სახალხო სასამართლოს აქვს უფლება თქვენ მეუღლეს უარი უთხრას განქორწინებაზე.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება?

კითხვა

17 აგვისტოს გამიწვიეს ტერ-ნაწილში როგორც უნცროსი მეთაური (დაბადებული 1901 წ.) ვიმსახურე 6 ოქტომბრამდე. მე ვმსახურობდი ავჭალის წყალსადენში.

ტერ-არმიიდან განთავისუფლების შემდეგ კვლავ დავუბრუნდი ძველ სამუშაოს.

ადმინისტრაციამ მომცა მხოლოდ ერთი თვის ჯამაგირის 2 მესამედი ნაწილი და დანარჩენი ოცი დღის კი აღარ მომცა და არც მაძლევს.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, მეკუთვნის თუ არა დანარჩენი ოცი დღის ჯამაგირი.

ყოფ. ტერ-არმიელი
მიხეილ მალალაშვილი.

პასუხი

თქვენი ადმინისტრაციის მოქმედება არ არის კანონიერი. თქვენ უნდა მოგეცეთ ხელფასის ორი მესამედი ტერნაწილში სამსახურის მთელი ხნის განმავლობაში.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ტრამვაის შესახვევში, სახ. № 1 ში და მიჭირავს ბინა 75 კვად. არშინით. ვმსახურებ რკინის გზაზე; ვიღებ ხელფასს 60 მანეთს თვიურად. ვარ კავშირის წევრი. ჩემთან ცხოვრობს ოთხი სული: დედა და ცოლ-შვილი.

გთხოვთ მაცნობოთ, რამდენი უნდა გადვიხადო თვეში ოთახის ქირა და თუ კანონიერი ქირა სახლის პატრონმა არ მიიღო, როგორ მოვიქცე.

კავშირის წევრი № 27470.

პასუხი

ბინის ქირად თვითეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ოთხ კაპეიკ ნახევარს (4,5 კაპ.).

რას იხდიან თვითმშრომელთა კავშირის წევრები ბინის ქირად?

კითხვა

გთხოვთ მაცნობოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირა. ვცხოვრობ დიდუბის ქუჩა, სარქისოვის სახლი, № 23-ში. მიჭირავს მეორე ბინა მეორე სართულში, რომლის მოედანი უდრის 55 კვადრატ. არშინს. ვარ 65 წლის და მყავს ორი სული სარჩენი. ვირიცხები თვითმშრომელთა კავშირის წევრად (წიგნაკის № 4288).

თვითმშრომელი პეტრე მესხელი.

პასუხი

თვითმშრომელთა კავშირის წევრები ბინის ქირად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდიან არა ნაკლებ 5 კაპიკის და არა უმეტეს ორი შაურის.

კითხვა

მე ვცხოვრობ ვაგზლის ქუჩა სახ. № 17-ში. ვმუშაობ რკინის გზაზე კონდუქტორად. ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 14331) მიჭირავს შვიდი სულით ორი ოთახი სამზარეულოთი სივრცით 50 კ. არშინი. ჯამაგირს თვიურად ვღებულობ 32 მან. 50 კაპ.

გთხოვთ მიპასუხოთ, ვის მივცე სახლის ქირა, რადგან მას სახლის პატრონი არ იღებს და რამდენი გადავიხადო თვიურად.

მუშა ლ. ჭოხონელიძე.

პასუხი

თვიურად ბინის ქირად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ორი კაპეიკის რაოდენობით. თუ სახლის პატრონი ქირას არ იღებს, შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახალხო კომისარის დეპოზიტში.

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

ბრძანება № 1

საქონლის ჭირთან მებრძოლ საგანგებო კომისიისა

ჭირის საწინააღმდეგო ზომების გატარების შესახებ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

უკანასკნელ დროს საქონლის ჭირი ფართოდ გავრცელდა საქართველოს რესპუბლიკაში. სენი ამჟამად მძვინვარებს აღმოსავლეთ საქართველოს შიდა მაზრაში და ემუქრება დასავლეთ საქართველოს.

თუ რამდენად უსაშინელეს მტერთან გვაქვს საქმე, სჩანს იქიდან, რომ ეს ავადმყოფობა ჩვენს გლეხობას ხელიდან აცლის საქონლის 60—90 პროცენტს; დასავლეთ საქართველოს საქონელიც და კერძოდ კი, მთის საქონელი—ოსური, ფშაური და ხევსურული—სრულიად ვერ უძლებს ჭირს და პირაღებით იხოცება.

ყოველგვარი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და განსაკუთრებით მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად, რომელიც მიზნათ გვაქვს დასახული, უშედეგო და ფუჭი იქნება, თუ რომ სოფლის მოსახლეობას ხელიდან გამოეცლება სამუშაო და მისი მასაზრდოებელი მსხვილფეხა საქონელი.

ცხადია, თუ რა დიდი უბედურება საქონლის ჭირი და რამდენად საჭიროა მედგარი ბრძოლის წარმოება ნახსენებ ჭირის მოსასპობად.

მიზეზი სენის გავრცელებისა არის უმთავრესად ის გარემოება, რომ როგორც აცრილ, აგრედვე აუცრელ დაჭირიანებულ სოფლებში სრულებით არ ტარდება არავითარი საკარანტინო ზომები და ამიტომ სენი თავისუფლად გადადის ერთი სოფლიდან მეორეში, ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში.

ჭირის მოსასპობად თუ სასწრაფოდ არ იქნა სათანადო ზომები მიღებული, სენი გასწყვეტს ჩვენი რესპუბლიკის მსხვილფეხა საქონელს და ხელში შეგვრჩება გალატაკებული უხარ-კამეჩო გლეხკაცობა.

მიიღო რა მხედველობაში ზემოთხსენებული გარემოება, საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ თავის დადგენილებით 19 ამა ნოემბრიდან დაარსა საქონლის ჭირთან მებრძოლი საგანგებო კომისია, აღჭურვა იგი განსაკუთრებული უფლებებით და დააკისრა მას გაატაროს ცხოვრებაში ჭირის მოსასპობი ღონისძიებანი.

თანახმად აღნიშნული დადგენილებისა საგანგებო კომისია შეუდგა მუშაობას და უპირველეს ყოვლისა გაატარებს საკარანტინო ზომებს დაჭირიანებულ პუნქტებზე, რომ არ მისცეს სენს საშუალება გავრცელებისა.

კომისია მიზანს მიაღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ მისი დადგენილებები და განკარგულებები სისწორით იქნება ასრულებული ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა და ყველა მოქალაქეთა მიერ.

საგანგებო კომისია მთელი სისასტიკით მოეპყრობა ყველა იმათ, ვინც ხელს შეუშლის მის მუშაობას და არ ასრულებს მის დადგენილებებს, იგი დამნაშავეს დასჯის ადმინისტრატიული წესით ორი თვით დაპატიმრებით, ანდა 200 მანეთით დაჯარიმებით.

საგანგებო კომისია მოუწოდებს მოქალაქეთ შეგნებულად შეხედონ კომისიის დადგენილებებს და ხელი შეუწყონ მის მუშაობას საქონლის ჭირის მოსპობის საქმეში.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი—ა. გეგეჭკორი.

წევრები:
1. შინაგან საქმ. სახალხო კომისარი მათიკაშვილი.
2. მ | გ. ინსპექციის სახალხო კომ. მოადგილე—კვარაცხელია.
3. კავკასიის წითელდროშოვან ლაშქრის სავეტერინარო სამმართველოს უფროსი გრიგოროვი.

20 ნოემბერი 1925 წ.

დადგენილება № 51

ა | კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოუქნელი ტყავეულობით ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ

თანახმად ა | კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივნისის 26-ს დადგენილების (ა | კ. შინა-ვაჭრობის სახკომის დროებითი დებულების შესახებ) მუხ. 14-ს, პუნქტ. „მ“-სა, ა | კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ა | კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა | წ. აპრილის 25-ს დადგენილება, № 29—კამეჩის ტყავზე საზღვრითი ფასების დაწესების შესახებ.

ა | კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში—გამყრელიძე.

შ | ვ. მომწესრიგებელი სამმართველოს უფროსის მოადგილე—ბერელაშვილი

საქმეთა მმართველი—აბესაძე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს, 23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის შენობაში (სააგიტ-საპროპაგანდო მუშაკის კაბინეტში) ამხ. ბუდილოვი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მეთოდიური მუშაობა პოლიტ. და პარტსკოლებში“.

არსენალის რაიონის პოლიტ. და პარტსკოლების ყველა ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი—ფანცულაია.
სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგე—გევორქიანი.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდნენ საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში: 1. გოროიან ავეტიკ ნიკოლოზის ძე, 2. მხიტარიან აბრეს ხაჩატურის ძე, 3. გუგავა იოსებ ზოსიმეს ძე, 4. საჩკოვი ივანე გრიგორის ძე.

[illegible]
ქენია, თამარა, მარუსია და მამა პეტრე, ძმა ვარლამი და და ოლღა ნინა, ილიტა და მათი ქმრები სიმონ შენგელია, პორფილე ხოშტარია და აკაკი ბესელია აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის და ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა დ. ახალ აბაშაში 18 ნოემბერს, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მეშანქანე
არტემ (არჩილ) პეტრესძე ჭანტურია
რომლის დასაფლავება მოხდება 22 ნოემბერს, დ. ახალ აბაშაში ს. სავაზაოში. 581 1—1

რუსთაველის თეატრი
დღეს, 22 ნოემბერს
ალ. შანშიაშვილის
მათრახის პანაშვიდი
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის 3-3 ნ. 264

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 22 ნოემბერს
ტოსკა
სამშაბათს, 24 ნოემბერს
პრემიერა
გუგენოტი
1—1 ნ. 285

წითელი თეატრი
დღეს, ნოემბრის 22-ს
ქართული დრამის სეზონის გახსნა
ეგ. ნინოშვილი
„ჯანყი გურიაში“
დადგმა ალ. წუწუნავასი.
ადგილების ფასი—20 კაპ.—60 კაპ.
2—2 ნ. 277
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მხატვრული
კინო-თეატრი
„ფერკუმსი"
პლეხანოვის პროსპექტი, სასტუმრო
„ნოე"

ნ. 288 1—1

გაიხსნება ამ დღეებში
სტერეოსკოპიული
კინემატოგრაფი უეკრანოთ

თეატრი შეკეთებულია ახლად
ბილეთების წინასწარი გაყიდვის დღე გამოცხადებული იქნება
პირველი განყოფილება. მუსიკის ორი ორკესტრი. ყველა ადგილები დანომრილია
თვალი ადევნეთ აფიშებს

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის ახალი სურათი

აპოლო
არტისტო
ოლეი

მუქურას საიდუმლო

მხატვრული დრამა 7 ნაწილად
რეჟისორი ვ. ბ. ბარსკი, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი
მთავარ როლებში: ქ. ჯაში, მ. ტანაშვ, ზ. ოვიაშვა, ა. ხორავა, ნ. სანიშვი, ბ. ზ.ში.
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.
კონტრამარკები და სეზონის ბილეთები გაუქმებულია.

0-5 ნ. 254

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი" (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—21

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
სწოლებით რენტგენი დიარხუმვა
მიხეილ ჩედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებათა ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ქიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—

ცეკ ვშირი
შვაბის ქუჩა № 4.6
მიღებულია
სა აგიდო კალენდარები დიდი და პატარა ფორმატისა (ფაბრიკა „სვეტოჩი". ყოფ. კირხნერისა).

საქალაქო დაკვეთები—სახაზინო ფასებში. გარეშე ქალაქების შეკვეთა სრულდება ფოსტის საშუალებით

2 1 ნ. 269

ყველას! ყველას! ყველას!

ხალხთა კავშირის მუშათა კოოპერატივმა—ფოსტელკოპმა გახსნა ტეხნიკური საადმშენებლო კანტორა.

„რადიო"

რომელიც ღებულობს ყოველგვარ ელექტროტეხნიკურ, დადგმისა და შესაკეთებელ სამონტაჟო საადმშენებლო სამუშაოებს, როგორც თბილისში, ისე პროვინციებში. კანტორა ადგენს ხარჯთაღრიცხვებს, გეგმებს, ანგარიშებს და სხვა.

რადიომოყვარული ის სწრაფი ზრდისა და ამ დარგში ცალკე რადიომოყვარულთა სპირო ცოდნა-გამოცდილების უქონლობის გამო აგრეთვე იმის გამო, რომ მრავალი არ იცნობს რადიო აპარატებისა და რადიო-მოწყობილობის ფასებს, მრავალმა მოხერხებულმა პირმა ხელი მოითბო და ადვილი შემოსავალი გაიჩინეს ისეთმა პირებმა, რომელთაც რადიოსთან არაფერი საერთო არა აქვთ.

ტეხნიკური კანტორა „რადიო", რომელსაც ჰყავს საუკეთესო ტეხნიკური ძალები, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რადიო-მოყვარულთა მ ძალებს და ღებულობს შეკეთებას რადიო მოწყობილებათა დასადგმელად როგორც კლუბებსა და საზოგადო დაწესებულებებში ისე კერძო პირთათვის თბილისსა და პროვინციაში, იძლევა ტეხნიკურსა და იურიდიულ დასკვნებს რადიოს შესახებ, ამოწმებს და აწარმოებს რადიო-მოწყობილობათა და აპარატების შეკეთებას და სხვა.

ყველამ, ვისაც სურს იქონიოს ტეხნიკურად სწორი და იაფი მიმღები უნდა მიმართოს შემდეგი მისამართით: ტეხნიკური კანტორა „რადიო", ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 84.

ნ. 282 1—1.

ლოზუნგები
„შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის"
შესახებ

ა/წ. 29 ნოემბერს საქართველოში ჩატარებულ იქნება

„შმო"-ს დღე

ამ დღისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის საგამომცემლო განყოფილებამ და „დვიგატელ"-ის სახელმწიფო კანტორამ გ მოსცეს გასასყიდათ ლოზუნგები შრომის მეცნიერულ ორგანიზაციების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე. ლოზუნგები დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში საღებავებით კარგ ქაღალდზე.

კომპლექტის—8 პლაკატის ფასი თვითეულ ენაზე—1 მანეთი.

გამოცემის საქუთბი—რუსთაველის პროსპ. № 12 კანტორა „დვიგატელ"

ნ. 280

ექიმი თოდაძე

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 სათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზას სამმართველოს მახლობლად.

განცხადებების და ხელისმოწერის სახელმწიფო კანტორის
„დვიგატელ"-ის
ამიერ-კავკასიის განყოფილება

კანტორა არსებობს გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-თან (შრომის და თავდაცვის საბჭოს ორგანო).

ცნობების წიგნაკი „მთელი ბაქო" „Весь Баку" გამოვიდა და იყიდება. ფასი 1 მანეთი—ეგზემპლიარი ყდით

ცნობების წიგნაკი „მთელი თბილისი" „Весь Тифлис" მუშავდება და საჭირო მასალების შილების შემდეგ დაიბეჭდება

„საბჭოთა ამიერ-კავკასია" („Советское Закавказье"), რომელიც გამოვა „რემედასის" თბილისის კომიტეტთან ერთად, მზადდება დასაბეჭდით.

„დვიგატელ"-ის თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ გამოცემისათვის განცხადების სხვა მასალების შესაკრებად, აქვთ სპეციალური მოწმობების და ქვითარების წიგნაკები თვითეულ გამოცემისათვის ცალ-ცალკე.

„დვიგატელ"-ის ამიერ-კავკასიის განყოფილების გამგე—გ. ა. მაზურეკ.

ნ. 279—1—1

ხელის მოწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატივთა კავშირების
საყურადღებოთ

ა/ქ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში დამატებით ა. წ. 4 ნოემბრის განცხადების გაზ. „კომუნისტ"-ში აუწყებს შემდეგს: მიმდინარე საგადასახადო პერიოდში ანგარიშვალდებულ წარმოებების როგორც გამგეობ ნი, აგრეთვე ყველა მასში შემავალი წარმოებანი, რომლებიც არსებობდენ ა. წ. 1-ლ ოქტომბრამდე, ვალდებულნი არიან შეიტანონ საავანსო (სავანსო) თანხები ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოდ 300 პროც. რაოდენობით მიმდინარე ნახევარ წელში აღებულ სარეწავ მოწმობების ძირითად ღირებულებიდან.

ა/ქ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში მაგიერ ფანცხავა

გადასახადთა განყოფილების მმართველი ჯაფარიძე

პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე ბეზირგანიშვილი

ნ. 287—1—1

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული
განყოფილება

შრომის ნაყოფიერების ნორმალურ დონეზე დასაყენებლად და წარმოდგენების, ლექციების, კონცერტების და სხვა სანახაობათა დაწყების დროის მოსაწესრიგებლად ამით ადგენს:

1. ქალ. თბილისში და მის მაზრაში მდებარე თეატრებში, კლუბებში, კინოებში, საზოგადო საკრებულოებში და სხვა ამ გვარ დაწესებულებებში გამართული ლექციები, წარმოდგენები, კონცერტები, კინო წარმოდგენები და სხვა სანახაობა აუცილებლად უნდა დაიწყოს აფიშებში ან განცხადებებში აღნიშნულ დროზე და არავითარ დაგვიანებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

2. ტეხნიკური დაბრკოლებანი, რომელიც აღმოჩნდება 1 §-ში აღნიშნულ წარმოდგენების და სხვა სანახაობათა მოწყობის დროს და რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს დაგვიანება წინასწარ, გამოცხადებულ დროის დადგომამდე, უნდა ეცნობოს შეკრებილ საზოგადოებას.

3. იმ პირთ, რომელნიც მეორე მუხლში აღნიშნულ ცნობის მიღების შემდეგ არ მოისურვებენ დარჩენ წარმოდგენაზე, ლექციებზე და სხვ., უკან უნდა დაუბრუნდეთ აღებული ბილეთის საფასური.

განყოფილების უფროსი ხმალაძე.

საერთო საადმინისტრაციო ქვეგანყოფ. უფროსი კილურაძე.

1925 წ. 25 ნოემბერი ქ. თბილისი.

ნ. 2861—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ 26 ნოემბერს 1925 წ. დილის 10 საათზე, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ისკანდერ ბაგირბეგოვს, იმყოფება აბანოს ქ. № 1 და შეიცავს სასადილოს მოწყობილობას, სახალხო კვების კავშირის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 16 ოქტომბერს 1925 წ. № 3357 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. აწერილი ქონება შეფასებულია 468 მან. 50 კაპ. და შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. გაყიდვა მოხდება ადგილობრივ ზემონაჩვენებ მისამართზე, სადაც შეიძლება საქონლის გასინჯვა ვაჭრობის დღეს.

1—1 583

ამ დღეებში ჩაიშვება
„ნიშანი Z ზერო"

უმთავრეს როლში—სურათ „ბაღდადელ ქურდის" გმირი
დუგლას ფერბენკსი

დადგმის მონოპოლიური უფლება მინიჭებული აქვს კინო-თეატრს —„არფასტოს" და „სოლეის"

ნ. 274 1—1

„ზაკავტოპრომტორგის"
„Закавтопромторг"-ის
თბილისის განყოფილება აცხადებს
ავტომობილების მიმოსვლის საზამთრო ცხრილს თბილის—კაკავის ხაზზე

დუშეთში შესვლით (გარდა სამშაბათისა და პარასკევისა) გამოდის ყოველდღე დილის 8 საათზე.

უკან—ყოველ დღე დილის 8 საათზე თბილის—კოჯორი—მანგლისის ხაზზე.

სამშაბათობით და პარასკეობით დილის 8 საათზე

უკან—მანგლისიდან იმავე დღეებში დღის 1 საათზე და 30 წუთზე.

ბილეთების გაყიდვა და ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 7 საათზე. თბილისში თავისუფლების მოედანი (ყოფ. ერივანსკი). მანგლისში—ფოსტის კანტორასთან. კაკავში—სასტუმრო „ევროპა"-ში.

2—1 ნ. 281

საჭიროა
შემდეგი მასალები.

1. სახურავი რკინა	50	ფუთი	
2. ხარისხეული რკინ.	30	„	
3. ცემენტი	250	„	
4. ნარმა	800	მეტრი	
5. შორენკეცი ერთი ფილისა და 30 ღუმელისთვის	6000	ცალი	
6. ფანჯრების საკეტი	70	კომპლ.	
7. კარების საკეტი	60	„	
8. დაკეცილი მინა	20.000	კვ.-ვერ.	
9. ორმაგი ზემის მინა	30.000	„	
10. უნიტაზები ხელსაწყოთი	8	კომპლ.	
11. აუზები ხელსაწყოთი	3	„	
12. პისუარები	5	„	
13 პირისაბანები ბოჭებით და სხვ.	35	„	
14. 6 „პირისაბ. თუჯის მილი	200	ფუთი	
15. 4" თუჯის მილი		400	ფუთი.
16. 2" „ „		100	„
17. ფასონის ნაწილები 6"		20	„
18. „ „ 4"		40	„
19. „ „ 2"		20	„
20. გადამწოვები 2"		50	ცალი
21. ტრაპები		5	„
22. მოთუთიებული მილები 1"—8 საკ. ფასონ. ნაწილები		5	პროც.
23. მოთუთიებული მილები ½"—100 საკ. ფასონ. ნაწილები		10	„
24. ზეთი მოხარშული საუკეთესო ხარისხის		130	ფუთი
25. ქარშანი		100	„
26. ზეთი მოხარშული სახურავისათვის		25	

წინადადებით მიმართეთ შავი ქვის სამმართველოს,

რუსთაველის პროსპექტი, საკუთარი სახლი № 23

ნ. 288 1—1

ამ.-კავკ. რკინისგზათა სამმართველო
ამით აცხადებს, რომ

ქ. გორში 26 ნოემბრიდან გაიხსნება
რკინისგზის ქალაქის სადგური
რომელიც აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. გაყიდვას ბილეთებისას და პლაცკარტებისას ყველა მატარებლებზე როგორც ადგილობრივ, ისე პირდაპირ მიმოსვლაში.
2. ბარგის და ტვირთის გაგზავნას ფრახტის გადატანით დანიშნულების სადგურზე ადგილობრივ და პირდაპირ მიმოსვლაში.
3. ბარგის და ტვირთის ჩაბარებას კლიენტების ბინაზე, საწყობებში, მაღაზიებში და სხვა.
4. გაცემას კომერციულ და სამიზნო სესხისას საქონლისა გირაოს ან სხვა გარანტიის ქვეშ.
5. საწყობის ოპერაციებს—შენახვა ტვირთისა.
6. ფასდადებითი ოპერაციებს.
7. დაზღვევას ტვირთისას.
8. სხვა სატრანსპორტო საექსპედიციო დავალებებს.

ქალაქის სადგური მოთავსებულია ქალაქ გორში აკაკი წერეთლის ქუჩაზე, № 18.

დავალებები სრულდებათ ზედმიწევნით სისწრაფით და სიზუსტით.

ნ. 3—2

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათ მდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89.
(ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები, მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ბელინსკის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სა ს. ქესო ორგანოს ყველა გართულებებით) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი
ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათამანეზე), ბზრუდკოსი (პლუკეა) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბარნაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10.

25—1

დოქტორი გ. მეჰრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი ვ. ს. არზუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა.

25—1

ექიმი გ. ა. ლუკოვსკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან).

25—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ 4—82

ექიმი ი. ii. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და სალ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

ექიმი გ. ნ. მამაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

დაკარგა პასპორტი არტემ სერგოს ძე გასპაროვის სახელზე, ჩ. გ.

582 1—1

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 4707 ნინო კონსტანტინეს ასული რევაზიშვილის სახელზე, ჩ. გ.

(ა) 584 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობები გაბრიელ დავითის ძე ქაჯაიას და ზინა გაბრიელის ასულ ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ.

585 1—1

დაკარგა პროფკავშირის წიგნაკი ალექსანდრე კვანტალიანის სახელზე, ჩ. გ.

578 1—1

დაკარგა საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა პროფესიულ კავშ. წიგნაკი № 543 ლავრენტი გიორგის ძე ტროყაშვილის სახელზე, ჩ. გ.

509 1—1

დაკარგა ა. ლ. კ. კ. ბილეთი № 12383 სანდრო თავშავაძის სახელზე, ჩ. გ.

586 1—1

დაკარგა რკინისგზის კოოპერატივის წიგნაკი № 2668 ონისიმე ჩახუნაშვილის სახელზე, ჩ. გ.

ნ. 289 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 21 და სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი პანტელეიმონ სართანიას სახელზე, ჩ. გ.

586 1—1

დაკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი № 68 გაბრიელ კილასონიას სახელზე, ჩ. გ.

586 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 156 სიმონ აჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ.

586 1—1

დაკარგა პარტიული ბილეთი № 496228 მუსა ყურბანოღლის სახელზე, ჩ. გ.

586 1—1

დაკარგა რეგისტრაციის ფურცელი № კონსტანტინე დვალის სახელზე, ჩ. გ.

586 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამ. წულუკიძის ქუჩა № 4